

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

დალი ბაიდაური

სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები
საქართველოს აგრარულ
სექტორში

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

08.00.13. - სასოფლო-სამეურნეო წარმოების
ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პაატა კოლუაშვილი

თბილისი

2006

შინაარსი

შესავალი;

თავი 1. გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო აგრარული პოლიტიკა და მისი ძირითადი შედეგების შეფასება;

- 1.1. ხელისუფლების მიერ დეკლარირებული და ფაქტიური აგრარული პოლიტიკა და მისი რეალიზაციის შედეგები;
- 1.2. აგროსექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის გენეზისი (გამომწვევი მიზეზები);
- 1.3. აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება;

თავი 2. აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობის წინამძღვრები;

- 2.1. აგროწარმოებაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი და მისი ეფექტიანობა;
- 2.2. სახელმწიფო რეგულირების მიზნები და ამოცანები აგროსექტორში;
- 2.3. აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- 2.4. აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები საზღვარგარეთის ქვეყნებში;

თავი 3. სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები აგრარულ სექტორში;

3.1. სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირებისათვის
სახელმწიფო მხარდაჭერის პრინციპები;

3.2. ექსპორტზე და სასურსათო უსაფრთხოებაზე
ორიენტირებული დარგების განვითარების მხარდაჭერა;

3.3. სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურისა
და აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის
ეკონომიკური ეფექტიანობა;

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურის სია;

დანართები.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად აგროსასურსათო სექტორსაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ათეულობით წლებში ჩამოყალიბებული ტრადიციული საწარმოო და ეკონომიკურ-კანონიერი კავშირების მოშლის, პროდუქციისა და ნადლეულის სარეალიზაციო ძირითადი ბაზრების დაკარგვის, ეროვნული ვალუტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის უქონლობის, ჰიპერინფლაციის, სამოქალაქო ომის, დაძაბული კრიმინოგენული სიტუაციის და სხვა მეტად არასასურველი ფაქტორების მოქმედების პირობებში მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე. განადგურდა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში სამრეწველო საფუძველზე გადაყვანილი წარმოება, მათ შორის მეცხოველეობის მსხვილი მერძეული და სასუქი კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სამრეწველო ბალები და ვენახები.

პრაქტიკულად იგივე სიტუაცია შეიქმნა კვებისა და გადამამუშავებელი მრეველობის დარგებში, რომელიც ძირითადად ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მუშაობდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან განვლილ 15 წლიან პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სოფლის მეურნეობის

განვიტარებისა და ერთ სულ მოსახლეზე სურსათის წარმოების რეფორმამდელ დონეს, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. მათ შორის ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობებს, მართალია, კერძო საკუთრებაში გადავეციტ მიწები, მაგრამ ქვეყანაში აგრარული რეფორმა ამაზე წინ არ წასულა. სოფლად საქონელმწარმოებელი მათთვის გადაულახავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით არასრულყოფილ მომარაგებაში, საჭირო კრედიტებზე ხელმიუწვდომლობაში, წარმოებული პროდუქციის გამწვანებულ რეალიზაციაში და სხვა პრობლემებში გამოიხატა.

ამ ფონზე სოფლად საქონელმწარმოებელთა აქტუალური პრობლემების შესწავლა-გაანალიზება და მათი გადაწყვეტის რეალური გზებისა და საშუალებების დადგენა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად წაადგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების, სასურსათო უსაფრთხოებისა და ქვეყნის რეალური ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეა.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა. ზოგადად ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემა მსოფლიოში გასული საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჩვენს ქვეყანაში ეს პრობლემა საერთოდ არ იდგა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისა და შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმის მოქმედების გამო. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დაინერგა საბაზრო ურთიერთობები, ეკონომიკის ძირითადი მარეგულირებელი კანონების და პრინციპების კვლევას არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა, რომლებიც ძირითადად ხსენებული პრობლემის მხოლოდ ცალკეულ

ასპექტებს ეხება. აგროწარმოებაში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხი დღემდე კომპლექსურად არაა შესწავლილი, რამაც ძირითადად განაპირობა აღნიშნული თემის საკვლევად შერჩევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობის ეკონომიკური შეფასება და აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

-ხელისუფლების მიერ დეკლარირებული აგრარული პოლიტიკის ძირითადი შედეგების ეკონომიკური შეფასება;

-აგროწარმოებაში შექმნილი მდგომარეობის გამომწვევი ძირითადი საწარმოო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების დადგენა;

-აგროსექტორში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის გავლენის დადგენა აგროწარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე;

-განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების შესწავლა;

-აგრარულ სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის ამჟამად მოქმედი მექანიზმის ეკონომიკური შეფასება და მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტების ეკონომიკური დასაბუთება;

-აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გაძლიერებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს აგრარული სექტორი, გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და სხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები სოფლად, ხოლო კვლევის საგანს – აგროწარმოებაში სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები, მიწაზე მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მაკროეკონომიკური თეორია და წარმოების თეორიის ძირითადი პრინციპები, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები და სხვა ეკონომიურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტები. ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილია და გამოყენებულია ძირითადად ქართველ მეცნიერ-ეკონომისტების რ. ანდლულაძის, ვ. ბურკაძის, ჰ. გიორგაძის, ო. ვაშაკიძის, პ. კოლუაშვილის, თ. კუნჭულიას, გ. პაპავას, ნ. ჭითანავას და სხვათა მეცნიერული შრომები. თემის დამუშავებისას ასევე გამოყენებული იქნა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისადმი მიძღვნილი საზღვარგარეთელი ავტორების შრომები, სტატისტიკური მასალები ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მასალები ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის შესახებ.

კონკრეტული მიზანდასახულობიდან და ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია კომპლექსური ანალიზის, ეკონომიკურ-სტატისტიკური, შედარებითი, ინდექსების, ლოგიკური ანალიზი და სხვა მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ გამოკვლევას საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე აგროწარმოებაში სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობის ეკონომიკური დასაბუთების შესახებ. ამ მიზნით შრომაში ახსნილია სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობის ეკონომიკური წინამძღვრები და შერჩეულია სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები. ამასთან ერთად, დასაბუთებულია სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირების (მ.შ. მარკეტინგული), საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე ექსპორტზე და სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული დარგების განვითარებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.

გამოკვლევულია ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის ცალკეული ელემენტების (საგადასახადო, ფასწარმოქმნის, საკრედიტო სისტემის და ა.შ.) არაეფექტურობა წარმოების შედეგებზე და მოცემულია მათი სრულყოფის წინადადებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს ავტორის მიერ გამოკვლევული აგრობიზნესის საწარმოთა შორის დღეისათვის ჩამოყალიბებული დამოკიდებულება, რაც უპირველეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე ფასების არამართლზომიერ პარიტეტში გამოიხატება და რომელიც ძირითადად აგრობიზნესის პირველ და მესამე სფეროების საწარმოთა მონოპოლური მდგომარეობითაა განპირობებული. ამავე რანგშია ასაყვანი ასევე აგრარული სექტორის პროდუქციაზე (სურსათზე) მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გავლენა

ერთობლივი ამონაგების სიდიდეზე და აქედან გამომდინარე, დარგთაშორის კონკურენციაში ამ სექტორის არათანაბარ სასტარტო პირობებზე სხვა დარგებთან შედარებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგებს ენიჭება პრაქტიკული მნიშვნელობა ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლური პოლიტიკის ღონისძიებათა კორექტირებისა და აგროსექტორში ძირითადი პრიორიტეტების შერჩევისა და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგების აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია დისერტანტის სამეცნიერო პუბლიკაციებში. კვლევის შედეგები განხილული და აპრობირებულია საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკუ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის ორგანიზაციისა და მართვის კათედრების გაფართოებულ სხდომაზე, აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 155 გვერდს. შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. დანართის სახით ჩართულია 11 საანალიზო ცხრილი. ნაშრომს თან ერთვის 105 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო აგრარული პოლიტიკა და მისი ძირითადი შედეგების შეფასება

1.1. ხელისუფლების მიერ დეკლარირებული და ფაქტიური აგრარული პოლიტიკა და მისი რეალიზაციის შედეგები

აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, ანუ ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიზანდასახულობა, მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1997 წელს. ნორმატიული აქტი, რომლითაც დამტკიცებული იქნა ხსენებული კონცეფცია, ავალებდა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსის განვითარებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მომზადებისას, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, საინვესტიციო პროგრამების და პროექტების დამუშავებისას, მართვის სისტემის რეორგანიზაციისას, საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა მომზადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ორიენტირები. [51]

აღნიშნული კონცეფციით დეკლარირებული იქნა ძირითადი მიზნებიც. კერძოდ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება აგროსამრეწველო პოტენციალის სრულად გამოყენების საფუძველზე. პირველი გულისხმობდა მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობას, ანუ საჭირო

რაოდენობის, უვნებელი და საზოგადოების ყველა სოციალური ფენისათვის ხელმისაწვდომ ფასებში სურსათით უზრუნველყოფას. ხოლო მეორე, აგროსამრეწველო პოტენციალის გამოყენების საფუძველზე, სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის გადიდებას, იმპორტის სუბსტიტუციას (იმპორტული სურსათის სამამულო წარმოების სურსათით ჩანაცვლება) და ამის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის (რაც თავის მხრივ საფუძველია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის) განმტკიცებას.

აგრარული პოლიტიკის მიზანი, გარდა ზემოაღნიშნულისა, იყო ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდა აგროსამრეწველო კომპლექსში დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილების ხარჯზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება და საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

აგრარული პოლიტიკის კონცეფციით, გარდა მიზანდასახულობისა, განისაზღვრა ამ მიზნების გადაწყვეტის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები. ამოცანათა შორის გამოსაყოფია:

- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საწარმოთა რეფორმირებისა და რესტრუქტურირების გაღრმავება მყარ საკანონმდებლო საფუძველზე;
- კონკურენტული გარემოს ფორმირება, კონკურენტუნარიანი საწარმოო ერთეულების განვითარება;
- შიდა ბაზრის ტევადობის გადიდება, დასაქმებისა და შემოსავლების დონის ამაღლება;
- ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობის მაქსიმალური ამოქმედება იმ პროდუქციის წარმოებით, რომელიც ყველაზე მომგებიანია, როგორც

ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. საგარეო ბაზრებზე პოზიციების აღდგენა, ახალი ბაზრების ათვისება;

- რესურსების კონცენტრაცია პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ფონდშიარაღების გადიდებისათვის;

- საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ინტენსიური განვითარება;

- საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება.

დღეს უკვე შეიძლება გარკვეულად შეფასდეს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით გათვალისწინებული ამოცანების და მიმართულებების რეალიზაციის შედეგები. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი ამოცანებიდან (რომლებიც ფაქტიურად მიზანდასახულობათა რეალიზაციისათვის იყო გამიზნული) პრაქტიკულად არც ერთი შესრულებულა. პირიქით, ცალკეული მიმართულებით მდგომარეობა გართულდა კიდევ (დასაქმების და შემოსავლების, კონკურენტული გარემოს ფორმირების, ბაზრებზე დაკარგული პოზიციების აღდგენის და სხვა მიმართულებით), რაც აგროწარმოების შედეგობრივ მაჩვენებლებზეც პოულობს შესაბამის ასახვას. დასახული ამოცანების რეალიზაციას არსებითად არ წაადგა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ქვეყანაში 1994 წლიდან ხორციელდებოდა, აგრეთვე ეკონომიკური რეფორმების მეორე

ეტაპის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც 2000 წლამდე პერიოდს მოიცავდა.

რეფორმირების წლებში ყველაზე შედარებით შედეგიანი 1996-1997 წლები გამოდგა, როცა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 11%-ს მიაღწია ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსის სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალი ტემპის შენარჩუნების პირობებში. [24]

1998 წ. დასაწყისიდან 2004 წ-მდე მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების (დევნილთა ახალი ნაკადი გალიდან, მეტად არახელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, გლობალური საფინანსო კრიზისი, კორუფციის აღზევება და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა) ზეგავლენით ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელების ტენდენცია ჩამოყალიბდა. გლობალურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ეროვნულ ვალუტას, რომლის კურსი წლის განმავლობაში 38%-ით დაეცა. გაუარესდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მთლიანი შიდა და ეროვნული პროდუქტი, ერთ სულ მოსახლეზე სურსათის მოხმარება და სხვა).

შექმნილი ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 2000 წელს ქვეყანაში განვითარებულმა ხანგრძლივმა გვალვებმა, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკას 0,5 მლრდ ლარის ზარალი მიაყენა. სერიოზული სირთულეები შეიქმნა საბიუჯეტო სფეროში, შეფერხდა ეროვნული აგრარული ეკონომიკის განვითარება, რამაც მის რიგ სფეროებში კრიზისული ხასიათი მიიღო. გაძლიერდა და საშიშ მასშტაბებს მიაღწია კორუფციამ, გაფართოვდა აღურიცხავი და უკონტროლო ეკონომიკური სექტორის არეალი და პარამეტრები.

უკანასკნელ პერიოდში მართალია გარკვეული ძვრები აღინიშნა მეწარმეობის გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით (შემცირდა კორუფციის დონე, აღურიცხავი სექტორის მასშტაბი, სალიცენზიო საქმიანობათა წრე და ა.შ.), მაგრამ ეკონომიკის საერთო მდგომარეობა კვლავინდებურად კრიზისულია, რაც დღის წესრიგში აყენებს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ახალი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში ძირეულად უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც მოიცავს არა მხოლოდ საკუთრების, არამედ საწარმოო ურთიერთობათა სხვა ფორმებსაც. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა დარგებისა და სფეროების დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ამ ქვეთავში განვიხილავთ სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის თავისებურებებს მეურნეობრიობის ახალ პირობებიდან გამომდინარე, აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების რთული პროცესის ეკონომიკური მეთოდებით რეგულირების საკითხებს.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი საფუძველს იძლევა გამოიყოს რამდენიმე პრინციპული მნიშვნელობის თავისებურება და ტენდენცია, რომელთა სწორად გაშუქება ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგრარული სამრეწველო კომპლექსის განვითარებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

დღეს ეკონომისტები და პოლიტიკოსები აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ ე.წ. ფართო და ვიწრო გაგებით. გულისხმობენ, რომ პირველი მოიცავს ეკონომიკის გარდაქმნის თითქმის ყველა მხარეს, რომელიც ამა თუ

იმ ქვეყნის დარგების განვითარებას ეხება (ტექნიკური პოლიტიკა, საკუთრებითი ურთიერთობანი, ფინანსური მეურნეობა, საკანონმდებლო ბაზა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი და ა.შ.). ვიწრო გაგებით აგრარულ პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც ცალკეული დარგების, საწარმოების (ან მათი ჯგუფის) მართვის დონეზე სტრუქტურულ ცვლილებებს, წარმოების მოცულობებს, დარგების (ქვედარგების), საწარმოების ფუნქციონირებას, რესურსების გადანაწილებას, სპეციალიზაციას და ა.შ.

ეკონომიკურ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, თუმცა, ის ყოველთვის როდი იყო მზად დროული და თანაც სწორი პასუხი გაეცა, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ახლა კი საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ და ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარებამ დღის წესრიგში უფრო მწვავედ დააყენა ამ საკითხზე სწორი პასუხის გაცემის აუცილებლობა, რადგან იგი საქართველოს დამოუკიდებლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანებში ჩვენს მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არ არის ერთიანი მოსაზრება საქართველოს ეკონომიკის სტატუსის შესახებ. [61]

ამ მოსაზრების გავრცელებას ხელი შეუწყო აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამაც, სადაც დღემდე ნათლად არ არის გამოკვეთილი ამ პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი (ქვეყანა აგრარული თუ ინდუსტრიული გზით განვითარდეს). ცნობილია, რომ მძიმე მრეწველობა მუდამ იყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი, სწორედ მძიმე ინდუსტრიის უპირატესმა განვითარებამ მისცა

საშუალება საქართველოს ბოლო მოედო საუკუნოვანი ჩამორჩენილობისათვის, უზრუნველყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი.

მძიმე ინდუსტრიისადმი ინტერესი ამჟამადაც არ მცირდება, მხოლოდ მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე შეიძლება უზრუნველვყოთ მთელი ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ტექნიკური დონე, ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერი, რომელიც ორიენტაციას იღებს მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და უგულებელყოფს თანამედროვე ინდუსტრიას თავისი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული პოტენციალით, წინასწარ განწირულია ჩამორჩენილობისა და დაკნინებისათვის, მაგრამ ასევე არასწორია კურსი ავიღოთ მხოლოდ მრეწველობის სრულყოფისაკენ, ამ დარგების განვითარებაში საჭიროა დავიცვათ ოპტიმალური პროპორციები.

ჩვენი აზრით, გამოსავალი უნდა მოინახოს დარგთაშორისი ეკონომიკური წონასწორობის აღდგენაში, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი არ არის კვლავწარმოების ცალკე იზოლირებული პროცესი. იგი მჭიდრო კავშირშია მრეწველობის კვლავწარმოების პროცესთან და ურთიერთს ავსებენ. მათი განვითარება განაპირობებს მტკიცე კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. თუ კვლავწარმოება შეკვეცილია ინდუსტრიაში, იგი ამწვავებს ანალოგიურ პროცესს სოფლის მეურნეობაში და პირიქით, სურსათის წარმოების შემცირება აფერხებს მრეწველობას, რადგანაც იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების აუცილებელ პროცესს ინდუსტრიაშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს ეკონომიკაზე, სადაც მრეწველობის

დარგში განმსაზღვრელი როლი უკავია კვების მრეწველობას (40% და მეტი) და იგი ძირითადად მუშაობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის ნედლეულზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს ეროვნული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ჰარმონიული შეთანაწყობა და განვითარება, რაც, სამწუხაროდ, რეფორმის გატარების პერიოდში დაირღვა საქართველოში. იგი ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ორივე დარგისათვის.

თანამედროვე პირობებში გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ უზრუნველვყოთ მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარების მაღალი ტექნიკური დონე და ამავე დროს სწრაფად განვავითაროთ ქვეყნის წარმოების სხვა დარგები. დაგროვილი საწარმოო პოტენციალი და გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ამ ეტაპზე გარკვეული უპირატესობა მივანიჭოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპებს, რაც ასე საჭიროა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. მაგრამ ეს არ იმოქმედებს წარმოების საშუალებათა წარმოების დაჩქარებული განვითარების საერთო გეზზე. რადგან შემდგომ პერიოდში გეზი იქნება ალბულის მრეწველობის დარგის უფრო დაჩქარებული ტემპით განვითარებაზე, ვიდრე აგრარული სექტორისა. ამ ეტაპზე კი სოფლის მეურნეობის დარგის დაჩქარებული განვითარება ნაკარნახებია სასურსათო პრობლემის სწრაფად გადაჭრის ინტერესებიდან გამომდინარე. ყოველივე ამის გამო, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში აგრარული სექტორის პოტენციალის ამოქმედებას, ე.ი. ორიენტაციის აღებას უმთავრესად სოფლის

მეურნეობისაკენ, თუმცა ეს არ ნიშნავს პერსპექტივაში ინდუსტრიულ განვითარებაზე საერთოდ ხელის აღებას, პირიქით, იგი ხელს უწყობს და აჩქარებს შემდგომში ქვეყნის ინდუსტრიული კურსით განვითარებას. საქმე ისაა, რომ დღეს აუცილებელია ქვეყნისათვის ამ ორი ფუნდამენტური დარგის განვითარებაში ოპტიმალური გზების ძიება და ადრე დარღვეული პროპორციების აღდგენა-გაუმჯობესება.

მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროებში ეკონომიკური გარდაქმნები სხვადასხვა დროს განხორციელდა. სოფლის მეურნეობაში ის უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მრეწველობაში. ამასთან, სოფლის მეურნეობაში სწრაფად განვითარდა, მრეწველობაში კი ნელი ტემპით, რამაც გარკვეული დისპროპორცია განაპირობა და არსებითი დაბრკოლებები შექმნა დარგთაშორის კავშირების ჩამოყალიბებაში და ფასწარმოქმნაში. დაირღვა ათეული წლობით ჩამოყალიბებული ფასთა პარიტეტი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მათ შორის პროდუქტგაცვლა არაექვივალენტური გახდა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთლიანად ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტის ფასები ბევრად ჩამორჩება ანალოგიურ პროდუქციაზე მსოფლიო ფასებს, ამიტომ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის ფასების თანაფარდობის მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია არა მარტო გაფართოებული კვლავწარმოება, არამედ მარტივი კვლავწარმოებაც კი.

ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის განვლილი პერიოდი და განსაკუთრებით მომდევნო ეტაპის ამოცანები დღის წესრიგში აყენებს საკითხს ამ მიმართულებით დაშვებული შეცდომების შეფასებისა და სამომავლო პროგრამის განსაზღვრისათვის გარკვეული ღონისძიებების

გატარების აუცილებლობაზე. აღნიშნული საკითხების დროულ შესწავლას, შეფასებას და მეცნიერულ დარეგულირებას კი, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის აგრარულ სექტორშიც, კერძოდ, შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევის, დარგის შემდგომი აღმავლობისა და ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების საქმეში. ეს კი ითხოვს იმას, რომ მაკროეკონომიკური გარდაქმნები კარგად მოვარგოთ ქვეყნის მიკროეკონომიკურ გარდაქმნებს, შევქმნათ ქვეყნის ფუნდამენტალური დარგებისადმი – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროპორციული განვითარებისადმი ხელშემწყობი პირობები, გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის დარგისადმი სახელმწიფო მხარდამჭერი მიდგომები.

ასეთივე მიდგომები უნდა გავატაროთ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიმართაც. მართალია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონელმწარმოებლებს დღეს თავისუფლება მიენიჭათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების და საკუთარი შემოსავლების განკარგვის საქმეში, და იქმნება თითქოს ყოველგვარი პირობა სოფლად მეწარმეობის განვითარებისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა არა მხოლოდ იდეოლოგიური, არამედ სოფლის მეურნეობისადმი აქტიური სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება, ისეთივე სახით, როგორც ტარდება მსოფლიო ცივილიზებულ ქვეყნებში და რითაც უდიდეს წარმატებებს აღწევენ აღნიშნული დარგის განვითარებაში. საქართველოში სათანადო საბაზრო გარემო პირობების უქონლობისა და სამეწარმეო რისკის გაზრდის გამო სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად არ წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ობიექტს, ე.ი. მიმზიდველ დარგს ერთობლივი საწარმოებისა და საზღვარგარეთელი ფირმების შესაქმნელად.

სინამდვილეში კი ინვესტორების მოზიდვა სწორედ სოფლის მეურნეობაში უნდა იყოს პრიორიტეტული, ეს იმიტომ, რომ მას გააჩნია განვითარების ფართო პოტენციური შესაძლებლობები, განსაკუთრებით საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, თავისუფალი და იაფი მუშახელის არსებობის, თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის ფართოდ განვითარების თვალსაზრისით.

ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოს აგრარულ სექტორში (სტატადრიცხვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით) ავანსირებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ჩადებული უცხოური კაპიტალის დაახლოებით 1%-მდე, რაც, რა თქმა უნდა, მეტად არასაკმარისია. ამის გამო აგრარულმა სექტორმა დათმო არა მხოლოდ ისეთი ტრადიციული ბაზრები, როგორცაა რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები, არამედ ქართველმა საქონელმწარმოებლებმა ფაქტობრივად საქართველოს ადგილობრივი ბაზრებიც დაკარგა.

ეს გარემოება, რომელიც აგრარულ სექტორს უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას უქნის, უეჭველად გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის საფინანსო სტრუქტურების მიერ ბაზარზე მოქმედების საინვესტიციო-საკრედიტო სტრატეგიის განსაზღვრისას.

რამდენადაც აგრარული სექტორი წარმოადგენს ქვეყნის აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის (ასკ) ძირითად შემადგენელ ნაწილს (II სფერო) ჩვენს მიერ საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლისა და განვითარების ტენდენციების დადგენის მიზნით გაანალიზებულ იქნა საქართველოს ასკ-ს დარგობრივი სტრუქტურა, რამაც გვიჩვენა, რომ 70-80-იან წლებიდან, ქვეყნის სასურსათო კომპლექსის დარგობრივი ცვლილებების ერთ-ერთ ტენდენციად იქცა არასასოფლო-სამეურნეო

სფეროების (I და III სფეროების) მნიშვნელობის გაძლიერება. აღნიშნული სფეროების უპირატესი განვითარება კანონზომიერი პროცესია, რომელიც ერთის მხრივ, ასახავს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ კი, ქმნის ამ პროცესებისათვის აუცილებელ წინაპირობებს, მაგრამ ეს დადებითი პროცესი 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში შენედა, რამაც მკვეთრად გააუარესა ასკ-ს დისპროპორციულობა. ამასთან ერთად, რეფორმის პერიოდში ვერ ამუშავდა დარგთაშორისი და შიგადარგობრივი ეკონომიკური კავშირები. ამის გამო ქვეყანაში გაჩერდა რეგიონალურ პროდუქტთა ქვეკომპლექსის მუშაობა.

აგროსამრეწველო კომპლექსში ეფექტიანი კვლავწარმოების პირობების შექმნა აუცილებლად მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დროულად დანერგვას და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილები ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის ღირებულებაში ამ დარგების განვითარების დონეზე მეტყველებს. [50]

საქართველოში თუ მთლიან ერთობლივ შიდა პროდუქტის ღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა 56,3%-ს არ აღემატებოდა, მრეწველობის შიდა პროდუქტში – 68,8%-ს აჭარბებდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში იგი მხოლოდ 23,4%-ს შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული იყო ამ დარგების რენტაბელობის დონეებიც: მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე დაახლოებით 4-ჯერ და მეტად აღემატებოდა სოფლის მეურნეობის დარგისას, ხოლო რენტაბელობა 10-ჯერ მეტი იყო. ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობის

დარგის საწარმოო რესურსების (ძირითადი ფონდების) დაბალი ორგანული შედგენილობისა და მისი სტრუქტურული გარდაქმნის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამიტომაც საჭირო ამ ეტაპზე ორივე დარგის დაჩქარებული ტემპით განვითარება.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის პირობები მძიმეა, რადგან ძირითადად ხელით შრომაც გამოყენებული. მასში დასაქმებულ მუშაკთა ფონდშეიარაღება, როგორც წესი, რამდენჯერმე ჩამორჩება მრეწველობას. ასევე ითქმის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ მაჩვენებლებზეც, როგორცაა: შრომის ენერგოშეიარაღება და შრომის ელექტროშეიარაღება. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკის ენერგოშეიარაღება მრეწველობისას ჩამორჩება 5-ჯერ, შრომის ელექტროშეიარაღება კი 16-ჯერ, მაშინ როდესაც პირიქით უნდა იყოს. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობაში შრომის ფონდშეიარაღება 3-ჯერ, ხოლო შრომის ენერგოშეიარაღება 5-ჯერ აღემატება მრეწველობისას, რაც სრულიად კანონზომიერია, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოება სეზონური ხასიათისაა და აქ მანქანა-იარაღებიც სეზონურად არის გამოყენებული. ბევრი მანქანა (მაგალითად, კომბაინი) გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე დღეს, ხოლო მრეწველობაში, როგორც წესი, მთელი წლის მანძილზეა გამოყენებული. ეს გარემოება იწვევს სოფლის მეურნეობის შრომის მაღალი ფონდშეიარაღების აუცილებლობას, ზემოთაღნიშნული ასეთი სხვაობა თვისთავად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს და მრეწველობისაგან მის მკვეთრად ჩამორჩენას. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ და ფონდშეიარაღებაში ამგვარი განსხვავება ქმნის ამ დარგებს შორის გარკვეულ დაპირისპირებასა და წინააღმდეგობას.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ფორმირება და სრულყოფა უწყვეტი აღმავალი პროცესია, რაც უწინარეს ყოვლისა, საწარმოო ძალების მაღალ დონეს და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბაზაზე მის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას ემყარება. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირი და მათ შორის განსაკუთრებით საქართველო, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად ხელით შრომაა გამოყენებული და, ბუნებრივია, რომ შედეგებიც ძალიან არადაამაკმაყოფილებელია.

რეფორმების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ვერ იძლევა იმ პროდუქციას, რაც სოფლისათვის ესოდენ აუცილებელია; (სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ინვენტარი, ყველა სახის სასუქი და შხამ-ქიმიკატები, საწვავ-საცხები მასალები, პირადი მოხმარების მრავალი მცირე აუცილებელი საგნები, ელექტროენერგია და სხვა). თავად სოფლის მეურნეობა მრეწველობას ვერ აწვდის მისთვის საჭირო ნედლეულს, ე.ი. დარღვეულია წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის. სასურველი შედეგი არა აქვს მათ შორის საქონელთა გაცვლას, რაც ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ორივე დარგისათვის.

რა თქმა უნდა, დიდია მნიშვნელობა იმისა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდი რაოდენობით მოიხმარს სამრეწველო პროდუქციას და ამ მხრივ იგი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მრეწველობაზე, ეს გვკარნახობს საერთოდ მრეწველობის დარგის უპირატეს განვითარებაზე. მხოლოდ მანქანურ წარმოებაზე გადასვლით, ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვით შეეძლო თავი დაეღწია განვითარებულ

ქვეყნებში სოფლის მეურნეობას ჩამორჩენილობისათვის და ეს განხორციელდა კიდევ არა აგრარულ ქვეყნებში, არამედ ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ათეული და ასეული წლების მანძილზე გროვდებოდა ჭარბი კაპიტალი, რომელიც ყოველთვის ეძებდა მომგებიანი გამოყენების სფეროებს. ასეთ სფეროდ მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში, კანადაში და 40-იან წლებიდან ევროპაში იქცა სოფლის მეურნეობა. ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და მაღალხარისხიანი სურსათზე მოთხოვნილების სწრაფად გადიდების გამო, სოფლის მეურნეობისაკენ დაიძრა – სამრეწველო, სავაჭრო, საფინანსო-საბანკო და სხვა სახის კაპიტალი, განხორციელდა უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები არა მარტო საკუთრივ სოფლის მეურნეობაში, არამედ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგში – სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, აგროსერვისის დარგებში. გადაწყდა აგრარული სფეროს ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობა გადაყვანილ იქნა ინდუსტრიულ საფუძველზე და მეორე, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსი ყველა ძირითადი ბლოკით. აღნიშნული კომპლექსის დარგობრივ-ფუნქციურმა სტრუქტურამ ოპტიმალური სახე მიიღო, რაც სურსათის დიდი დანაკარგების თავიდან აცილების მთავარი ფაქტორი გახდა.

ჩვენს ქვეყანაში ასკ-ის სრული ციკლით აუმოქმედებლობით მინდვრიდან-მომხმარებლამდე მიტანის გზაზე დღეს ფაქტიურად იკარგება წარმოებული პროდუქციის მეოთხედზე მეტი, მაშინ როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეს დანაკარგები 3-5%-ს არ აღწევს. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ

აგროწარმოებაში დღეისათვის მოქმედი ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმი ნაკლებად ეფექტურია.

ზემოაღნიშნული დღის წესრიგში აყენებს მთლიანად ეკონომიკის, მისი სამეურნეო სუბიექტთა, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი ტიპის ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა ჩამოყალიბება-ფუნქციონირების საკითხების დროული გადაწყვეტის ამოცანას.

ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის ცენტრალური ღერძი აგროსამრეწველო კომპლექსის აღორძინებაზე გადის. ამიტომ საგანგებო მნიშვნელობა აქვს გარდამავალ პერიოდში სწორი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას, რაც რიგ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ მომენტებთან არის დაკავშირებული.

აგროსამრეწველო სასურსათო კომპლექსის ეკონომიკის გარდაქმნის, რეანიმაციის და მდგრადი დინამიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარდაქმნის პროცესების, რეგულირების ძირითადი მექანიზმების ახლებურად გააზრებას და სახელმწიფო როლის გაძლიერებას. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პოლიტიკა უნდა დაემყაროს პრინციპს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურებისა და მექანიზმების შექმნის კოორდინაციასა და რეგულირებას, კერძო სექტორის დაჩქარებული განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნას, ასკ-ს საწარმოების მართვაში მონაწილეობას (მის საწესდებო ფონდში სახელმწიფოს წილის ოდენობით) მოქმედი კანონის შესაბამისად და ახლის შემუშავების გათვალისწინებით.

და ბოლოს, დღეისათვის საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთელი ეროვნული მეურნეობის და, პირველ რიგში, მისი ხერხემლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპების მიხედვით და მათი რეალიზაციის შესაძლებლობების მობილიზაცია. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის და საერთო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

საქართველოს ასკ-ის სისტემაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის და მისი თანამედროვე აგრარულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრა და გადაწყვეტა.

ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, თანამედროვე აგრარული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსს, იგი თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს რამდენიმე მიმართულებით:

პირველი – ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკის (შერეული სოციალური მიმართულების) ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანად ფუნქციონირების გარემო პირობების შექმნა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული ეკონომიკის ხერხემლად გადაქცევის მიზნით.

მეორე – წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფა (დარგობრივი სტრუქტურის, წარმოებისა და რესურსების დარგთაშორისი გაადგილების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის ეკოლოგიზაციის და სხვა პრიორიტეტების დაცვით), ეროვნული მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

მესამე – ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ამ მიზნით შიდა ბაზრის ფორმირება, შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში აქტიურად ჩართვა, საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, სამამულო წარმოების დაცვა.

მეოთხე – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაკრო და მიკრო ეკონომიკური ფაქტორების კომპლექსურად ამოქმედება, ბიზნესის განვითარების წყაროდ მეცნიერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, როგორც ეროვნული ეკონომიკის ბუნებრივი საფუძვლის, გამოყენება, აგრარული და სამრეწველო პოტენციალის გაჯანსაღებისა და განახლების შენარჩუნება (ეროვნული ეკონომიკის დროის მოთხოვნილების დონეზე ფუნქციონირების, ქვეყნის განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლის მატერიალური საფუძვლის მომზადების მიზნით).

მეხუთე – საზოგადოებაში მცირე და საშუალო ფენის მეწარმეთა ჩამოყალიბების მატერიალური საფუძვლის შექმნა, ბაზრის ფორმირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების მომზადება.

მეექვსე – ეროვნულ მეურნეობაში დარგთაშორისი კავშირების გაღრმავება, წარმოების განსაზოგადოების და შრომის განაწილების

პროცესების განვითარება, წარმოების ფაქტორების ეფექტიანად გამოყენება და მათი ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენება.

მეშვიდე – საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების შეხამების ოპტიმალური გარემოს შექმნა. შერეული (სოციალური მიმართულების) ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ზემოთ მოტანილი მოსაზრებები, თუ მათ კომპლექსურად განვიხილავთ და ობიექტურად შევაფასებთ, დაგვარწმუნებს იმაში, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბედს წყვეტს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამიტომ სამრეწველო და აგრარული პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა დაეყრდნოს და მასში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად უნდა მივიჩნიოთ პრიორიტეტების არჩევა სახელმწიფო მხარდაჭერისათვის. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა ქვეყანას სწრაფად გამოიყვანს ეკონომიკური სიდუხჭირისაგან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს მსოფლიოში თვისობრივად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი მიდგომა. ახლა, ყველა ქვეყანაში წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრების დონე და ეკოლოგიური უსაფრთხოება. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო რეგულირებას ამ ეტაპზე უდიდესი როლი ეკისრება.

1.2. აგროსექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის გენეზისი (გამომწვევი მიზეზები)

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან საქართველოში დაიწყო არსებული წარმოების წესის და წარმოების მართვის ათეულ წლებში ჩამოყალიბებული სისტემის აშკარა (დაუფარავი) ნგრევა. მას შემდეგ მოყოლებული ქვეყნის ეკონომიკა (მათ შორის აგრარული) მუდმივ დეგრადაციას განიცდიდა, რაც ბუნებრივად აისახებოდა მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონეზე. იმდროინდელი სტატისტიკური მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანაში 1994 წელს 1988 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 35%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვეთრად დაეცა ელექტროენერჯის გამომუშავება, მინერალური (აზოტიანი) სასუქების წარმოება, ქვანახშირის, მანგანუმის და სხვა წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება. სტატისტიკური მონაცემებით, აღნიშნულ წლებში ქვეყანაში ოფიციალურად აღრიცხული და წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 80-მდე სახეობიდან მკვეთრი დაცემა განიცადა 73-მა დარგმა. [23]

მძიმე მდგომარეობა აღინიშნა ქვეყნის აგროსამრეწველო სასურსათო კომპლექსში. იგივე წლებში მკვეთრად შემცირდა მარცვალ-პარკოსანი კულტურების (37,3%), ბოსტნეულ-ბაღჩეულის (31,2%), ყურძნის (54,1%), ხილის (42,9%), ჩაის მწვანე ფოთლის (86,8%), ციტრუსების (77,7%) და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები, კერძოდ, ხორცისა – 38%-ით, რძისა – 41,9%-ით, ხოლო კვერცხისა კი – 72,1%-ით.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების სარწმუნოებას ადასტურებს ამ წლებში დამუშავებაში მყოფი მიწების (ერთწლიანი ნათესების და მრავალწლიანი ნარგავების ფართობები) დინამიკაც. კერძოდ, მარცვალ-პარკოსანი კულტურებით დაკავებული ფართობები შემცირდა 15 ათასი ჰექტარით, ბოსტნეულ კარტოფილისა – 16 ათასი ჰექტარით, ხოლო სხვა დანარჩენი ერთწლიანი კულტურებისა – საშუალოდ 12 ათასი ჰექტარით. მნიშვნელოვნად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობებიც, კერძოდ, ჩაის პლანტაციებისა – 17 ათასი ჰექტარით, ციტრუსებისა – 10 ათასი ჰექტარით, ხოლო ხილისა და ვენახის შესაბამისად 40 და 31 ათასი ჰექტარით. შემცირებული ფართობები ძირითადად სასურსათო ერთწლიან კულტურებს ეთმობოდა, რაც ქვეყანაში სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიმანიშნებელი იყო. ასე, მაგალითად, დამუშავებაში მყოფ მიწებზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემცირების ფონზე მკვეთრად გაიზარდა სამარცვლე სიმინდის (32,1 ათასი ჰა) და მზესუმზირის (6 ათასი ჰა) ფართობები.

პრაქტიკულად იგივე სიტუაცია დაფიქსირდა მეცხოველეობაშიც, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 39%-ით, ღორის – 67%-ით, ცხვრის – 58%-ით, ხოლო ფრინველის – 64%-ით (პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირება ძირითადად დაკავშირებული იყო კონცენტრირებული საკვებით მომარაგების არსებული სისტემის მოშლით, აგრეთვე ზამთრის საძოვრებზე (დაღესტანში) გადარეკვის შესაძლებლობის გაუქმებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა კრიზისული მდგომარეობა შექმნა ქვეყნის მოსახლეობის აუცილებელი სასურსათო პროდუქტების

მომარაგების საქმეში. შემცირდა ისეთი სურსათის წარმოების მაჩვენებლები, როგორცაა შაქარი (92%-ით), მცენარეული ზეთი (პრაქტიკულად 100%-ით), საღი რძის პროდუქციის (43%), ხორცისა (98%) და სხვა პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, რამაც მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

მოვლენათა ასეთი კრიზისული განვითარება არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ხელისუფლებისათვის, რადგან მისი ძირითადი მიზეზი წლების განმავლობაში ერთიანი საკავშირო პოლიტიკის განხორციელება იყო. კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარება (მათ შორის სოფლის მეურნეობის) ერთიანი საკავშირო ამოცანების რეალიზაციას უკავშირდებოდა, რომლის დროსაც წინა პლანზე წამოწეული იყო არა ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული, არამედ ერთიანი საკავშირო ინტერესები. მასზე იყო მიბმული პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ქვეყანაში შექმნილი დოვლათის (მათ შორის სასურსათო პროდუქციის) გადანაწილების და აღწარმოებისათვის საჭირო სხვა ფაქტორების გამოყენების მექანიზმები.

სოფლად საწარმოო ძალების და წარმოებრივი ურთიერთობების განვითარებას საფუძვლად ედო გასული საუკუნის 20-იან წლებში არანებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი საკოლმეურნეო წყობილება. კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სოფლად შრომისა და წარმოების ორგანიზაციის შეუცვლელ ფორმებად იყო აღიარებული. არც ერთი და არც მეორე არ შეესაბამებოდა ქართველი გლეხის ბუნებას, მის ადათწესებს და ჩვეულებებს. გარდა ამისა, ძალადობაზე დამყარებულ შრომის

ორგანიზაციის ფორმას, რამდენადაც პროგრესული ნიშან-თვისებების მატარებელიც არ უნდა ყოფილიყო, ხანგრძლივი დროით შენარჩუნება არ შეუძლია, ის ადრე თუ გვიან დგება თავისი განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკურ კალაპოტში. მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ძალად დამკვიდრებული წესი ხასიათდებოდა მთელი რიგი შინაგანი წინააღმდეგობებით, ქართულ სოფლის მეურნეობაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წვლილი უფრო უმკაცრესი სახელმწიფო დისციპლინის და აგრარული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო (რომელიც სოფლად მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების უპირატესობას და ცენტრალიზებული მართვის სისტემას ეფუძნებოდა), ვიდრე ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი შრომითი ურთიერთობისა.

რამდენადაც საკოლმეურნეო მოძრაობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის საგანს, ჩვენ არ შევუდგებით მის დეტალურ განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ადრე თუ გვიან სოფლად დამკვიდრებული წარმოებრივი ურთიერთობები აუცილებლად დაუბრუნდებოდა თავის ბუნებრივ ჩარჩოებს. ამის ნიშნები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა, როცა სვანეთის ორი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე (მესტიის რაიონის სოფლებში იფარსა და უშგულში) იმ დროისათვის მართლაც უჩვეულო გლახური მეურნეობები ჩამოყალიბდა. მას, ბუნებრივია, გააჩნდა გარკვეული წინა ისტორია, რომელიც ამავე წლებში კოლმეურნე წევრთა პირად დამხმარე მეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერირების პროცესის გააქტიურებას უკავშირდებოდა. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა საზოგადოებრივი საკუთრებისა და

საზოგადოებრივი შრომის მანკიერი მხარე (რაც პრაქტიკულად აისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის ტემპების შენელებაში ამ დარგისათვის გამოყოფილი რესურსების ზრდის ტემპებთან შედარებით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1980 წელს მიღებულ იქნა საკავშირო დადგენილება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში 1981-85 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის სასურსათო პროგრამების შემუშავების შესახებ, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ცდა), სულ უფრო და უფრო აქტიურად იხილებოდა ქვეყანაში მეურნეობრიობის უფრო ეფექტური და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში გამოსაყენებლად ვარგისი ფორმების ძიების და სხვადასხვა რეგიონებში ექსპერიმენტის სახით დანერგვის საკითხები.

სვანეთის სოფლებში განხორციელებული ექსპერიმენტი ერთადერთი არ ყოფილა ამ მიმართულებით. ამავე წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული სოფლის მეურნეობაში საარენდო ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის, მაღალრენტაბელურ მეურნეობების პროდუქციაზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების შემცირების და პირიქით, დაბალრენტაბელურ მეურნეობებზე ფასების მომატების კუთხით. წარმოებული ნატურალური პროდუქციის ნარჩენის პრინციპიდან (რაც გულისხმობდა სახელმწიფო გეგმების შემდეგ დარჩენილი პროდუქციის განაწილებას კოლმეურნეობის წევრებზე, რაც არც თუ იშვიადათ ნულის ტოლი იყო) შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასვლა და სხვა მრავალი, რამაც, ბუნებრივია, არსებითი სოციალური შედეგი გამოიღო. რაც

შეეხება ეკონომიკურ ეფექტს – ის დიდად არ ამაღლებულა (და ვერც ამაღლდებოდა არსებითად, რაზეც ქვემოთ იქნება აღნიშნული).

ამასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში ხორციელდებოდა პოლიტიკა, რომელიც არ ექვემდებარებოდა ექსპერიმენტირებას, ის სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური პოლიტიკა იყო. ამ პოლიტიკას შეეწირა საქართველოს მთისა და მთისწინეთის საკმაოდ დიდი ნაწილი. ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის უპირატეს განვითარებას, სოფლის მეურნეობასთან შედარებით, მუშახელი ესაჭიროებოდა, რომელიც სოფლიდან უნდა წამოსულიყო ქალაქში. ამ მოტივით დაიცალა არა ერთი მაღალმთიანი და ბარის სოფელი. როცა ამ პოლიტიკის მანკიერი მხარეც გახდა ცნობილი, მშობლიური სოფლებიდან აყრილი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (მიუხედავად მთელი საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის აქტიური მუშაობისა) მთას აღარ დაბრუნებია.

ამდენად, 80-იან წლებში პრაქტიკულად ყველასათვის აშკარა გახდა, რომ, მიუხედავად გატარებული ექსპერიმენტებისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩიხიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. ექსპერიმენტები და ცალკეული, თუნდაც პროგრესული (შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასვლა, შესყიდვის ფასების დიფერენცირება მაღალ და დაბალრენტაბელურ მეურნეობებში, რაც თავის მხრივ რენტის სამართლიან გადანაწილებას ნიშნავდა და ა.შ.) ღონისძიებები, რაც მთავარია ვერ ცვლიდა საკუთრების ფორმას. მიწა და სხვა ძირითადი საშუალებები კვლავ საერთო საზოგადოებრივ, უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა, შრომა არ იყო თავისუფალი და შემოქმედი. მას კარნახობდნენ სად, როდის ან რა უნდა გაეკეთებინა, რა ფასად და ვისთვის მიეყიდა. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულება საწარმოო ძალებსა და

წარმოებრივ ურთიერთობებში დიდხანს ვერ შენარჩუნდებოდა, ის ადრე თუ გვიან სერიოზულ კრიზისში გადაიზრდებოდა.

კრიზისს ერთიან საკავშირო სოფლის მეურნეობაში არ ჰქონია დამახასიათებელი კლასიკური ნიშნები. გარეგნულად ბალანსი შენარჩუნებული იყო სოფლის მეურნეობაში განხორციელებული დიდი მოცულობის კაპიტალური დაბანდებებით, დოტაციებით, სუბსიდიებით და დარგის სახელმწიფო რეგულირების სხვა ბერკეტებით.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, აქ სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა მრავალ პროცესსა და მოვლენაში გამოიხატება, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი ქრონიკულად ჩამორჩებოდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ტემპს.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რენტაბელობას მიეცა შემცირების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია.

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ხდებოდა ცვლილებები, რომლის დაშვება ყოვლად შეუძლებელი იყო ნებისმიერი საღად მოაზროვნე საზოგადოებისათვის, მხედველობაში გვაქვს მაღალინტენსიური სავარგულების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) დაბალნაყოფიერ სავარგულებში (სათიბ-სამოვრებში) გადაყვანის ფაქტები, და ამდენად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ბაზის ხელოვნურად შემცირება.

- კრიზისმა ასახვა ჰპოვა სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის არაკანონზომიერ შემცირებაში ასაკობრივ-დემოგრაფიულ ცვლილებებში, დაცარიელებულ სოფლებისა და პუნქტების შეუქცევად შემცირებაში, განსაკუთრებით მთიან რაიონებსა და რეგიონებში.

- წარმოების ორგანიზაციული ფორმების ფუნქციონირების ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმების მოძველებაში, ერთი ფორმიდან მეორეში (კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებად ან პირიქით) გაუთავებელ გადაყვანაში, სხვადასხვა სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების ფორმირებაში და ა.შ.

თანდათან გამოიკვეთა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვის მოტივაციის უქონლობა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავის უარყოფით გამოხატულებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავლიანობასა და პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობაში პოულობდა ასახვას.

- აშკარა გახდა საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესი განვითარების სახელმწიფოებრივი მცდელობის მარცხი (პირად დამხმარე მეურნეობებთან შედარებით). საზოგადოებრივ საკუთრებაზე და საზოგადოებრივ შრომაზე დამყარებული წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმა პრაქტიკულად დამარცხდა სახელმწიფოსგან ყოველმხრივ შევიწროებულ და დისკრიმინირებულ პირად მეურნეობებთან, რაც პირველყოვლისა ფართობისა და პირუტყვის ერთეულზე პროდუქციის წარმოების ნატურალური მაჩვენებლებით დასტურდებოდა.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების აღდგენის შემდგომ, აგროწარმოებაში (ისევე როგორც ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში) წარმოშობილი კრიზისის ეკონომიკური საფუძველი ერთიანი კავშირის მართვის სამეურნეო მექანიზმში იყო

ჩადებული. საქართველოს ეკონომიკა ერთიანი საკავშირო სისტემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა და აქ გაადგილებული ადგილობრივი თუ საკავშირო დარგების საწარმოები ტექნოლოგიურად კოოპერირებულნი იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებთან და ცენტრალიზებული განაწილების წესით ერთმანეთს აწვდიდნენ წინასწარ დათქმულ მზა პროდუქციას, მაკომპლექტებელ მასალებს და სხვადასხვა საშუალებებს. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები ტრადიციულად დაკავშირებულნი იყვნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებთან (განსაკუთრებით რუსეთთან, საიდანაც შემოდიოდა წარმოებისათვის საშუალებათა 70%-ზე მეტი), საიდანაც იღებდა ან სადაც აწვდიდა პროდუქციის განსაზღვრულ მოცულობას. ასეთ ვითარებაში არ იყო ძნელი წარმოსადგენი, თუ რა მოხდებოდა ამ ერთიან ჯაჭვში რომელიმე ერთი, თუნდაც უმნიშვნელო რგოლის გაწყვეტით. კერძოდ, ერთიანი, ფიქსირებული საბითუმო ფასების, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, წარმოების ყველა სფეროსა და საწარმოს ერთმანეთთან სამეურნეო ძაფებით დაკავშირებისა და უზარმაზარი საწარმოო და მოხმარების ერთიანი სივრცის ცენტრალიზებული მართვის პირობებში ერთი რომელიმე რგოლში შეფერხების წარმოშობა ნიშნავდა ყველა მონაწილის დაზარალებას, რაც მეტ-ნაკლები ზომით განხორციელდა კიდევ.

კრიზისული მოვლენების უფრო მეტი სიმწვავეით განვითარებას (სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით) ხელი შეუწყო ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმაც. მხედველობაშია ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა ახალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე ეროვნული მეურნეობის გადაყვანის პროცესში. დაშვებული მთავარი შეცდომა ისაა, რომ არ იქნა გათვითცნობიერებული

ის გარემოება, რომ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის, გარდა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებისა და არსებული სტრუქტურების გაუქმებისა, საჭიროა აუცილებელი ეკონომიკურ-ორგანიზაციული საკრედიტო-საფინანსო და სხვა საბაზრო სტრუქტურების ფორმირება, რაც საკმაოდ რთულია და, რაც უფრო მთავარია, ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

სერიოზული ხასიათის შეცდომად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ქვეყნის დამოუკიდებელი მართვისათვის ხელისუფლება მოუმზადებელი აღმოჩნდა. ქვეყანას არ გააჩნდა თავისუფალი მეწარმეობის გამოცდილება. ასეთ პირობებში კერძო საკუთრების იდეალიზაცია, პანაცეად გამოცხადება ერთი უკიდურესობიდან (საზოგადოებრივ საკუთრებაზე გადასვლა) მეორე უკიდურესობაში (კერძო საკუთრებაზე) ტოტალური გადასვლა) გადაყვანას ნიშნავდა.

არ იყო გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ერთიან საკავშირო სივრცეში არ არსებობდა პროდუქციის კვლავწარმოების პრობლემები ისევე, როგორც არ არსებობდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები. ახალ საწარმოო ურთიერთობებში ეს ორივე ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრობლემა მთელი სიმწვავეით იჩენს თავს, რომლის გაუთვალისწინებლობა აშკარა შეცდომა იყო.

ყოველივე ზემოთაღნიშნული ეხება ეროვნული მეურნეობის ნებისმიერ სფეროს და დარგს, მათ შორის აგროსექტორსაც, რომელიც მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან ერთად ქმნის ქვეყნის ერთიან სამეურნეო კომპლექსს.

აგროსამრეწველო კომპლექსის სპეციალიზაცია შრომის საკავშირო დანაწილების საფუძველზე, ხოლო პროდუქციის მოწოდება

ცენტრალიზებული წესით ხორციელდებოდა. ეს კი მხოლოდ მთლიანად ხსნიდა პრობლემას პროდუქციის ხარისხში და კონკურენტუნარიანობაში.

აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად პროდუქციაზე, რომელიც რესპუბლიკის გარეთ გაიტანებოდა, ფასები წესდებოდა ცენტრალიზებული წესით, რაც ბევრად მაღლა იდგა, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე ანალოგიური და უფრო უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის ფულად გამოხატულებაში “საკავშირო ექსპორტ-იმპორტის” მაჩვენებელთა გაანგარიშებისათვის, მაგრამ ამავე დროს ქმნიდა ერთგვარ მოჩვენებითობას რესპუბლიკიდან გატანილ პროდუქციის მეტობაზე შემოტანილ პროდუქციასთან შედარებით (მაგალითისათვის, 1 კგ მზა ჩაის ღირებულება გათანაბრებული იყო 5 კგ ხორცის ფასთან, ასეთივე ექვივალენტი მოქმედებდა ციტრუსების მიმართ და ა.შ.).

და ბოლოს, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა მიმართ ტარდებოდა პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეღავათიან ფასებში მიყიდვას ითვალისწინებდა. მსხვილი სამრეწველო ობიექტების, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკურად სუსტი მეურნეობებიდან სესხების ჩამოწერა, სპეცფონდების შექმნა და სხვა ღონისძიებები მიმართული იყო კომპლექსის საწარმოთა განვითარებისათვის. მართალია, ასეთი სუბსიდიები, დოტაციები და სხვა დახმარებები საბოლოო ჯამში საწარმოთა ხარჯზე ხორციელდებოდა (პროდუქციის და ნედლეულის შესყიდვის ფასები არ შეესაბამებოდა მასზე გაწეულ დანახარჯებს, ის მრავალ სხვა ფაქტორის, მათ შორის ძირითადად სოციალური, გათვალისწინებით წესდებოდა), მაგრამ ეს იყო ერთგვარად

მოწესრიგებული და დაბალანსებული სისტემა, რომლის მოშლის შემთხვევაში რაიმე მსგავსი სისტემა უნდა შექმნილიყო.

ზემოაღნიშნული (და კიდევ სხვა მრავალი თავისებურება, რაც აგროწარმოების სპეციფიკას განაპირობებს) არ იყო გათვალისწინებული ამ წლებში, რომლის უარყოფითი შედეგები დღესაც ხელშესახებია ჩვენს რეალურ სინამდვილეში.

1.3. აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური

შედეგების შეფასება

აგრარული რეფორმის განხორციელებიდან გასული 10 წელზე მეტი დრო სავსებით საკმარისია, რათა შევაჯამოთ და შევაფასოთ რეფორმის შედეგები და პასუხი გავცეთ ორ მთავარ კითხვას: პირველი – რა შედეგი მოგვიტანა დღემდე და რა ძვრებია მოსალოდნელი უახლოეს პერსპექტივაში; და მეორე – რა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს რეფორმა მშრომელ ადამიანებს, აქცევს თუ არა იგი მათ ქონების რეალურ მესაკუთრე-მეპატრონედ.

ამ კითხვებზე პასუხი ცალსახად დადებითი ან უარყოფითი არ შეიძლება გაიცეს, რადგან მიმდინარე რეფორმას აქვს უდაოდ გარკვეული დადებითი შედეგები და მიღწევები, მაგრამ ამავე დროს აქვს სერიოზული უარყოფითი მხარეები და ნაკლოვანებებიც.

უდავო ფაქტია, რომ მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად საფუძველი ჩაეყარა სოფლად ახალ საკუთრებით ურთიერთობებზე აგებულ წარმოების ორგანიზაციულ ფორმებს, რაც აგრარული რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ახლა, სოფლად

კერძო საკუთრება დომინირებს, კერძო სექტორში იწარმოება ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 95%-ზე მეტი, მაშინ როცა მისი წარმოება საბჭოთა პერიოდში 45%-ს შეადგენდა.

აგროსამრეწველო კომპლექსში (ასკ-ში) ამჟამად დასაქმებულია ქვეყნის შრომითი რესურსების 56%-ზე მეტი, მის წილად მოდის ძირითადი საწარმოო ფონდების 58%, სოფლის მეურნეობის კერძო სექტორში თავმოყრილია დასამუშავებელი მიწების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) უმეტესი ფართობი და პირუტყვის მთელი სულადობა. იგი თანდათანობით წამყვანი ძალა ხდება ქვეყნის სასურსათო პროდუქტების წარმოებაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა აგრარული წარმოების სტრუქტურამაც. 2004 წლის მონაცემებით, ქვეყნის შიდა პროდუქტის 23% წარმოებული იყო სოფლის მეურნეობაში, 28% - ვაჭრობაში, 13% - ტრანსპორტში და მხოლოდ 16,6%-მდეა მრეწველობაში, მაშინ როცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი ეროვნული შემოსავლის წარმოებაში 1990 წლამდე 37%-მდე, ხოლო სოფლის მეურნეობისა – 18%-მდე შეადგენდა. [61]

აგრარული რეფორმის მეორე დიდი სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვარია ისიც, რომ მან შეაჩერა სოფლად ადრე არსებული უარყოფითი მიგრაციული პროცესები. თუ საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქისაკენ მიმდინარეობდა, ახლა, პირიქით ხდება, მაგალითად, 80-იან წლებში სოფლად დასაქმებული იყო 960 ათას კაცამდე, ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულია 1 300 ათას კაცზე მეტი. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოუყენებლობის გამო, შრომის ნაყოფიერება 3-ჯერ და მეტადაა შემცირებული 80-იან წლებთან შედარებით. კერძო საკუთრება, საბაზრო

გარემო პირობების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ მთელი სიმძლავრით ვერ ამოქმედდა. მოხდა სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია. ახლა, კლასიკურ საქონელმწარმოებელ რეგიონებში მიმდინარეობს ძველ ტექნოლოგიაზე და ხელით შრომაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობის რეანიმაცია, რომელსაც არ ძალუძს შეაღწიოს ცივილიზირებულ ბაზარში.

აგრარული გარდაქმნების გარკვეული მონაპოვარია აგრეთვე ისიც, რომ სოფლად ფართო გაქანება თანდათანობით ეძლევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებასა და აგრობიზნესის დამკვიდრების აუცილებელ და მეტად საჭირო საქმიანობას.

სოფლად უკვე შეიქმნა და ამჟამადაც იქმნება ერთობლივი საწარმოები ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა და უცხოელ პირთა მონაწილეობით. ეს პროცესი მომავალში ფართოდ განვითარდება ისეთ სავალუტო რესურსების მომტან დარგებში, როგორცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეხილეობა და სხვა ტექნიკური კულტურები. იგი აგრობიზნესს თანდათანობით დაამკვიდრებს ქვეყნის ყველა რეგიონში. სოფლად სოციალური გარდაქმნის ერთ-ერთი მონაპოვარია ისიც, რომ ქვეყნად დაიწყო კოოპერაციული მოძრაობის ახალი სწორი მიმართულებით ფორმირება და განვითარება. ეს მოძრაობა ბევრად განსხვავდება და სწორად ვითარდება, ვიდრე იგი ხდებოდა 20-იან წლებში. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უკვე შეიქმნა სხვადასხვა ფორმის მეურნეობები, დაწყებული წვრილი დამხმარე მეურნეობიდან, დამთავრებული მსხვილი აქციონერული საზოგადოებებით, კოოპერაციული ორგანიზაციებით. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ რეფორმის პირველ ეტაპზე გლეხური მეურნეობა, როგორც წესი

წვრილი და მრავალდარგოვანია, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროდუქციის როგორც გასაყიდად, ისე ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წარმოება, თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით უფრო ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობის ნიშნების მატარებელია, ვიდრე მაღალსასაქონლო მეურნეობისა. მაგრამ შემდგომ ეტაპზე საქონლიანობის დონე თანდათანობით გაიზრდება და ამ პირობებში გლეხური მეურნეობა ფერმერულ მეურნეობებად გარდაიქმნება.

სოფლად საქონელმწარმოებელთა დამოუკიდებლობამ და მიწის მიმართ მათმა უფლებრივმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეცვალა მეწარმეთა, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურა, კერძოდ, ის ძირითადად თავის ბუნებრივ ისტორიულ ჩარჩოებს დაუბრუნდა. ასე, მაგალითად, თუ ადრე, 80-იან წლებში ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში მემცენარეობის დარგის ხვედრითი წილი 70%-ზე მეტი იყო, ხოლო მეცხოველეობისა - 30%-ზე ნაკლები, ახლა მათ შორის თანაფარდობა მეცხოველეობის პროდუქციის სასარგებლოდაა. ამასთან, თუ ადრე მემცენარეობის პროდუქციაში მრავალწლიანი ნარგავების (ჩაი, ციტრუსები, ხეხილის ბაღები, ვენახისა და სხვა მრავალწლიანების) პროდუქცია 82%-ზე მეტი, ხოლო ერთწლიან კულტურების პროდუქციას 18%-ზე ნაკლები ეკავა, ახლა მას ერთწლიანი კულტურების პროდუქცია ჭარბობს და მათ შორის თანაფარდობა შესაბამისად 52 და 48%-ია.

ამასთან, ქვეყნის რეგიონალურ ჭრილში შეიმჩნევა შიდამოხმარების პროდუქციაზე საქონელმწარმოებელთა ორიენტაცია, რაც სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომა თანდათანობით შეიცვლება საექსპორტო პროდუქციაზე

წარმოების ორიენტაციით, რასაც ქვეყნის განვითარების ინტერესებიც მოითხოვს.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში აგრარული რეფორმით მიღებული დადებითი შედეგები ჯერ-ჯერობით უფრო საქონელმწარმოებელთა უფლებრივ მდგომარეობაში გამოიხატება, ვიდრე საწარმოო-ეკონომიკურ შედეგებში, კერძოდ, მიღწეულია:

- საქონელმწარმოებელთა უფლება საკუთრებაზე;
- საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის მყარი იურიდიული გარანტიები;
- სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლებისა და სამართლიანი ფასების სრულიად ახლებური კურსი;
- მოქალაქეთა შემოსავლების ზრდისა და სოციალური გარანტიების ახალი პირობები;
- საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების უფლება და სხვა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს თავისუფლება მიენიჭათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის და საკუთარი შემოსავლების გამოყენების საქმეში.

ზემოაღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრარული რეფორმის უარყოფითი მხარეებიც: კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაჩქარევმა პრივატიზებამ, რომელიც მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილების საფუძველზე დაიწყო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაქუცმაცება და სასარგებლო ფართობების შემცირება გამოიწვია. რეფორმის

ხარვეზებით ჩატარების გამო დღეს დამუშავებაში არსებული მიწის საერთო ფონდი 4 მლნ-მდე ნაკვეთადაა დანაწევრებული, რომელზეც მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის განახლება ან შექმნა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის, მელიორაციის, ქიმიზაციის და წარმოების ინტენსიფიკაციის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა მიწების პრივატიზების სრულად დასრულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ეფექტური გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის (ასეთი მიწების 40%), კვლავაც სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება [14]. უფრო მეტიც, დარჩენილი მიწებიდან გაიჯარებული მიწების გამოკლებით მარტო ინტენსიური სავარგულების 60 ათას ჰექტრამდე უპატრონოდაა მიტოვებული (ანუ არ იხვნება და არ ითესება). გარდა იმისა, რომ დაირღვა რეფორმის კომპლექსურობის პრინციპი (ანუ ერთდროულად განხორციელება), აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცა მიწის თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში. არაპრივატიზებული მიწები დარჩენილია საკრედიტო ბაზრის მიღმა, ვინაიდან კერძო კომერციული ბანკების მიერ, გაიჯარებული და მით უფრო უპატრონოდ მიტოვებული მიწები არ განიხილება საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ვიდრე აღნიშნული კატეგორიის მიწებზე არ ჩამოყალიბდება საკუთრების გარანტირებული უფლება, არ დასრულდება ამ მიწებზე სარგებლობის უფლების მოპოვების კორუფციული ფორმები,

ანუ, სანამ ეს მიწები არ ჩაერთვება მიწის ბაზარში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და წარმოების სხვა ძირითად საშუალებათა პრივატიზების პარალელურად ვერ მოხერხდა სოფლად ახალი საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურების შექმნა. ვერ იქნა ამოქმედებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრედიტებისა და დაზღვევის შესაბამისი სტრუქტურები, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე და სხვა სერვისულ მოთხოვნებს ვერ იკმაყოფილებენ სოფლად ახლად შექმნილი გლეხური (ფერმერული) მეურნეობები.

სოფლად საქონელმწარმოებისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის რეალიზაციის სფეროში არსებული სიძნელეები, დღემდე ვერ მოწესრიგდა აგრარული ბაზრების მდგომარეობის, პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაციის მიღების, ეკონომიკური დამუშავებისა და ამ ცვლილებებზე საქონელმწარმოებელთა ადეკვატური რეაგირების მექანიზმები.

დაქუცმაცებული და ეკონომიკურად სუსტი გლეხური (ფერმერული) მეურნეობა არ არის გაერთიანებული ერთნაირ ინტერესების მქონე ამხანაგობებში (კოოპერატივებში), რის გამოც არ ძალუძთ ერთობლივად ებრძოლონ საწარმოო-ეკონომიკურ თუ სხვა ხასიათის პრობლემებს, იყვნენ პროგრესული ტექნოლოგიების, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სხვა საშუალებათა შემკვეთები და მომხმარებლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარვეულ დადასტურებას წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების

საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლები და ამ სექტორში ჩამოყალიბებული არასასურველი ტენდენციები. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად აგრარული რეფორმის განხორციელებისა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის გარკვეული სრულყოფისა და სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ტექნიკურ-ფინანსური დახმარებებისა, აგრარული სექტორის ამჟამინდელი დონე ვერ წყვეტს მის წინაშე დასმულ ამოცანებს, რაც უპირველესად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გამოიხატება. მეტიც, აგრარულმა სექტორმა პრაქტიკულად ამოწურა ის რეზერვები, რომელთა ამოქმედება მიწაზე ახლად დაფუძნებული მესაკუთრის გარჯასა და ენთუზიაზმზე იყო დაფუძნებული. ამის დასტურად სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების 2004 წლის ოფიციალური მონაცემებიც გამოდგება [61]. კერძოდ, ამ წელს (რომელიც არსებითად არ გამოირჩეოდა არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებით) ქვეყანაში წარმოებული იქნა გაცილებით ნაკლები სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ვიდრე 2003 წელს. შემცირდა მიწათმოქმედების პრაქტიკულად ყველა ძირითადი პროდუქციის წარმოება, მათ შორის ხორბლისა 225,4 ათასი ტონიდან 186 ათას ტონამდე, ანუ 17,5%-ით, სამარცვლე სიმინდისა შესაბამისად 461,9 ათასი ტონიდან 410 ათას ტონამდე (11,2%-ით), კარტოფილისა – 425,2 ათასი ტონიდან 390 ათას ტონამდე (8,3%-ით), ბოსტნეულ-ბაღჩეულისა 555 ათასი ტონიდან 510 ათას ტონამდე (8,5%-ით), ხილის – 260 ათასი ტონიდან 160 ათას ტონამდე (39%-ით), ყურძნის – 200 ათასი ტონიდან 180 ათას ტონამდე (10%-ით), ჩაის – 25,5 ათასი ტონიდან 20 ათას ტონამდე (21,6%-ით), უმნიშვნელო ზრდა აღინიშნა რძის (1,9%-ით) და

კვერცხის (1,5%-ით) წარმოებაში, ხოლო ხორცის საერთო წარმოება იმავე დონეზე დარჩა. საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება შემცირდა 161 მლნ ლარით (ზრდის ტემპი 2003 წლის 110%-დან დაეცა 93,5%-მდე, ანუ 16,5 პროცენტული მუხლით), ხოლო დამატებული ღირებულება – 108 მლნ ლარით.

ხორბლისა და სამარცვლე სიმინდის ნათესი ფართობის 80 ათასი ჰექტარით შემცირებას, მარცვლეულის საერთო წარმოების 78,4 ათასი ტონით კლება მოჰყვა, რაც აისახა კიდევ პურ-პროდუქტებისა და მეცხოველეობის პროდუქტების საბაზრო ფასებზე. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, 1 კგ პურის ფასი 2002 წლის 0,70 ლარიდან 2004 წელს 0,94 ლარამდე, ანუ 34,3%-ით გაიზარდა, ძროხის ხორცის შესაბამისად – 20,5%-ით, ღორის ხორცის – 12,4%-ით, ყველის – 26,3%-ით, რძის – 11,3%-ით, ხოლო 1 ცალი კვერცხის – 16,7%-ით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირება უარყოფითად აისახა ეროვნული სასურსათო უშიშროების მაჩვენებლებზე, კერძოდ, ჩვენი გათვლებით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 24-დან 18%-მდე, ანუ 6%-ით, სიმინდის შესაბამისად – 12%-ით, კარტოფილის – 10%-ით, საქონლისა და ღორის ხორცის – 7,0%-ით და ა.შ., რაც სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს მათი იმპორტის მოცულობისა და შესაბამისად საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის გადიდებას.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასების პერმანენტული ზრდის ტენდენციებს, დღეისათვის ქვეყანაში არსებულ ექსპორტ-იმპორტის ბალანსის

მნიშვნელოვან დეფიციტს (რაც დიდი ოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული) და იმ შემთხვევებში პროგნოზებს, რომლებსაც FAO-ს ექსპერტები აკეთებენ 2010-2015 წლებში მსოფლიოში მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის თაობაზე, ნათელი გახდება ადგილობრივი სურსათის წარმოების რესურსების და რეზერვების მაქსიმალური უკუგებით გამოყენების ობიექტური აუცილებლობა.

აგრარული სექტორი, სადაც დღეისათვის დასაქმებულია მოსახლეობის ნახევარზე მეტი და იქმნება შიდა მოხმარების, ასევე საექსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო პროდუქციის 1%-ით გაზრდა იწვევს სამრეწველო პროდუქციის 3-4%-ით გადიდებასა და დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ ყურადღებასა და მხარდაჭერას მოითხოვს.

ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ აგრარულმა რეფორმამ, რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჯერ-ჯერობით სათანადო შედეგი ვერ გამოიღო [14]. აღნიშნულს ადასტურებს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე და სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები, რაც სამომხმარებლო ბაზარზე ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის სასურსათო პროდუქციის მეტად არასასურველ შეფარდებაშია ასახული (დაახლოებით 1:3-თან).

აგრარული რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულება მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება, წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობა და სოფლად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება იყო, ბოლომდე არც განხორციელებულა. არასრულყოფილად ჩატარდა ასევე

საზოგადოებრივ მეურნეობათა რეორგანიზაცია. თავის მხრივ, არასრულყოფილმა რეფორმამ ვერ უზრუნველყო სოფლად ახლად წარმოშობილი სამეურნეო სუბიექტების საბაზრო პირობებთან ადაპტაციისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ახალი სტერეოტიპების დამკვიდრება. ამასთან, დარღვეულ იქნა მთავარი პრინციპი, რაც რეფორმების კომპლექსურად განხორციელებას მოითხოვს. რეფორმა შეეხო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მხოლოდ ნაწილს, მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი კი (სულ 460 ათასი ჰა, საიდანაც 90 ათასი ჰა ინტენსიური სავარგულია) კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა, რომელიც დღემდე არ მუშავდება და პრაქტიკულად უპატრონოდაა მიტოვებული. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული იქნა არაერთი ნორმატიული აქტი, პროექტი, მათი განსახელმწიფოებრიობა (გაიჯარებული მიწების ჩათვლით) დღემდე ვერ მოხერხდა, რაც ხელს უშლის მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნას, სოფლად ინვესტიციების მოზიდვასა და სამეწარმეო აქტივობის ამაღლებას (ამ პრობლემის დარეგულირებისათვის 2005 წლის 8 ივნისს მიღებულია საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ”).

სამწუხაროდ, რეფორმის შემდეგ მიწების გამსხვილება-გამასივების მიზნით გლეხურ, ფერმერულ მეურნეობათა ნებაყოფლობითი კოოპერირების მიმართულებით (არც საწარმოო და არც მარკეტინგულ საფუძველზე) პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. პირიქით, ქვეიჯარის დაშვების შემდეგ, ცალკეულ მეიჯარეებზე გაცემული მსხვილი მასივების წვრილ მეწარმეებზე გადანაწილება მოხდა, რითაც დაიკარგა

შესაძლებლობა მათზე თანამედროვე ტიპის სპეციალიზებული და ოპტიმალური სიდიდის მეურნეობების ორგანიზებისა.

ამდენად, რეფორმის შედეგად, მართალია, მოხდა საბჭოური სისტემის საზოგადოებრივ მეურნეობათა დემონტაჟი და მიწა საკუთრებაში გადაეცა სოფლის მოსახლეობას (რაც უდაოდ დადებით მოვლენად უნდა იქნას ჩათვლილი), მაგრამ რეფორმა ფაქტიურად ამაზე წინ არ წასულა. მიწის მესაკუთრენი (გლეხური, ფერმერული მეურნეობები) პრაქტიკულად მარტონი დარჩნენ გადაულახავი პრობლემების წინაშე. მეტიც, მათი უმრავლესობისათვის მიწაზე საკუთრება დღემდე მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება, რადგან ის ეკონომიკურად არ რეალიზდება, ანუ მესაკუთრისათვის არ მოაქვს მოგება (მესაკუთრე ძირითადად მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზეა ორიენტირებული). მიწის მესაკუთრეს მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო კრედიტებზე ხელი არ მიუწვდება. საბანკო კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს არ შეუძლიათ ისარგებლონ სესხით, არა თუ გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდებებისათვის, არამედ საბრუნავი საშუალებების შესავსებადაც კი. კრედიტის სიძვირის გამო რეკაპიტალიზირებული მეურნეობები ვერ შეიძენენ საჭირო მანქანა-იარაღებს, რათა მეურნეობა წარმართონ გაფართოებული კვლავწარმოების გზით და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

და ბოლოს, სოფლის მეურნეობაში გადაუწყვეტელი პრობლემების ასეთი სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი მისი მართვის არასრულყოფილ სტრუქტურულ, ადმინისტრაციულ და ინსტიტუციონალურ რეფორმაში უნდა ვეძიოთ. მიგვაჩნია, რომ საბაზრო ურთიერთობათა შესატყვისი მართვის მოდელის დანერგვა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის

სამინისტროს მთელ სისტემაში უნდა განხორციელდეს. პრობლემების დარეგულირება და სოფლად საქონელმწარმოებლისათვის ხელსაყრელი, მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, ხელისუფლებისათვის სადღეისოდ პირველი რიგის პრიორიტეტების რანგში უნდა იქნეს აყვანილი, რისთვისაც უნდა შემუშავდეს აგრარული პოლიტიკის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ის რეალობები, რომელსაც დღევანდელი ბაზარი კარნახობს აგროსასურსათო სექტორს.

სამწუხაროდ, საქართველოში გაბატონებულ მისწრაფებას პრივატიზაციისაკენ ჯერ კიდევ არ გადაუჭრია კერძო სექტორის სრულად ამოქმედების პრობლემები და, ბუნებრივია, რომ ამ სექტორში იმალება წარმოების ზრდის უდიდესი რეზერვები, რომელთა ამოქმედებას შეუძლია მოხსნას აგრარული კრიზისი სოფლად.

ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და პროგნოზული გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ რადიკალური ღონისძიებების განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოების დაცემა აგროსამრეწველო კომპლექსში კვლავაც გაგრძელდება, ქვეყანა მოექცევა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების სრულ სასურსათო დამოკიდებულებაში, რაც ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოკიდებულების დაკარგვის ტოლფასი შეიძლება გახდეს მომავალში.

თავი II. აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობის წინამძღვრები

2.1. აგროწარმოებაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი და მისი ეფექტიანობა

აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმი ესაა საქონელმწარმოებლებზე (მეწარმეებზე) ეკონომიკური ზემოქმედების ბერკეტების და მეთოდების ერთობლიობა საინვესტიციო და საწარმოო მოტივაციის გაძლიერების მიზნით. მისი მთავარი ელემენტებია ფასი, გადასახადები, კრედიტი, დაზღვევა, ანუ ეკონომიკური მექანიზმის საფუძველს განსაზღვრავს საქონელზე (მომსახურებაზე) ფასწარმოქმნის და ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობები.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ამოცანებია უზრუნველყოს ექვივალენტური გაცვლა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგებს შორის, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება სამამულო სურსათით, რაც ირიბად ნიშნავს სამამულო აგროწარმოების ეფექტურ განვითარებას.

ჩვენი აზრით, საბაზრო ეკონომიკურ პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, პირველ ყოვლისა, ეკონომიკურად დასაბუთებული ფასწარმოქმნის სისტემაზეა დამოკიდებული, რამდენადაც პროდუქციაზე ფასი დგინდება არა მარტო ბაზარზე მისი მიწოდება-მოთხოვნის წონასწორობის საფუძველზე, არამედ პროდუქციის წარმოების დანახარჯებისა და თითოეული საქონელმწარმოებლის

ეკონომიკურ შესაძლებლობათა წონასწორობის საფუძველზე. ასეთ ვითარებაში საქონელმწარმოებლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პროდუქციის რეალიზაციის ფასი უზრუნველყოფდეს მოგების გარკვეულ დონეს, რათა მიღწეული იქნეს პროდუქციის გაფართოებული კვლავწარმოება. ასეთი თანაფარდობის მიღწევა კი ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის მოქმედების პირობებში ყოველთვის არაა შესაძლებელი. უფრო მეტიც, რიგ პროდუქტებზე ჩამოყალიბებული სარეალიზაციო ფასები არა თუ არ უზრუნველყოფენ რენტაბელობის გარკვეულ დონეს, არამედ მარტივ კვლავწარმოებასაც კი. ეს მკვეთრადაა გამოხატული როგორც მიწათმოქმედების, ასევე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბალი რენტაბელობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი აგროპროდუქციისა და მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო საწარმოო რესურსებზე ფასების ჩამოყალიბებული არარაციონალური თანაფარდობაა. შესაბამისი მასალების გაანალიზების საფუძველზე ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ რეფორმირებამდე სოფლის მეურნეობაში საკმაოდ განვითარებული იყო შიგადარგობრივი კონკურენცია (როგორც შიგამეურნეობრივი, ასევე მეურნეობათაშორისი), მაგრამ პრაქტიკულად ნულამდე იყო დასული დარგთაშორისი გარემოს კონკურენტული პოტენციალი, ანუ კონკურენცია ერთი და იგივე სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ და ნედლეულის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოთა შორის. ცენტრალიზებულად მართვადი სისტემისათვის ეს არც იყო საჭირო, რადგან დარგთაშორისი კონკურენციის სხვადასხვა ასპექტი სახელმწიფოს ხელში არსებული იმდროინდელი ეკონომიკური მექანიზმის სხვადასხვა ბერკეტებით (ფასების მექანიზმით, საგადასახადო პოლიტიკით და ა.შ.)

რეგულირდებოდა. დღეს ეს გარემოება აგრარული წარმოების განვითარების ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მხედველობაში გვაქვს სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც მათ მონოპოლურ მდგომარეობაში ნახულობს რაოდენობრივ გამოხატულებას. კერძოდ, ჩვენი გამოთვლებით ბოლო ხუთ წელიწადში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები საშუალოდ 1,5-ჯერ გაზრდის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო საშუალებებზე ფასები 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ ფასების ასეთი დისპარიტეტი ძირითადად გამოწვეულია კომბინირებული საკვების, მინერალური სასუქების, საწვავ-საცხები მასალების და წარმოების სხვა საშუალებათა მწარმოებელი საწარმოების მონოპოლური მდგომარეობის გამო. ისინი გამოდიან ერთგვარი ბუნებრივი მონოპოლიების რანგში, მაშინ როდესაც სოფლად საქონელმწარმოებლები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სპეციფიურობის გამო, ფასების მატებით უბრალოდ ვერ ისარგებლებენ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქონელმწარმოებლებისათვის საწარმოო რესურსების მომწოდებლების მონოპოლური მდგომარეობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ფასების პარიტეტის ზრდისა სამრეწველო საწარმოების სასარგებლოდ. ამას ემატება მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქონელმწარმოებლების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას უკავშირდება.

მხედველობაში გვაქვს ყურძნის პირველადი გადამამუშავების და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა საწარმოების მონოპოლური მდგომარეობა, რომლებიც, სარგებლობენ რა არაკონკურენტული

გარემოთი, მონოპოლურად დაბალ ფასს სთავაზობენ საქონელმწარმოებლებს, რითაც კიდევ უფრო კაბალურ პირობებში აყენებენ მათ. ეს განსაკუთრებით შედარებით მაღალმოსავლიან წლებში აღინიშნება. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში რაიმე პოზიტიური ნაბიჯები არ იდგმება, პირიქით, ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გამოიკვეთა სამრეწველო წარმოების პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების წინმსწრები ტემპებით ზრდის ტენდენცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების ზრდასთან შედარებით, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო დააგდებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობის დონეს. ასე, მაგალითად, ჩვენი ექსპერტული შეფასებით, თუ 1992 წელს (ანუ დარგის რეფორმირების დასაწყისში) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის სარეალიზაციო ფასი და ამ პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო წარმოშობის მატერიალური საშუალებების ფასების ინდექსების შეფარდება 055-ის ტოლი იყო, 1995 წელს - 040, ხოლო დღეისათვის 038-ის ტოლია. ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების ერთი ლარით გაზრდაზე საშუალოდ სამრეწველო წარმოშობის მატერიალური საშუალებების 2-3 ლარით გაძვირება მოდის. ეს განსაკუთრებით მწვავედ აისახება საწვავ-საცხები მასალებით, მინერალური სასუქებით, ელექტროენერგიით და სხვა შედარებით მაღალღირებული წარმოების საშუალებებით მომარაგებასა და უზრუნველყოფაზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სისტემას უკავშირდება, დღეისათვის სოფლად მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური მექანიზმის მეორე ძირითადი ელემენტის – საკრედიტო სისტემის შესახებ. ის ფაქტი, რომ აგრარული სექტორის რეფორმირების დაწყებიდან განვილილ 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დღემდე ვერ მოხერხდა მიწისა და სხვა უძრავი ქონების გამოყენება სესხის მიღებისათვის, ან ის ფაქტი, რომ დღემდე საკრედიტო რესურსზე შენარჩუნებულია 20-25%-იანი სასესხო სარგებელი, იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკური მექანიზმის ეს ელემენტიც ფაქტიურად უმოქმედოა საქართველოს სინამდვილეში, კრედიტზე ხელმიუწვდომლობა კი სოფლად საქონელმწარმოებელთათვის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. მდგომარეობის შედარებით გამოსწორების მიზნით, უნდა გაგრძელდეს საქონელმწარმოებელთა მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების პრაქტიკა, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება (განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა, როგორცაა დეგრადირებული და ეროზირებული მიწების აღდგენის და ნაყოფიერების ამაღლების, ტყის დაცვისა და მელიორაციის, მცენარეთა და ცხოველთა მაღალპროდუქტიული, დაავადებაგამძლე ახალი ჯიშების გამოყვანის და ა.შ.) და სხვა ის ღონისძიებები, რომლებიც გარკვეულწილად ხელს შეუწყობენ შეღავათიან საკრედიტო რესურსებზე საქონელმწარმოებელთა ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ამ მიზნით აუცილებელ ღონისძიებად უნდა იქნას მიჩნეული სახელმწიფოს მიერ აგრარული წარმოების დაკრედიტების საკითხის მოგვარება. უნდა დაჩქარდეს სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, რომლის გარეშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აგრარულ საკრედიტო სისტემის

ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება (გერმანიაში “რაიფაზენის” კრედიტი, ნიდერლანდებში “რაბოპინკი”, საფრანგეთში “აგრიკოლი” და ა.შ.) და ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციფიური თავისებურებანი. ჩამოთვლილი ქვეყნების ანალოგიურად, ჩვენს ქვეყანაში ასეთი აგრარული საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და საწყისი კაპიტალის ფორმირებაში საქონელმწარმოებელთა თანამონაწილეობასთან ერთად, სახელმწიფოს წილი ძირითადი უნდა იყოს. აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმისა - შესაძლებელია ქონების დაზღვევა გახდეს, რომელიც დღეისათვის რაიმე არსებით როლს არ თამაშობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. ამ ფაქტორის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც მიწაზე მეურნეობრიობა ძირითადად მეტეოროლოგიურ პირობებზეა დამოკიდებული (სადაც, როგორც წესი, მოსავლიან წლებს გარკვეული თანმიმდევრობით მოუსავლიანი წლები ცვლის). ასეთ პირობებში დღის წესრიგში ყოველთვის დგება მოსავლისა და უძრავი ქონების დაზღვევის შეღავათიანი სადაზღვევო სისტემის ამოქმედების საკითხი (რაც სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით უნდა ხორციელდებოდეს). მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ეკონომიკური მექანიზმის ეს ბერკეტიც არ გამოიყენება ჩვენს რეალობაში. შეღავათიანი სადაზღვევო სისტემა ისეთივე ხელმიუწვდომელია სოფლად

საქონელმწარმოებლებისათვის, როგორც შეღავათიანი მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები, წარმოებულ პროდუქციაზე რაციონალური და სტაბილური ფასების პარიტეტი.

სოფლად სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობას ხელს უშლის პირველყოვლისა სოფლად საქონელმწარმოებელთა, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა, ოჯახური მეურნეობების უკიდურესად დაბალი ფულადი შემოსავლები (რაც პროდუქციის რეალიზაციის პრობლემასთანაა დაკავშირებული). არსებითია ისიც, რომ არ არსებობს გარანტიები სახელმწიფოსაგან ქონების დაზღვევისათვის გადახდილი თანხების დროული და გარანტირებული ანაზღაურებისათვის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სადაზღვევო კომპანიის ზარალი მოსავლის რაიმე სტიქიური მოვლენისაგან განადგურების შემთხვევაში (რომელიც, როგორც წესი, მასშტაბურია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასშტაბების გამო), არც თუ იშვიათად სცილდება მათ შესაძლებლობებს. ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიურობის, აგრეთვე დარგის ბუნებრივ-მეტეოროლოგიურ პირობებზე დიდად დამოკიდებულების გათვალისწინებით, სახელმწიფომ არა მარტო ხელი უნდა შეუწყოს სადაზღვევო საქმიანობის გააქტიურების პოლიტიკას სოფლად, არამედ გამოვიდეს, ასევე როგორც სადაზღვევო კომპანიის გარანტი ზარალის დაფიქსირების შემთხვევაში საქონელმწარმოებელთათვის სადაზღვევო თანხის დროული და სრული მასშტაბით ანაზღაურებისათვის. ასეთ ვითარებაში არა მარტო მოსავლისა და ქონების დაზღვევა მიიღებს ფართო ხასიათს, არამედ დაიზღვევა სოფლად საქმიანობის ნებისმიერი რისკი (რისკის დაზღვევის პროგრესული ფორმების შემოღება აუცილებელია

ასევე იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც თავიანთ სახსრებს აბანდებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში).

რიგ ქვეყნებში სადაზღვევო სისტემის აღორძინებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოყენებულია სახელმწიფოს თანამონაწილეობა სოფლად საქონელმწარმოებლის დასაზღვევი ქონების გადასახადის დაფარვაში, ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში დაზღვევის გადასახადის ნახევარს სახელმწიფო ფარავს [89]. ანალოგიური პრაქტიკაა ევროპის ცალკეულ ქვეყნებშიც. ეს პრაქტიკა ფრიად საყურადღებოა და, ჩვენი აზრით, ასევე დასაწერგია ჩვენს ქვეყანაშიც. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ეკონომიკური მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტის – საგადასახადო სისტემის შესახებაც. აგროსასურსათო სექტორის საწარმოები იხდიან პრაქტიკულად ქვეყანაში მოქმედ ყველა სახის გადასახადს. მათ შორის დამატებული ღირებულების, მოგების, ქონების და სხვა სახის გადასახადები. ჩამოთვლილი გადასახადებიდან მიმდინარე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებისათვის დამატებული ღირებულებისა და ქონების (მიწის) გადასახადია. პირველი ირიბი გადასახადია, რომლის გადამხდელი პროდუქტის საბოლოო მომხმარებელია. მიუხედავად ამისა, დამატებული ღირებულების გადასახადი მონაწილეობს საქონლის სარეალიზაციო ფასის სტრუქტურაში და ამდენად ამ პროდუქტზე მოთხოვნის გარკვეული ანტისტიმულია (აძვირებს მას). ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა ბრუნვა (შემოსავალი) არ აღემატება წლის განმავლობაში 100 ათას ლარს, თავისუფლდებიან ამ სახის გადასახადისაგან. ამდენად ეს პრობლემა აბსოლუტური უმეტესობა სოფლად საქონელმწარმოებლებისათვის

(წვრილი გლახური მეურნეობებისათვის) არ არსებობს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, რომელთა შემოსავალი აღემატება აღნიშნულ სიდიდეს, დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, როცა მეწარმის შემოსავალი უახლოვდება 100 ათასიან ნიშნულს, მის წინაშე დგება რამდენიმე ალტერნატივა – გაზარდოს წარმოების ტემპი და დაიწყოს გადასახადის გადახდა, განავითაროს მეურნეობა გაფართოებული კვლავწარმოების გზით, თუ გაყოს მეურნეობა ფიქტიურად, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. ჩვენს მიერ ექსპერიმენტული წესით გამოკითხულთა უმეტესობა აღიარებს, რომ ურჩევნიათ ნაკლები დაბრკოლებებით იარონ, ანუ ხელი აიღონ მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებაზე, მით უმეტეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ქვეყანაში არსებულ მეტად არახელსაყრელ პირობებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვილი საქონელმწარმოებლები, რომელთა ფართობი 5 ჰა-ზე მეტია, იხდიან მიწის (ქონების) გადასახადსაც.

ჩვენს მიერ ექსპერტული შეფასების საფუძველზე გაანგარიშებული იქნა ის შესაძლო ზარალი, რასაც ამ გადასახადის სოფლად საქონელმწარმოებლებზე გავრცელებით, ნახულობს ქვეყანა.

გაანგარიშების საფუძველად აღებული იქნა გარდაბნის რაიონში მიწათმოსარგებლეთა სტრუქტურა, სადაც ჩვენი გათვლებით, შედარებით მსხვილ საქონელმწარმოებელთა რაოდენობა საშუალოდ 8-10%-ს შეადგენს, სარწყავ ფართობზე, რომელსაც ისინი იჯარით იღებენ მესაკუთრეებისაგან (10-15 ჰა-მდე), არის საშუალება საშუალო ინტენსივობის პირობებშიც წარმოებული იქნას საშუალოდ 80-90 ათასი ლარის ღირებულების

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. თუ დავუშვებთ, რომ მათი ნახევარი მაინც არ შეუშინდება დამატებული ღირებულებისა და ქონების გადასახადის გადახდას და საშუალოდ მხოლოდ 3-4%-ით გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპს, მაშინ ქვეყნის მასშტაბით ეს მიახლოებითი გაანგარიშებით 50-60 მლნ ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტოლფასი იქნება. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან ამოღებული დამატებული ღირებულების გადასახადი ისედაც არა არსებითი მნიშვნელობისაა, ჩვენი აზრით, უნდა დაისვას საკითხი ამ სახის გადასახადისაგან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საერთოდ განთავისუფლების თაობაზე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებისათვის ასევე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ქონების) გადასახადიც, რომელსაც დღეს მოქმედი საგადასახადო კანონის თანახმად, არ იხდიან 5 ჰა-მდე მიწის მეპატრონენი, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების საცდელ-ექსპერიმენტალური, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო უმაღლესი სასწავლებლები და სხვა მოსარგებლენი. ძირითადი მიზანი ამ გადასახადის დაწესებისა არის მიწის დაცვისა და ათვისების, მიწის ნაყოფიერების ამაღლებისა და რაციონალურად გამოყენების სტიმულირება. ის უნდა გამოიყენებოდეს მიწის კადასტრის და მონიტორინგის, მიწათმოწყობის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სხვა იმ მიზნებისათვის, რომელიც საბოლოო ანგარიშით მიწის მაღალნაყოფიერ და პროდუქტიულ გამოყენებას უკავშირდება. ამ მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირებული თანხები აუთვისებლობის შემთხვევაში არ უნდა ამოიღებოდეს და არ უნდა

იხარჯებოდეს სხვადასხვა მიზნებზე (მასწავლებელთა, ექიმთა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ხელფასებზე), რაც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. დღეს ეს გადასახადი არ ამართლებს მიზანს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ სახის გადასახადიდან პრაქტიკულად არაფერი ხმარდება მიწის ნაყოფიერების ამაღლებას, მიწების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების გატარებას, მიწებზე კულტურულ ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას და ა.შ., რის შედეგადაც სახეზე გვაქვს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით დაზიანებული ათობით ათასი ჰექტარი მიწა, ნაყოფიერება დაქვეითებული და დამლაშებული ნიადაგების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, გაუდაბნოების, მეორადი დაჭაობების და სხვა არასასურველი პროცესები. ჩვენი გათვლებით, გადასახადების სრულად მიმართვა მიზნობრივად მიწის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლებისათვის (ყოველწლიურად საშუალოდ 15-20 მლნ ლარი) სრულიად საკმარისი იქნებოდა ეროზიული პროცესების და ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითების შესაჩერებლად, რომლებსაც დღეს საქართველოში პრაქტიკულად შეუქცევადი ხასიათი აქვს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი ამ სფეროში შექმნილი რეალური მდგომარეობის სრულიად არაადეკვატურია. ეკონომიკური მექანიზმის არც ერთი ბერკეტი არ პასუხობს დროის მოთხოვნებს, რის გამოც მთელი ეკონომიკური მექანიზმი პრაქტიკულად არაეფექტურია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აგროსასურსათო სექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა

არსებული ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფაა, რაც სწორი აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზეა დამოკიდებული.

აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს. ინდიკატური გეგმა არ შეიცავს დირექტიულ დავალებებს (საბჭოეთის პირობებში არსებული სახელმწიფო გეგმის საპირისპიროდ) რაიონებზე და ცალკეულ საწარმოებზე და არ ზღუდავს მეურნე სუბიექტის საქმიანობის მიზნებსა და მიმართულებებს, პირიქით, აწვდის მათ ინფორმაციას ქვეყანაში წარმოების მოცულობასა და პერსპექტიულ განვითარებაზე, ასევე საბაზრო კონიუნქტურაზე, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის, აგრეთვე ცალკეული სახის ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ბალანსებზე.

ინდიკატური გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებია [56], რომლითაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს ეკონომიკის რეგულირებას, პრიორიტეტული დარგებისათვის საჭირო პირობებისა და გეგმით გათვალისწინებული პროგნოზული პარამეტრების მიღწევას. “საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (რომელიც ჯერ არ გაუქმებულა), სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, რაც ჩვენს სინამდვილეში არ ხდება. ამით იკარგება ბიუჯეტური სახსრების პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების აღორძინებისათვის გამოყენების კარგი შესაძლებლობა. [12]

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საბოლოო მიზანი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას, სხვადასხვა საწარმო-ეკონომიკურ

პირობებში მყოფი რეგიონების ეკონომიკურ გამოთანაბრებას და საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების დონის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, ნებისმიერი პროგრამა შერჩეული უნდა იქნეს კონკურსის (ტენდერის) საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების, დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, რაც პრაქტიკულად არ ხდება. შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის თავის ფუნქციას ინდიკატური დაგეგმვა ვერ ასრულებს, რის გამოც აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების ეს მნიშვნელოვანი ბერკეტიც პრაქტიკულად უმოქმედოდაა დარჩენილი.

2.2. სახელმწიფო რეგულირების მიზნები და ამოცანები აგროსექტორში

მეურნეობრიობის ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის ეროვნული მეურნეობა. ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების შედეგად 1990-1994 წლებში თითქმის 6-ჯერ შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. 1994 წელს სამრეწველო წარმოების დონემ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია და 1990 წლის ფაქტიური დონის მხოლოდ 6% შეადგინა. 1995-1998 წლებში, მართალია, დაიწყო პროდუქციის წარმოების თანდათანობითი ზრდა, მაგრამ მთლიანად არსებული სამრეწველო პოტენციალის გამოყენების მაჩვენებლები მხოლოდ 8-9%-მდე გაზარდა. [49]

დაახლოებით ასეთივე მძიმე მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობაც, თუმცა მან ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, უფრო მეტი ცხოველმყოფლობა შეინარჩუნა.

სამრეწველო წარმოების დონის დაცემამ და ამის შედეგად მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებამ საერთო შიდა პროდუქტში, მიგვიყვანა ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციამდე, რაც ნათლად ჩანს კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოების დინამიკაში. მოძველებულია სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური ბაზა, დაზიანდა ან გაიძარცვა ძირითადი საწარმოო ფონდების დიდი ნაწილი, პრაქტიკულად არ ხორციელდება მათი განახლება და გადაიარაღება. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ მაღალკვალიფიციური კადრების განთესვას, საწარმოთა ხელმძღვანელობის არასაკმარის მზადყოფნას ახალ პირობებში სამუშაოდ, დარგის განვითარების საკითხებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის დაქვეითებას და სხვა პრობლემებს, ადვილი წარმოსადგენია საქართველოს ეროვნული მეურნეობის (მათ შორის აგროწარმოების) წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანები.

ამასთან ერთად, სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ახლებურად ფორმირება მჭიდროდ უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებას. ამ უკანასკნელის ტიპიური მახასიათებელია ის, რომ დირექტიული წესით და მეთოდებით მართვამ ძირი გამოუთხარა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური წესით მართვას. იგი დარგის რეფორმირებამდე პრაქტიკულად არც არსებობდა. შექმნილ სიტუაციაში მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია (როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს პროფესორი გიორგი პაპავა) მაკროეკონომიკის ხედვა მიკროეკონომიკის პოზიციებიდან, და არა პირიქით [41] . საჭიროა

მართვისას ვიცოდეთ, მიკროეკონომიკა როგორ ასრულებს მაკროეკონომიკის ფულადი სახსრებით მასაზრდოებელ ფუნქციას. მაკროეკონომიკა კი ფულის უკუგებიან არხებში ჩართვით, როგორ ახორციელებს მიკროეკონომიკის საყოველთაო აღმავლობის გარემო პირობების ჩამოყალიბებას.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიზნებია:

- საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების გარდაუვალი ნეგატიური შედეგების შენელება და მათი უარყოფითი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

- საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის სათანადო წინამძღვრების შექმნა;

- საზოგადოების არაშრომისუნარიანი და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ფენების სოციალური დაცვა;

- თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ორგანიზაცია და ა.შ.;

- სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობასა და საბაზრო ურთიერთობათა მხარდაჭერის სფეროებში ამჟამად ჩვენი ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საკუთრივ საბაზრო სისტემის ფორმირება-განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება, ეკონომიკურ რეგულატორთა სისტემის ამოქმედება, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საერთო სტრატეგიის ძირითადი პრინციპებია:

- სახელმწიფოს მიერ, სხვა თანაბარ პირობებში, გარკვეული უპირატესობის მინიჭება და სუბსიდიების გამოყოფა, პირველ რიგში იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც არ იზიდავს კერძო ბიზნესს, მათი პროდუქციის სპეციფიკურობისა და, როგორც წესი, დაბალმომგებიანობის გამო (განათლება, თავდაცვა, სახელმწიფო წესრიგის დაცვა და ა.შ.);

- კერძო ბიზნესის მიმართ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც კი არ ავიწროებს, არამედ ხელს შეუწყობს მის ფუნქციონირებას.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში [43,] გამოყოფენ სახელმწიფოს სამ გლობალურ ეკონომიკურ ფუნქციას, რომლებიც ეხება ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანობას, სამართლიანობასა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო მოწოდებულია შექმნას ოპტიმალური პირობები წარმოების მაღალეფექტიანი განვითარებისათვის. მხედველობაში გვაქვს ანტიმონოპოლური ღონისძიებების განხორციელება, კონკურენციის აქტივიზაცია, რესურსების განაწილების კორექტირება, ინფრასტრუქტურების რაციონალური ფუნქციონირება, საბაზრო მექანიზმის სრულყოფა და ა.შ. ბაზარი ცნობს შემოსავლის განაწილების მხოლოდ ერთ კრიტერიუმს, ესაა: საქონლისა და მოხმარების ბაზარზე კონკურენციაში მონაწილეობის შედეგი. აქედან გამომდინარე, სამართლიანად ითვლება როგორც მაღალი შემოსავალი იმათთვის, ვინც თავი ისახელა “თამაშის წესების” დაცვით ეკონომიკურ მეტოქეობაში, ისე დაბალი შემოსავალი იმათთვის, ვინც მარცხი განიცადა ამ მეტოქეობაში. სახელმწიფოს უშუალო მოვალეობაა რეაგირება მოახდინოს იმ ფაქტებზე, რომ ბაზრის კანონების მიხედვით შემოსავლის

სამართლიანი განაწილება ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით, არც თუ იშვიათად უსამართლო განაწილებად წარმოგვიდგება. სახელმწიფომ ეს “უთანასწორობა” ბაზრის ძირითადი ტენდენციების შეზღუდვით კი არ უნდა აღმოფხვრას, არამედ უნდა გაათანაბროს კარგად დასაბუთებული საგადასახადო სისტემის საფუძველზე, შემოსავლის განაწილების გზით.

ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, შექმნას ქვეყანაში მყარი საფუძველი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისა და ვალუტის მტკიცე კურსის შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელია ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება.

ამ ფართომასშტაბიან პრობლემებთან ერთად, სახელმწიფო კისრულობს ისეთ ფუნქციებსაც, როგორცაა: საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა და სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური ორიენტაცია; ბაზრის ნეგატიური შედეგების შერბილება; მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მხარდაჭერა; ფისკალური პოლიტიკის გატარება და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება; დიფერენცირებული რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება; ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა-ძიების დაფინანსება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ მიმართულებათა განვითარების სტიმულირება, რომლებიც საჭიროებენ დიდძალ დაბანდებებს, ხანგრძლივუკუგების ვადებს და უდიდეს რისკს. ეს ეხება აგრეთვე ჯერ კიდევ გაურკვეველი პერსპექტივის ახალი დარგების განვითარებასაც.

როგორც ჩანს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ავსებს და რამდენადმე სრულყოფს წმინდა საბაზრო მექანიზმს. დღეისათვის ამგვარ დასკვნას ძალიან ცოტანი თუ ხდიან საკამათოდ, მაგრამ მთავარ სადისკუსიო თემად კვლავ რჩება საკითხი ეკონომიკის ფუნქციონირებაში

სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები ფარგლების შესახებ. ამ მხრივ ოპტიმალობის პრინციპი თუ არ იქნება დაცული, ეკონომიკის ნორმალური განვითარება გამორიცხულია. სახელმწიფოს მარეგულირებელი რგოლის შესუსტება საბაზრო ეკონომიკის ნეგატიურ მხარეებს გააძლიერებს, გადამეტებული ჩარევა კი მკვეთრად დასწევს საბაზრო სტიმულირების ქმედითუნარიანობას, ამიტომ ეს პროცესი საჭიროებს უაღრესად ფრთხილ, ყოველმხრივ გააზრებულ და სათუთ მიდგომას.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის ცენტრალური ღერძი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებზე გადის. ამიტომ საგანგებო მნიშვნელობა აქვს გარდამავალ პერიოდში სწორი სამრეწველო და აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას, რაც რიგ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ მომენტებთან არის დაკავშირებული.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების გარდაქმნის, რეანიმაციისა და მდგრადი დინამიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარდაქმნის პროცესების რეგულირების ძირითადი მექანიზმების ახლებურად გააზრებას. სახელმწიფო როლის გაძლიერებისათვის განსახორციელებელი პოლიტიკა უნდა დაემყაროს პრინციპს “საწარმოებისათვის და არა საწარმოებში”, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურებისა და მექანიზმების შექმნის კოორდინაციასა და რეგულირებას, კერძო სექტორის დაჩქარებული განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მართვაში მონაწილეობას მის საწესდებო ფონდში სახელმწიფოს წილის ოდენობით, მოქმედი კანონის შესაბამისად ახლის

შემუშავების გათვალისწინებით. და ბოლოს, ახლა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთელი ეროვნული მეურნეობის და, პირველ რიგში, მისი ხერხემლის – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპების მიხედვით და მათი რეალიზაციის შესაძლებლობების მობილიზება; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ნებისმიერი დარგის აღორძინება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის და საერთოდ, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და განმტკიცება.

საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის და მისი თანამედროვე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების დასმა და გადაწყვეტა, რომლის პრეროგატივა სახელმწიფოს ეკუთვნის და იგი (ფუნქცია) მანვე უნდა შეასრულოს.

სწორედ ამიტომ ეკონომიკური (აგრარული) პოლიტიკის ახალი კურსის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლოესი პერიოდისათვის ჩვენ გვესახება ხელისუფლების მიერ აგროსექტორისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის მინიმალური პირობები მაინც. პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალიზაციას, მისი სტრუქტურის თვისებრივად შეცვლას, ის მომავალში ისეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ საფუძველი შეუქმნას სასურსათო პროდუქტების ადგილზე წარმოების განვითარებას

დაჩქარებული ტემპებით და ძირითადად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები სასურსათო პროდუქციაზე.

ამდენად, დღეს ქვეყნის სოფლის მეურნეობამ, რეფორმის კურსის გატარების შედეგად, ადგილობრივი სასურსათო პროდუქტების დეფიციტი კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ, პირიქით, უნდა შეამციროს ჩამოყალიბებული დეფიციტი, რისთვისაც საქართველოს გააჩნია ყველა პირობა, ანუ დარგს შეუძლია პოტენციაში ძირითადად უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების პროდუქტებით. ის ფაქტი, რომ ამჟამად სოფლად საქონელმწარმოებელი იძულებულია წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი მიმართოს თვითუზრუნველყოფაზე, ანუ შეამციროს საქონლიანობის დონე, ობიექტური ფაქტორებითაა გამოწვეული, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი აგრარული რეფორმის არასწორი კურსით ჩატარებაა.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ისიც არის, რომ ქვეყანაში მძლავრობს აგრარული კრიზისი და მისი დაძლევის გზები მის წიაღში უნდა ვეძიოთ. ეს თეზისი არსებითად აქსიომატურია, იგი არ მოითხოვს ვრცელ არგუმენტაციას და თუ აქ ვმსჯელობთ მასზე, იმიტომ, რომ პრაქტიკაში ხშირად მას სათანადოდ არ აფასებენ და იგნორირებენ კიდევ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური მოვლენების გამო, სოფლის მეურნეობა ძირითადად სურსათით თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული სექტორი გახდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ქვეყანაში უკვე გამოიკვეთა საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგებისადმი

(მეჩაიეობა, მევენახეობა-მეღვინეობა) გაზრდილი ინტერესი და გარკვეული მხარდაჭერა. ამ სასურველ ტენდენციებს ესაჭიროება ხელის შეწყობა და განვითარება, გაღრმავება. იგი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების, სურსათით თვითუზრუნველყოფის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ და სახელმწიფომ იგი სწორი მიმართულებით უნდა არეგულიროს. დღეს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია დახშული ჯაჭვის იმ რგოლის პოვნა, რომლის წამოწევა გამოიწვევს კვლავწარმოების შინაგანი წყაროებით ისეთ გაღრმავებას, რომელიც დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფად ამოქმედებას. ასეთი საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში არის სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ჩავარდნილი ეკონომიკის ამომწვევი რგოლის ფუნქცია. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობა რეფორმის გატარების პირობებში აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი დარგი მეურნეობის ყველა სხვა დარგთან შედარებით. ამასთან, აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრეწველობის დარგის კაპიტალტევადობა 3-4-ჯერ, ხოლო კაპიტალუკუების ხანგრძლივობა 5-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის დარგს. მართალია, ორგანული შემადგენლობით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონით სოფლის მეურნეობა ჩამორჩება მრეწველობის დარგს, მაგრამ ამ დარგს მასთან შედარებით სწრაფი უკუგება (სოფლის მეურნეობის დარგში ერთწლიან კულტურებში იგი 2-3 წელს არ აღემატება, მრავალწლიან ნარგავებში – 6-7 წელს, ხოლო მრეწველობის ზოგიერთ ქვედარგებში 10-12 წელი და ზოგჯერ მეტიც არის) გააჩნია ქვეყნის ისეთი სიდუხჭირის პირობებში, რომელშიც ახლა ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ასეთ ფაქტორებს მეტად დიდი როლი აქვს საქართველოს სტრატეგიულ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულების სრულად შემუშავების საქმეში.

საქართველოს ასკ ეკონომიკა რეფორმის პირობებში ამ ეტაპზეც ღრმა კრიზისს განიცდის. აგრარული კრიზისი მარტოდენ სასურსათო პრობლემის გამწვავება როდია, მისი არსი უფრო ღრმაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს – მთელ ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას, ეროვნულ ურთიერთობებს და რეგიონალურ ასპექტებს. კრიზისიდან თავის დაღწევა უშუალოდ არის დაკავშირებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან და, კერძოდ, რადიკალური რეფორმის კურსის სწორად გატარებასა და თავისუფალი მეწარმეობის ფართოდ განვითარებასთან. ამდენად, სწორია ის თეზისი, რომ თითოეული ადამიანი თავის ეკონომიკურ ინტერესში თავისუფალ მოქმედებას აღწევს ბაზრის “უხილავი ხელის” მეშვეობით და ეს მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოა. ამასთან ერთად, მატერიალური დოვლათის წარმოება შეუძლებელია ეფექტიანი მართვის გარეშე. პრაქტიკულად ეფექტიანი მართვა ყველა სისტემისათვის აუცილებელია, მაგრამ იგი განსაკუთრებით საჭიროა საქართველოს ასკ-ის ეკონომიკის რეგიონალურ ქრილში გონივრული მართვისათვის.

2.3. აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა თავისი არსით გულისხმობს მეწარმისათვის საქმიანობისა და პარტნიორების არჩევის თავისუფლებას, ქვეყანაში დემოკრატიულ მართვა-გამგეობას, კანონის უზენაესობას, შრომის თავისუფლებასა და შრომის შედეგების დაცვას,

პროდუქციაზე თავისუფალ ფასწარმოქმნას და ა.შ. საბოლოო ანგარიშით, ბაზარი უზრუნველყოფს თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების სწორი თანაფარდობის ჩამოყალიბებას, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შეზღუდული საწარმოო ფაქტორების რაციონალურ განაწილებას და გამოყენებას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში.

საბაზრო ეკონომიკის ზემოაღნიშნული დეფინიცია, დანიშნულება და მიზანი ექვს არ იწვევს ეკონომისტთა წრეებში, თუმცა პრობლემა მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების შესახებ მაინც არსებობს და აზრი იმის თაობაზე, საერთოდ უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო რეგულირება, ფრიად განსხვავებულია. ერთნი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს როლი მეწარმეობის განვითარებაში ნულამდე უნდა იქნეს დაყვანილი, ხოლო მეორენი კი, პირიქით – ამ მიმართულებით სახელმწიფოს როლის გააქტიურებას მიიჩნევენ. ჩვენ ვიზიარებთ ამ უკანასკნელთა აზრს, რადგან მიგვაჩნია, რომ საბაზრო სისტემა ყოველთვის დადებითად ვერ რეაგირებს საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნაზე. ის ყოველთვის არაა ეფექტური, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სოციალურ სამართლიანობას, საზოგადოების სოციალური ფენების გაუმართლებელ დიფერენციაციას შემოსავლების მიხედვით (რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ შრომასა და კაპიტალზე, ბიზნესმენის ცოდნასა და ტალანტზე, არამედ უბრალოდ გამართლებაზე, დროის ვითარებაზე და ა.შ.), ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების სრულ შეთანაწყობას, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური

პირობების შექმნას. და ბოლოს, ის ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დაცვას. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარება სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი და ძირითადი ამოცანაა. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ისეთი დარეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პროდუქციის მწარმოებელთა, ასევე პროდუქციის მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიულ შეთანაწყობას. ამ მიზნით სახელმწიფო ატარებს ქვეყნისათვის მისაღებ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას (საჭირო შემთხვევაში ფულის ერთეულის ემისიის ჩათვლით), ახორციელებს საფინანსო-საგადასახადო და სადაზღვევო პოლიტიკას, ანტიმონოპოლიურ და ანტიინფლაციურ ღონისძიებებს.

თუ ზემოაღნიშნულ მსჯელობას დარგობრივ ჭრილში გადავიტანთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აგრარულ სექტორს თავისი სპეციფიური თავისებურებების გამო არ შეუძლია თანაბარ საწყისებზე შევიდეს დარგთაშორის კონკურენციაში [21]. აღნიშნული სექტორი, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ბუნებრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული და რომელსაც ახასიათებს წარმოების მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი, როგორც წესი, საგრძნობლად ჩამორჩება მატერიალური წარმოების სხვა დარგებს ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. მასში განხორციელებული ფულად-მატერიალური დანახარჯები ხასიათდება შედარებით დაბალი მოგებით, ამასთან, ეს დარგი ძნელად ახდენს ადაპტაციას მუდმივად ცვლად ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პირობებთან.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების შესაძლებლობათა შეზღუდულობა თავის მხრივ, როგორც წესი, განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი კვლავწარმოების საშუალებებზე (სწვავი, სასუქი და ა.შ.) ფასების პარიტეტის ცვლილებას არა სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან დაკავშირებული მომსახურე დარგების სასარგებლოდ. და ბოლოს, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სურსათზე მოთხოვნის ელასტიურობა, როგორც წესი, დაბალია როგორც პროდუქციაზე არსებული ფასების, ასევე მომხმარებლის შემოსავლების მიმართაც. ანუ მომხმარებელი სურსათს, როგორც მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ საშუალებას, შეიძენს შეუცვლელი რაოდენობით, მიუხედავად მასზე ფასების მატება-კლებისა. სურსათის ეს სპეციფიური თვისება (არაელასტიურობა) წარმოშობს სერიოზულ პრობლემებს დარგის განვითარებაში, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ასტიმულირებს, როგორც მოთხოვნას, ასევე მიწოდებას, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი ელასტიურობის გამო, ერთობლივი მიწოდება იზრდება უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე ერთობლივი მოხმარება. ეს ფაქტი, გარდა ფასების პარიტეტის მუდმივი ზრდისა, განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგის ერთობლივი ამონაგების შეფარდებით შემცირებას მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირება (ანუ დარგისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა) საჭიროა არა როგორც პროტექციონიზმი ამ დარგის მიმართ, არამედ ამ დარგის სხვა დარგებთან

თანაბარ საწყისებზე კონკურენციაში ჩასართავად, ანუ იმ პირობების დასარეგულირებლად, რომელიც მას ჩააყენებს თანაბარ სასტარტო სიტუაციაში მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირების ქვეშ, როგორც წესი, მოიაზრება სახელმწიფოს ეკონომიკური ზემოქმედება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, გადამუშავებასა და რეალიზაციაზე, აგრეთვე ამ სექტორის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასა და საწარმოო ტექნიკურ მომსახურებაზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილია რამდენიმე პრინციპი, რომელზეც უნდა დაეფუძნოს სექტორის სახელმწიფო რეგულირება და განსაზღვრულია ამოცანა, რომელიც უნდა უზრუნველყოს აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირებამ. ამ პრინციპებიდან გამოყოფენ:

- საქონელმწარმოებელი უნდა მუშაობდეს თვითდაფინანსების პირობებში და სახელმწიფო მხარდაჭერის ესა თუ ის ფორმა უნდა იყოს მისთვის დამატებითი წყარო მეურნეობრიობის ნორმალური ეკონომიკური პირობების შესაქმნელად;

- სახელმწიფოს ხელთ არსებული რეგულირების ბერკეტები საქონელმწარმოებელს ორიენტირებულს უნდა ხდიდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტურობაზე;

- სახელმწიფო მხარდაჭერა გამოყენებულ უნდა იქნეს მკაცრად დიფერენცირებულად.

რაც შეეხება სახელმწიფო რეგულირების ამოცანას, ის ზოგიერთ ავტორთან [100] განსაზღვრულია, როგორც საშუალება აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის და სტაბილურობის მისაღწევად, ეკონომიკური პარიტეტის შესანარჩუნებლად (სოფლის მეურნეობასა და მის მომსახურე

დარგებს შორის) სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოსავლების გათანაბრებისათვის (მრეწველობასთან) და სამამულო საქონელმწარმოებელთა დასაცავად.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირების ზემოაღნიშნულ ამოცანას, რადგან მიგვაჩნია, რომ აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირება თავისი არსით პირველ რიგში უნდა ემსახუროდეს არა სამამულო საქონელმწარმოებელთა დაცვას, არამედ დარგთაშორის კონკურენციაში დარგის ჩაბმას, თანაბარ სასტარტო პირობებში კონკურენტული ბრძოლის წარმოების მიზნით. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მისი (რეგულირების) შედეგი იქნება არა იმდენად საქონელმწარმოებელთა დაცვა, არამედ ობიექტური სამართლიანობის დაცვა, დარგის სტაბილურობისა და ეფექტიანობის დონის ამაღლება, რაც საბოლოო ანგარიშით,

ქვეყნის სასურსათო და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონის განმტკიცებაში ნახავს გამოხატულებას. ამავე მოსაზრებით, ჩვეულებრივ, პრაქტიკაში სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული ფორმებიდან უფრო გამოყენებული უნდა იქნეს დანახარჯების სუბსიდირების ფორმა, ვიდრე დოტაცია, კომპენსაცია ან სუბვენცია.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ეკონომიკა ორი მჭიდროდ დაკავშირებული პროცესის – წარმოებისა და მოხმარების ერთიანობაა. ამდენად, ყოველგვარი წარმოება, მათ შორის თანამედროვე, ხასიათდება ბევრი საერთო ნიშნით, რამდენადაც საბოლოო ანგარიშით, წარმოება ანუ შრომის პროცესი ესაა შრომის საგნებსა და წარმოების საშუალებებზე ადამიანის ზემოქმედებისა და ამა თუ იმ მოთხოვნილების

დასაკმაყოფილებლად მათი გამოყენების პროცესი. აქედან გამომდინარე, მეწარმე სუბიექტმა უნდა გადაწყვიტოს ყოველდღიური ცხოვრების სამი ძირითადი პრობლემა: რა საქონელი, რა საშუალებებით და ვისთვის აწარმოოს.

იმის მიხედვით, თუ როგორ პასუხს იძლევიან კითხვებზე - რა? როგორ? ვისთვის? ეკონომიკურ სისტემას ყოფენ ტრადიციულ, მბრძანებლურ და საბაზრო ეკონომიკურ სისტემებად.

მართალია, განვითარებულ ქვეყნებში მეურნეობა დღესაც ძირითადად ბაზრის კანონების მიხედვით იმართება, მაგრამ მასთან ერთად სულ უფრო იზრდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. ასეთ მეურნეობრივ სისტემას შერეული საბაზრო ეკონომიკა ეწოდება. ეს საბაზრო ეკონომიკის ისეთი ნაირსახეობაა, სადაც ქვეყნის მასშტაბით რესურსების განაწილებას განსაზრვრავს როგორც სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მექანიზმი, ისე საბაზრო ძალები, ანუ სახელმწიფო არსებითად ერევა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

მბრძანებლური, ანუ ტოტალიტარული ეკონომიკისათვის (რომელიც არსებობდა ჩვენში რეფორმამდე) დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ წარმოების საშუალებათა უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, საწარმოები მუშაობს ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე, საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების შესახებ თითქმის ყველა გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო ორგანოების მიერ. ამ პრინციპზე აგებული ეკონომიკა ფუნქციონირებდა საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების კურსის გატარებამდე, რომელმაც, როგორც ნაშრომის პირველ თავშია აღნიშნული, კრაზი განიცადა.

საბაზრო ეკონომიკა არ არის სისტემა, რომელიც წყვეტს, თუ ვინ რა აწარმოოს. საბაზრო ეკონომიკა არ არის სისტემა, რომლის პირობებშიც ფირმა წყვეტდეს, თუ წარმოებული მატერიალური დოვლათიდან ვინ რა მიიღოს. საბაზრო ეკონომიკა აძლევს ადამიანებს სტიმულს, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა აკეთონ. საბაზრო ეკონომიკა არის სახელდობრ ის სისტემა, რომლის მეშვეობითაც გადაწყდება, თუ წარმოებული მატერიალური დოვლათიდან ვის რა შეხვდეს. საბაზრო ეკონომიკა დახმარებას გვიწევს შევადაროთ, თუ რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან, რომელი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

საბაზრო სისტემა მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლითაც ეკონომიკის ძირითადი პრობლემების რეალიზაციის მიზნით მომხმარებლები და მწარმოებლები ერთიმეორეზე ზემოქმედებენ და პირადი ინტერესების რეალიზაციისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა. ამის საფუძველი კი ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკა არის ბაზრისა და ფასების სისტემის მეშვეობით ეკონომიკური სუბიექტების ქცევათა კოორდინაციის შეგნებულად გამოყენებული მექანიზმი. ამ და სხვა ძირეულ თვისებათა გამო, საბაზრო ეკონომიკა დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის ყველაზე ეფექტიანია. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა უპირატესობების სრული რეალიზაციისათვის უნდა მოხდეს ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების ზომიერი შერწყმა.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია:

- სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერება. მოსახლეობის სახელმწიფოს მიმართ ნდობის ფაქტორის ამაღლება;

- მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერება, მათ საფუძველზე მეწარმეთა ფენის შექმნით. კეთილსინდისიერი მწარმოებლური შრომის პრესტიჟის ამაღლება, მოსახლეობის საშუალო ფენაზე ზრუნვის დაკანონება ისე, რომ ისინი არ გადავიდნენ სოციალურად დაუცველ მოსახლეობის კატეგორიაში;

- ზრუნვა ხელოვნური დეფიციტების აღმოსაფხვრელად და ამ მიმართულებით საინფორმაციო სამსახურის გაუმჯობესება;

- დეფიციტური პროდუქციის წარმოების მომგებიანობაზე უარყოფითად მოქმედი სპეკულაციის შეზღუდვა;

- უკონტროლო ბიუროკრატიაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და დემოკრატიული სახელმწიფოს იმ ინტერესებისადმი დაქვემდებარება, რომლის მიზანია სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

ზემოთჩამოთვლილის განხორციელებისას შესაძლებელი გახდება წვრილი საქონელმწარმოებლების გამოცოცხლება, ყოველ საწარმოში დაბალანსებული განვითარების პირობების შექმნა და საბაზრო მექანიზმის ამოქმედება საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უკანასკნელ საუკუნეებში დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა არასდროს ჰქონია. ბოლო პერიოდში (საბჭოთა წლებში) მისი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, განვითარების პრიორიტეტები, მასშტაბები განისაზღვრებოდა ერთიანი საკავშირო სახალხომეურნეობრივი კომპლექსის განვითარების საერთო ინტერესებით. ქვეყნის სოფლის მეურნეობა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ცენტრში განსაზღვრულ

ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სქემაში “თამაშის წესების” მისთვის წინასწარ მინიჭებული უფლებებით ფუნქციონირებდა. ეკონომიკის ასეთი კურსით განვითარებამ მოწყვიტა იგი ეროვნულ ნიადაგს და არასწორი კურსით განვითარდა. ახლა, მეურნეობრიობის ახალ პირობებში დაძლეულია ეს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის დარგის სწორად გაადგილებისა და განვითარებისათვის.

აგროსასურსათო სისტემაში არსებული მდგომარეობის ობიექტური შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი ფუნქციონირების ძირითადი სუსტი მხარეები:

- განვითარების სტრატეგიის უქონლობა;
- საწარმოების დაბალი ეფექტიანობა;
- მენეჯმენტის სისტემის არასრულყოფილება და მენეჯერთა უმეტესობის დაბალი კვალიფიკაცია;
- ბაზრის კონიუნქტურის არასაკმარისი ცოდნა და გასაღების ბაზრის პრობლემა;
- მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია;
- საბრუნავი საშუალებების შევსების საკუთარი წყაროს შეზღუდულობის პირობებში მწირი საკრედიტო ბაზრის არსებობა;
- ენერგორესურსების დეფიციტი.

საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვნად ამუშავებას კი შემდეგი ფაქტორები აფერხებს:

- ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი საკანონმდებლო ფონი. საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ბევრი კანონი არ არსებობს, ან ისინი მნიშვნელოვან დახვეწას მოითხოვენ;

- განუვითარებელი სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუტები, (სუსტი სახელმწიფო საფინანსო, საკრედიტო, საგადასახადო, სადაზღვევო, საბაჟო სისტემები, არაეფექტიანი ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვა);

- სუსტი საფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტები (სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები, საფონდო ბირჟები და სხვა);

- განუვითარებელი კერძო სექტორი – კერძო ფირმები მცირე ზომის და სუსტი;

- საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების არასათანადო დონე;

- საწარმოს ხელმძღვანელთა საბაზრო პირობებში ადაპტაციის დაბალი დონე;

- საინფორმაციო სისტემების განუვითარებლობა და სხვა.

აგრარული პოლიტიკის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები საქართველოში აგრომრეწველობის განვითარების არსებული ხელშემწყობი პირობებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- წარმოების სანედლეულო ბაზის არსებობა (როგორც მინერალური და ენერგეტიკული, ასევე სასოფლო-სამეურნეო);

- ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნასა და მომსახურებაში სამამულო აგროსამრეწველო წარმოების მონაწილეობის შესაძლებლობა;

- ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის შექმნისა და გასაღების გამოცდილება;

- სასურსათო პოტენციალის არსებობა შიდა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

- განვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და სამრეწველო წარმოების გარკვეული გამოცდილება;
- კვალიფიციური და შედარებით იაფი მუშახელის გამოყენების შესაძლებლობა;
- თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციაზე მოთხოვნილებების არსებობა და სამამულო მრეწველობის მიერ მისი ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობა;
- ასკ-ისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტების არსებობა;
- აგრარული სექტორის პოტენციური მოთხოვნილების არსებობა სამრეწველო პროდუქციაზე;
- შიდა და გარე ბაზრებზე კვების მრეწველობის პროდუქციის პოტენციური კონკურენტუნარიანობა;
- ხელშემწყობი ბუნებრივი კლიმატური პირობები და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის ინდუსტრიული მომსახურების პერსპექტივები.

ამ პირობებში აუცილებელია საბაზრო მექანიზმების ფორმირებისას და მის მართვისას გამოყენებული თეორიული და მიზანმიმართული პრაქტიკული დებულებების კრიტიკული შეფასება და ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელთა განხორციელება უფრო შედეგიანს გახდის საქართველოს ასკ-ს ფუნქციონირებას და მის საფუძველზე აამაღლებს მოსახლეობის სურსათზე და მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონეს.

ახალი აგრარული პოლიტიკის განხორციელება ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესია. შეზღუდული რესურსების პირობებში აუცილებელია პრიორიტეტების რანჟირება, დარგების მდგომარეობისა და

ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით და მათი რეალიზაცია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საშუალებით.

ჩვენი აზრით, აგროსექტორის ზემოთგანხილული დადებითი და უარყოფითი (სუსტი) მხარეები გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმების, მეთოდების, მხარდაჭერის ზომისა და სხვა მეთოდური საკითხების დამუშავებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის დროს.

2.4. აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები საზღვარგარეთის ქვეყნებში

აგრარული სფეროს მთელი რიგი თავისებურებების გამო, ეს დარგი განვითარებული სახელმწიფოების მთავრობების მიერ საკმაოდ მკაცრად რეგულირდება. ერთი შეხედვით, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამგვარი ქმედება გაუმართლებელიც შეიძლება იყოს, რადგან “რეგულირება”, როგორც წესი, უზარმაზარ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. მაგრამ რეალობამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში საბაზრო კანონების სტიქიური მოქმედება დიდი რისკ-ფაქტორია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის. ამის დასტურია 1920-30-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული მოვლენები, როდესაც ე.წ. “დიდი დეპრესიის” დროს სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება უმნიშვნელოვანეს მადესტაბილიზებელ ფაქტორად იქცა მთელი ქვეყნისათვის, რის შემდეგაც ამოქმედდა სახელმწიფო რეგულირების

მექანიზმი და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მართვადი და პროგნოზირებადი გახდა. [20]

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების და ფინანსირების არსებული ტენდენციები გარკვეულწილად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და სოფლის მცხოვრებთა ლობირების შედეგია, თუმცა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამ მხრივ მაინც სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის უზენაესი პრინციპია, რომელიც ასახვას ჰპოვებს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- სურსათით თვითუზრუნველყოფის აუცილებელი დონის მიღწევა;
- სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება, პროდუქციის მიწოდების რეგულირების გზით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების შენარჩუნება და ზრდა;
- სამამულო მწარმოებლების დაცვა მათზე საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისგან.

ეს ძირითადი პრინციპები ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისათვის იდენტურია, თუმცა მათი განხორციელების გზებია რამდენადმე განსხვავებული.

იაპონიაში სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პრობლემით დაინტერესებას საუკუნოვანი ისტორია აქვს. აქ, ფაქტობრივად, აკრძალულია იაპონიისთვის უმთავრესი სტრატეგიული მარცვლეულის, ბრინჯის იმპორტი და ქვეყანა მასზე მოთხოვნილებას 100%-ით იკმაყოფილებს, თუმცა ეს მეტად ძვირი უჯდება მას. ინარჩუნებს რა ამ პროდუქტზე საშინაო ფასებს რვაჯერ უფრო მაღალ დონეზე, ბრინჯის მსოფლიო ფასებთან შედარებით, იაპონიაში სახელმწიფოს მიერ

დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მინიმალური და მაქსიმალური ფასები. მინიმალური ფასების გაანგარიშება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გათვალისწინებით. აქ ფართოდაა დანერგილი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო სტრუქტურები სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს პროდუქციაში უხდიან იმ თანხაზე რამდენიმეჯერ მეტს, ვიდრე თვითონ სთავაზობენ მომხმარებელს, აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები რამდენადმე მაღალია, მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. გარდა აღნიშნულისა, იაპონიაში ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის პირდაპირი დოტაციების პოლიტიკა, რაც სოფლის მეურნეობაში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამების განხორციელებას ემსახურება, რომლებიც უკანასკნელ ხანებში, ბრინჯის წარმოების შემცირების ხარჯზე, სხვა სახის მარცვლეულის წარმოების ზრდას ისახავს მიზნად, რადგან ბრინჯის მხრივ ამ ქვეყანაში აშკარად იგრძნობა ჭარბწარმოების ტენდენციის განვითარება, რაც აიძულებს მთავრობას საფურაჟედაც კი მიმართოს ეს ძვირფასი სასურსათო პროდუქტი. სამაგიეროდ, სოლიდურმა ფინანსურმა დახმარებამ, კონკურენციის შეზღუდვამ, უცხოური პროდუქციისათვის ადგილობრივი ბაზრის დახურვამ, მეტად არაეფექტური გახადა იაპონიაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ის პროდუქციის თვითღირებულებით და ეფექტიანობის მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებული სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. უკანასკნელ წლებში იაპონიის მთავრობა ცდილობს იმგვარად წარმართოს დახმარება

აგრარული სექტორისადმი, რომ ამან გაზარდოს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასურსათო უსაფრთხოების თემა უმაღლესი ნაციონალური ინტერესების სფეროში შედის. ეს ქვეყანა თავისი ჰეგემონიის განმტკიცებას “სასურსათო იარაღის” გამოყენებითაც ცდილობს. აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის მხრივ. ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსამრეწველო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი აშშ-ის ეკონომიკის საფუძველია. აქ, პირდაპირ ან ირიბად იქმნება მთლიანი შიდა პროდუქციის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს. ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ მთავრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაახლოებით 62 მილიარდი დოლარი გამოიყოფა, რაც ფედერალური ბიუჯეტის 4,5%-ია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრარულ სფეროს, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, არეგულირებს ე.წ. “აგრარული კანონები”, რომელთაც კონგრესი 4-6 წლის პერიოდულობით იღებს და ეს კანონები მათი მოქმედების პერიოდში ამერიკის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია.

განსაკუთრებით საინტერესოა 1996 წლის ფედერალური აგრარული კანონის სპეციალური ნაწილი, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს აგროპროდუქციის ექსპორტს, ხოლო ამავე დროს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. ამ ნაწილში წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული პროგრამები, როგორებიცაა

“სურსათი მშვიდობისათვის”, “სურსათი პროგრესისათვის”, “საექსპორტო კრედიტების გარანტიების პროგრამა” [4]. აღნიშნული პროგრამები მიმართულია განვითარებადი, ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სურსათის ექსპორტის ხელშესაწყობად, აგრეთვე ამ სახელმწიფოების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისათვის კრედიტების გამოყოფისათვის სურსათის შესაძენად. მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე ამერიკის აგროპროდუქციის პოზიციების გამყარებას ემსახურება “ექსპორტის მხარდაჭერის”, საგარეო ბაზარზე “აშშ-ის პოზიციების გამაგრების, გაფართოების და განვითარების”, “ახალშექმნილი აგრარული ბაზრების მხარდაჭერის” პროგრამები. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს “სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფი რეზერვების პროგრამას”, რომლის მიხედვითაც შექმნილია ხორბლის, სიმინდის და ბრინჯის 4 მლნ ტონის მოცულობის რეზერვი, საიდანაც ხდება სხვა ქვეყნებისათვის მარცვლეულით ჰუმანიტარული დახმარება.

აშშ-ის სასურსათო პოლიტიკა ნათლად მეტყველებს, რომ “სასურსათო იარაღი” უძლიერესი ინსტრუმენტია პოლიტიკური ზეწოლისას, ხოლო სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ეროვნული ინტერესების პრიორიტეტია.

ევროკავშირში, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით (სადაც აგრარული სექტორისადმი მხარდაჭერას უპირატესად პროგრამული ხასიათი აქვს), გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე. ერთი – ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებითა და მეორე – თვით ევროკავშირის

ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. ფართო სპექტრი აგრარული სექტორის რეგულირების მექანიზმებისა სამ ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს. ესენია: ფასებით რეგულირების, რაოდენობრივი რეგულირებისა და საბაჟო რეგულირების მექანიზმები. როგორც წესი, სხვადასხვა საკითხის დასარეგულირებლად გამოიყენება აღნიშნული ზომების კომბინაცია. ასეთი რეგულირების ძირითადი ამოცანებია საკუთარი მწარმოებლების დაცვა, წარმოების ოპტიმალური დონის შენარჩუნება, რაც პერსპექტივაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება.

აგრარული ბაზრის რაოდენობრივი რეგულირების მეშვეობით ხდება მიწოდების ამპლიტუდის დასტაბილურება, რათა არ მოხდეს აგროპროდუქციაზე ფასების მკვეთრი ცვლილება, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ბაზარზე ინტერვენციული ჩარევა აგროპროდუქციის ყიდვითა და გაყიდვით (როდესაც შეიმჩნევა ბაზარზე სურსათის მიწოდების მკვეთრი ზრდა, ხდება ნამეტი პროდუქციის შესყიდვა, ხოლო დეფიციტის შემთხვევაში პირიქით, სარეზერვო პროდუქციის რეალიზება). უკანასკნელ ხანს ევროკავშირში, აგრარული პროდუქციის ჭარბწარმოების გამო, ფართოდ გამოიყენება რაოდენობრივი რეგულირების ის ხერხები, რომლებიც წარმოების მოცულობების შემცირებისთვისაა გამიზნული. ესენია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყვანის, აგრეთვე ექსტენსიური სოფლის მეურნეობის ფინანსური წახალისება. ამ უკანასკნელს გარემოს დაცვითი და ეკოპროდუქციის წარმოების ხელშემწყობი დანიშნულებაც გააჩნია.

აგრარული ბაზრის ფასებით რეგულირება გულისხმობს აგროპროდუქციაზე ოპტიმალური ფასების დაწესების ხელშემწყობას,

რისთვისაც ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წარმოების საშუალებების ფასების დოტირება. ამით ხდება აგროპროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ფასები რეგულირდება თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რათა შეცვლილ იქნეს თანაფარდობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, აგრეთვე, რაც შეიძლება შემცირდეს საგარეო ბაზრის უარყოფითი ზემოქმედება და გაიზარდოს ნამეტი პროდუქციის ექსპორტი, ხოლო დეფიციტურის – იმპორტი. ევროკავშირის ქვეყნებში ფასებით რეგულირების ჩარჩოებში ხშირად იყენებენ მინიმალურ (გარანტირებულ, ინტერვენციულ) ფასებს, რომლითაც ხდება აგროპროდუქციის შესყიდვა მაშინ, როდესაც საბაზრო ფასები დაწესებულ მინიმალურ ზღვარს ქვემოთ ეცემა. ამგვარი ოპერაცია ხორციელდება მაშინ, თუ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დაწესებულ კვოტებს არ აჭარბებს. გარდა მინიმალური ფასებისა, ფართოდ გამოიყენება საორიენტაციო ფასები, რომელიც პროდუცენტს წარმოდგენას აძლევს ფასების შესაძლო უმაღლესი (უდაბლესი) დონის შესახებ.

აგრარული ბაზრის საბაჟო რეგულირება ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრადიციულია რეგულირების მეთოდებს შორის. მისი მეშვეობით ხდება იმპორტის შეზღუდვა და ექსპორტის სტიმულირება. არის შემთხვევები, როდესაც საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტებს იყენებენ იმპორტის ხელშესაწყობად და პროდუქციის ცალკეული სახეების ექსპორტის აღსაკვეთად. უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს საშინაო ბაზარზე რომელიმე სახის სურსათის დეფიციტი იქმნება. საბაჟო რეგულირებისათვის გამოიყენება საბაჟო ბეგარა, საექსპორტო დოტაციები,

პროდუქციის შეტანის და გატანის კვოტები და ლიცენზიები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები და სხვა ღონისძიებები.

განხილული მაგალითები მოტანილია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთაც გააჩნიათ დასრულებული, კონცეპტუალური მიდგომა სასურსათო უსაფრთხოების მიმართ, თუმცა მათი გათვალისწინება დიდად მნიშვნელოვანია ნაკლებგანვითარებული სახელმწიფოებისათვისაც, კერძოდ, საქართველოსათვისაც.

თავი 3. სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი

პრიორიტეტები აგრარულ სექტორში

3.1. სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის პრინციპები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია შეიქმნას სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მეურნეობები დაწყებული წვრილი დამხმარე მეურნეობებიდან მსხვილი აქციონერული საზოგადოებებით და კოოპერატიული ორგანიზაციებით დამთავრებული. მეურნეობრიობის მრავალფეროვნებები განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, გამოსაყოფია:

- საქართველოს ტერიტორიის მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა (მთლიან ფართობში მთებსა და მთისწინებზე

მოდის 87%, ამასთან სახეზეა ნაკვეთების მცირე კონტურიანობა, სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების უკმარისობა (უქონლობა), რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ხელით შესასრულებელი სამუშაოების მაღალ ხვედრით წილს განაპირობებს;

- საწარმოო ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით ტექნიკურ, აგრო-ზოოვეტმომსახურების, საგზაო და მელიორაციული ქსელისა და სხვა კომუნიკაციების განვითარების დონე;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკური კავშირების დონე და განვითარების პერსპექტივები;

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური, სისტემური და სტრუქტურული ცვლილებების ტემპები, ხელსაყრელი ეკონომიკური და სოციალური გარემოს არსებობა;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები, მეურნეობის ინდივიდუალური და კოლექტიური გაძღოლის ჩვევები;

- მოსახლეობის გაადგილება ქალაქსა და სოფელს შორის, მიგრაციის ტენდენციები;

- მოსახლეობაზე (ოჯახებზე) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება (რაოდენობრივი თვალსაზრისით) და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწაზე მეურნეობრიობის ერთ-ერთ ფორმად დიდხანს შენარჩუნებული იქნება გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, რომელთაც, საწარმოო მომსახურების სათანადო დონეზე

გაწევის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების არსებითი რეზერვები გააჩნია.

გლეხურ მეურნეობებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ მათთვის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა კონსერვატიზმი და წარმოების მეტი სიმტკიცე, რაც სოფლის მეურნეობაში ჰორიზონტალური კონცენტრაციის თავისებურებებით, წარმოების ბიოლოგიური საშუალებებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მუდმივი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობით უნდა იქნეს ახსნილი.

გლეხური მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რუსი მკვლევარი ა. ჩაიანოვი გლეხურ მეურნეობას განიხილავდა, როგორც პირველად საწარმოო უჯრედს სოფლად, რომელიც საწარმოო ძალების განვითარების საფუძველზე იცვლება და ყალიბდება ოპტიმალური ზომის მეურნეობად. მხედველობაშია მისაღები აღნიშნული მეცნიერის აზრი იმის თაობაზე, რომ სოფლად მსხვილი მეურნეობის უპირატესობა წვრილ მეურნეობასთან შედარებით ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც მრეწველობაში, უპირველეს ყოვლისა სივრცობრივი განშორიშორებისა და ბიოლოგიურ ფაქტორებზე დამოკიდებულების გამო.

პირველ ეტაპზე გლეხური მეურნეობა, როგორც წესი, წვრილი და მრავალდარგოვანია. მისთვის დამახასიათებელია პროდუქციის, როგორც გასაყიდად, ისე ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წარმოება, ამდენად ის თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით უფრო ფეოდალური ნიშნების მატარებელია. ამდენად ის ნაკლებად შემოსავლიანიცაა ფულადი სახსრების თვალსაზრისით. [8]

საქართველოში გლეხური მეურნეობების განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ კოოპერირებას, როგორც ცალკეული შრომითი პროცესების შესრულების, ისე პროდუქციის გადამუშავების და რეალიზაციის საქმეში.

სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოოპერატივების ფორმირება უნდა გადაიქცეს გლეხური მეურნეობების და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარანტიად. ამისათვის კოოპერაციულ მოძრაობას (როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს) გააჩნია ყველა საშუალება და პირობა. “კოოპერატივი იქნება უაღრესად სასარგებლო – განმარტავდა ა. ჩაიანოვი, - თუ მას როგორც საწარმოს არ მოაქვს არავითარი წმინდა მოგება, სამაგიეროდ ხელს უწყობს მისი წევრების შემოსავლების გადიდებას. ამის საწინააღმდეგოდ კოოპერატივი იქნება საზიანო, თუ ვთქვათ იგი იძლევა 10 ათას რუბლ მოგებას, ხოლო მისი მოუქნელი მუშაობის გამო გლეხები ვერ დებულობენ 40 ათას რუბლ შრომით შემოსავალს” [105]. აღნიშნული ნიშნავს, რომ კოოპერაციის წარმატება განისაზღვრება მისი წევრების შემოსავლების ზრდით და არა თვითონ კოოპერატივის შემოსავლით. სწორედ ეს მიდგომა და თავისებურება აძლევს კოოპერატივს, როგორც წარმოების ორგანიზაციის ერთ-ერთ ფორმას, სიმტკიცეს და სიმყარეს მიწაზე მეურნეობრიობის სხვა ფორმებთან (არტელი, კომუნა, ამხანაგობა და ა.შ.) შედარებით. დასავლეთის უმეტესი კაპიტალისტური ქვეყნების, აგრეთვე უნგრეთისა და ჩინეთის გამოცდილება ადასტურებს მარგინალური ფორმების (კოოპერატივების) უდიდეს როლს. პრაქტიკულად იგივეს ამტკიცებს მოსაზრება აგრარული წარმოების განვითარების ორი ფაქტორის – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ანუ

ტექნოკრატული ფაქტორის და შრომის საბოლოო შედეგით მუშაკის დაინტერესების, ანუ სოციალური ფაქტორის და მათ შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ. ფაქტიურად ესაა წინააღმდეგობა, რომელიც ვლინდება წარმოების ინდუსტრიალიზაციისა (რომელიც ითხოვს შრომის განზოგადებას) და აგრარულ საქმიანობას შორის (რომელიც პირიქით, გულისხმობს შრომის ინდივიდუალიზაციას). ეს უკანასკნელი პირველისაგან განსხვავებით გულისხმობს ერთ სუბიექტში მესაკუთრის, შრომითი პროცესების უშუალო შემსრულებლისა და წარმოების შედეგებზე პასუხისმგებლობის ფუნქციის ორგანულ შეთავსება-შერწყმას. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი წინააღმდეგობის დაძლევა ხდება აგრარული ტექნოლოგიური პროცესებისაგან ინდუსტრიული საქმიანობის თანდათან გამოყოფით და განცალკევებით. ის მიიღწევა წარმოების კონცენტრაციის, კოოპერირების და კომბინირების სხვადასხვა ვარიანტების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულის დეტალური გადმოცემა საჭიროთ ჩავთვალეთ იმ მოტივით, რომ კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი მოგვეტანა დღევანდელ სიტუაციაში სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირების სასარგებლოდ. თუ ზემოაღნიშნულს დავაკონკრეტებთ და აგრარული წარმოების საერთო კანონზომიერებათა ჭრილში განვიხილავთ, უნდა დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, სხვა სერიოზული არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადრე თუ გვიან გარდუვალად დგებიან სხვადასხვა ფორმის სამეურნეო ეკონომიკური კავშირების დამყარების აუცილებლობის წინაშე. ეს კავშირები შეიძლება იყოს, როგორც შიდა სამეურნეო, ასევე

სამეურნეობათაშორისო ხასიათის. აქედან პირველი წარმოადგენს კავშირურთიერთობებს, რომლებიც მყარდება საწარმოს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის (სუბიექტები), მეორე კი აგრობიზნესის მონაწილეთა შორის წარმოშობილ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის, შენახვა-გადამუშავების და რეალიზაციის საკითხებთან. როგორც პირველის, ასევე მეორეს მიზანს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს საწარმოო ფაქტორების უკეთ გამოყენებისა და წარმოების დანახარჯების შემცირების საფუძველზე. კავშირურთიერთობების ამგვარ ფორმას განასახიერებდა გეგმიანი მეურნეობის პირობებში შექმნილი ე.წ. “ცეკავშირი”, რომელიც სოფლად ნამატი პროდუქციის დამზადება-რეალიზაციას აწარმოებდა (მას გააჩნდა საკმაო სიმძლავრეები, როგორც პროდუქციის დამზადება-გადამუშავებისათვის, ასევე ამ პროდუქციის საბოლოო მომხმარებელზე რეალიზაციისათვის. დღეს ეს ორგანიზაცია მართლა არსებობს, მაგრამ შეცვლილ ეკონომიკურ გარემოში მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვეღარ ასრულებს).

ზოგადად კოოპერირება ნიშნავს საწარმოო და სამეურნეო კავშირურთიერთობებს სხვადასხვა დარგის საწარმოთა შორის (აგრობიზნესი პირობითად სხვადასხვა დარგებისა და სფეროს საწარმოთა კოოპერირებაა სახელმწიფოს მასშტაბით). რაც შეეხება კოოპერირებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში – ესაა სოფლად საქონელმწარმოებელთა ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანების პროცესი მათი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ინტერესების უფრო სრულად რეალიზაციის მიზნით. ეს პროცესი გამოხატულებას პოულობს სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივის, როგორც მეურნეობის გაძლიერების ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმის – კოოპერატივის შექმნაში წევრების საპაიო შენატანების საფუძველზე.

კოოპერირება პრაქტიკულად კონცენტრაციის სიკეთით სარგებლობას გულისხმობს. კერძოდ, ცნობილია, რომ რაც შეუძლებელია (ან ძნელია) ერთეულისათვის, ის (შედარებით) ადვილია კოლექტივისათვის. მხედველობაშია სოფლად საქონელმწარმოებელთათვის დღემდე გადაუჭრელი ისეთი პრობლემები, როგორცაა კრედიტზე ხელმისაწვდომობა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ბითუმად შექმნა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის რეალიზაცია (შენახვა, გადამუშავება), აგრარულ ბაზარზე კონკურენტუნარიანობა და ა.შ. ინტეგრაციის ამ ფორმის მიმზიდველობას აძლიერებს ისიც, რომ საქონელმწარმოებელი სარგებლობს კონცენტრაციის პრაქტიკულად ყველა სიკეთით. მისი სამეურნეო დამოუკიდებლობის სრულად შენარჩუნების პირობებში. აღნიშნულის გამო კოოპერირებას სოფლად თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყანაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება (სკანდინავიის ქვეყნებს, სადაც კოოპერაციის პროცესი სოფლად ძალიან განვითარებულია ყველა მიმართულებით, კოოპერატიულ ქვეყნებსაც კი უწოდებენ). კოოპერირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად მოსახლეობას კერძო საკუთრებაში გადაეცა 716 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. სოფლად წარმოიშვა ერთ მილიონზე მეტი მიწის მესაკუთრე, რომელთა მიწის ფართობები 4 მლნ ნაკვეთადაა დანაწევრებული [24]. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვან (შეიძლება

ითქვას გადაულახავ) წინააღმდეგობებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეში.

მიწაზე მეურნეობრიობის ეფექტიანობას ამცირებს ის, რომ ნაჭარბი პროდუქციის რეალიზაციას თითოეული მეწარმე ცალ-ცალკე აწარმოებს, რაც არსებითად ზრდის ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე და პრაქტიკულად არაკონკურენტუნარიანს ხდის ადგილობრივ პროდუქციას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში მცირე პარტიებად პროდუქციის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის არაეფექტურობის გამო, მწარმოებელი იძულებულია უკეთეს შემთხვევაში გადაამუშაოს ის არაყად, ღვინოდ და სხვა პროდუქციად, შეაჭამოს პირუტყვს ან საერთოდ გადაყაროს, რომლის მაგალითები მრავლადაა დღევანდელ საქართველოში.

პროდუქციის რეალიზაცია მით უფრო მწვავედება, რაც მაღალია წარმოებული მოსავლის რაოდენობა, რადგან თითოეული საქონელმწარმოებელი ერთპიროვნულად ცდილობს პრობლემის მოგვარებას, ეძებს პროდუქციის რეალიზაციის შედარებით ეფექტურ მარკეტინგულ არხებს, რაც არც თუ იშვიათად ბევრისთვის მარცხით მთავრდება. ადგილი აქვს რეალიზაციის ხარჯების პერმანენტულ ზრდას, წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან დანაკარგებს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რწმენას უკარგავს საქონელმწარმოებელს (მეწარმეს) სოფლად სამეწარმეო საქმიანობის წარმატებულობაში და აიძულებს მას ქალაქად ეძიოს სამუშაო.

აღნიშნულ მდგომარეობას (გარდა საქონელმწარმოებელთა დაქუცმაცებულობისა) განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში ბოლო

წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო პროდუქციის (სასუქი, მანქანა-იარაღები, კონცენტრირებული საკვები და ა.შ.) მწარმოებელი სამრეწველო საწარმოები გარკვეულ მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩააყენა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან შედარებით, რამაც სათავე დაუდო ინტერესთა კონფლიქტს მათ შორის. ინტერესთა შეუთავსებლობა ნათლად ვლინდება მოსავლის რეალიზაციის პერიოდში. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სარგებლობენ რა მონოპოლიური მდგომარეობით, საქონელმწარმოებლებს ისეთ ფასს სთავაზობენ, რომელიც ხშირად მის წარმოებაზე დახარჯულ შრომასაც ვერ აანაზღაურებს. მაგრამ იმის გამო, რომ მათ სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, იძულებულნი არიან მიიღონ მათთვის ეკონომიკური თვალსაზრისით მიუღებელი წინადადება.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება ცხადად ადასტურებს, რომ ასეთ კონკრეტულ პირობებში სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას მათი საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დარეგულირებისათვის.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ესაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და მათი კავშირის სისტემა, რომლის შექმნა შეუძლიათ სოფლად საქონელმწარმოებლებს მათი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა საერთო ინტერესების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით; “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში ჩამოთვლილი

კოოპერატივების სახეები (ფორმები) შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფში გაერთიანდეს, ესენია: მარკეტინგული, პროდუქციის შემსყიდველი, პროდუქციის გადამამუშავებელი და სერვისული კოოპერატივები.

აღნიშნული ოთხი ფორმიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი დღეისათვის და ყველაზე ეფექტური მარკეტინგული კოოპერატივია. ამ ფორმის კოოპერატივი წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გადასამუშავებლად აწვდის გადამამუშავებელ საწარმოს (გარკვეული საფასურის გადახდის პირობით), ღებულობს მისგან მზა პროდუქციას, ანუ ხდება საქონლის მფლობელი, რითაც უზრუნველყოფს მისი გასაღების უფრო ეფექტური არხის მოძებნით, მიიღოს არა მხოლოდ ნედლეულის ფასი, არამედ მნიშვნელოვანი მოგება საქონლის რეალიზაციიდან.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, კოოპერატივი ზოგადად აღიარებულია საწარმოთა ერთ-ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად [57]. ამავე კანონით კოოპერატივის ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივი (ანუ მარკეტინგული კოოპერატივი), რომლის ძირითად მიზანს მისი წევრების მიერ წარმოებული პროდუქციის შეგროვება და რეალიზაცია წარმოადგენს. მათ შეუძლიათ დაამზადონ, შეფუთონ, გადაამუშაონ და მოამზადონ პროდუქცია საბოლოო მომხმარებლისათვის.

მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, ამ სახის კოოპერატივების ფორმირებისათვის ქვეყანაში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ჩვენი აზრით, ამ სახის კოოპერატივის ჩამოყალიბებით სოფლად რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად:

- ნებაყოფლობის საფუძველზე სოფლად სამეწარმეო საზოგადოების ფორმირება და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის ხელშეწყობა ორგანიზაციული ფორმით;

- სამეურნეო საქმიანობაში თვითმმართველობის, ურთიერთდახმარების, საკუთარი პასუხისმგებლობის და თვითკონტროლის პრინციპების დანერგვა;

- საქონელმწარმოებელთა პრობლემების რანჟირება მათი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით და გადაწყვეტა კოოპერატივის შესაძლებლობის ფარგლებში;

- სამეწარმეო აზროვნების და კოოპერატივის წევრთა სამეწარმეო ინიციატივის დანერგვა;

- კერძო სამეწარმეო ინიციატივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის შექმნა, პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბება;

- სამეწარმეო კულტურის ამაღლება;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოთა და სოფლად საქონელმწარმოებელთა შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის ნიველირება (შესაძლოა სრული აღმოფხვრაც);

- საფუძველი ეყრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი კონცენტრაციის უფრო პროგრესული-სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების (აგროკონსორციუმი, აგროსამრეწველო გაერთიანება და ა.შ.) შექმნას.

ზემოაღნიშნულ დადებით მხარეებს თუ უფრო დავაკონკრეტებთ, უნდა დავასკვნათ, რომ კოოპერატივის წევრებს ეძლევათ საშუალება

ერთობლივი ძალისხმევით შეიძინონ შედარებით ძვირადღირებული მიწის დასამუშავებელი მანქანა-იარაღები, საჭირო ინვენტარი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მინერალური სასუქები, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები და ა.შ.), შექმნან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკუთარი საფირმო ქსელი (დიდ ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და დასახლებულ პუნქტებში) და საბოლოო ჯამში მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიან დონეზე განვითარებას. რა ხელშემშლელი ფაქტორები შეიძლება არსებობდეს მარკეტინგული კოოპერატივების ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნის და ფუნქციონირებისათვის, მაშინ როცა მისი საწარმოო ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის დადებითი შედეგების დანახვა ძნელი არ არის? პირველ ყოვლისა, ესაა ფინანსური ფაქტორი, კერძოდ, მარკეტინგული კოოპერირების ძირითადი ფინანსური წყარო კოოპერატივის წევრთა საპაიო შენატანებია, რომელიც საგრძნობლად შეზღუდულია ცნობილი მიზეზების გამო. რჩება სხვა წყაროებიც (კრედიტი, ინვესტორი, დონორი და ა.შ.), რომელთა შორის ყველაზე არსებითი და ეფექტური სახელმწიფოს ბიუჯეტია. ამასთან მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად ყველგან (გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები და ა.შ.) კოოპერაციული მოძრაობის სათავეებთან სახელმწიფო და მისი რეალური მხარდაჭერა (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) იდგა.

დღეს სოფლად შექმნილ რეალურ ვითარებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მოკლებულნი არიან ასეთ ფინანსურ საშუალებებს. უცხოელი დამკვირვებლების და სპეციალისტების გათვლებით (რომლებიც შინამეურნეობების ბიუჯეტებს სწავლობდნენ)

[54], სოფლად დასაქმებული 900 ათასზე მეტი ფერმერიდან (გლეხური მეურნეობა) მხოლოდ 10%-ს გააჩნია მარტივი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეძენის საშუალება. ესაა ძირითადად 30 ლარამდე ღირებულების მცენარეთა შესაწამლი აპარატები, სხვადასხვა წვრილი ინვენტარი (თოხი, ბარი, ნამგალი და ა.შ.) და მოწყობილობა. რაც შეეხება შედარებით ძვირადღირებულ მექანიზაციის საშუალებებს, სატრანსპორტო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღებს (ხელის მოტორიზებული ნიადაგის დამამუშავებელი ტრაქტორები – პერმის, ჩინური და ა.შ.), მათი შეძენისათვის საჭირო სახსრები მათ არ გააჩნიათ. ხელმიუწვდომელია მათთვის საბანკო კრედიტებიც მეტად მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლად საქონელმწარმოებელთა მარკეტინგული კოოპერირებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) საქონელმწარმოებელთა (მეწარმეთა) შორის სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება კოოპერაციული გაერთიანების დადებითი მხარეების შესახებ, რათა ერთგვარი ნიველირება გაუკეთდეს საბჭოთა პერიოდში საკოლმეურნეო მოძრაობის ნეგატიურ პრაქტიკას, რომელიც, როგორც ცნობილია, კოოპერაციის სახელით დაინერგა ჩვენს ქვეყანაში;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ხელისუფლებამ უნდა აღიაროს პრიორიტეტულ მიმართულებად. მიღებულ იქნას კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, რომელშიც, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატივის ფორმებისაგან განსხვავებით, აისახება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციფიური

თავისებურებანი, პრობლემები და მათი დარეგულირების საშუალებანი, კერძოდ, სოფლად ამ ფორმის საწარმოთა ორგანიზაციის, ფუნქციონირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობის და სხვა საკითხები;

გ) სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ადგილზე კოოპერატივების შექმნაში და სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებაში.

კოოპერაციული მოძრაობის საწყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გლეხური მეურნეობებისადმი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. სხვაგვარად ეს მოძრაობა ე.წ. “მკვდარი წერტილიდან” ვერ დაიძვრება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 1994 წლის 28 ოქტომბრიდან და განვლილ პერიოდში სოფლად კოოპერირების (მათ შორის მარკეტინგული კოოპერირების) მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

3.2. ექსპორტზე და სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული დარგების განვითარების მხარდაჭერა

ეკონომიკის რეფორმირების წლებში ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა საერთაშორისო საექსპორტო და საშინაო ბაზრებზე მოპოვებული მდგომარეობა, რის შედეგადაც საქართველო კვების პროდუქტების ნეტო ექსპორტიორი ქვეყნიდან ძირითადად უხარისხო კვების პროდუქტების იმპორტიორი ქვეყანა გახდა (მაშინ, როცა არსებობს ადგილობრივი

წარმოების პროდუქტებით იმპორტის ჩანაცვლების და საკმაო ოდენობით ექსპორტის განხორციელების საშუალება).

აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიცაა, რომ რეფორმების წლებში (1992-1998 წწ.), ისევე როგორც სხვა დარგებში, საექსპორტო და საიმპორტო საქმიანობაც ხორციელდებოდა გარდაქმნებისა და ნორმატიული ბაზის ხშირი ცვალებადობის პირობებში.

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ აქტიური ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირის პირობებში ხორციელდებოდა ქვეყანაში, კავშირის დაშლის შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტდა. მიზეზთა ფართო სპექტრში ძირითადად შედის: საქართველოს საწარმოო პოტენციალის დაქვეითება და ძველი საწარმოო-სავაჭრო კავშირების მოშლა; ე.წ. “შრომის საკავშირო დანაწილების” რეჟიმში მუშაობა (რომლის გამო ქვეყანაში გაჩნდა დეფორმირებული სტრუქტურის ეკონომიკა, რომელიც ძირითადად საკავშირო ინტერესებზე იყო ორიენტირებული).

სახელმწიფოებრიობის აღდგენის წლიდან მოყოლებული, ქვეყნის საგარეო ვაჭრობა, როგორც წესი, არაპროპორციულად ვითარდებოდა რაც გამოიხატებოდა იმპორტირებული პროდუქციის წინგასწრებით ზრდით ექსპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით. ეს

ტენდენცია, სამწუხაროდ, შენარჩუნებულია დღესაც, რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორი და ძლიერ შემაფერხებელი ფაქტორია. ყველაზე შემაშფოთებელი (შეიძლება საგანგაშოც) ისაა, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (ანუ იმპორტის მეტობა ექსპორტზე) ძირითადად სურსათის იმპორტითაა განპირობებული. კერძოდ, 2000 წელს საქართველოში საერთოდ იმპორტირებულმა სასურსათო პროდუქციის ღირებულებამ (ოფიციალური აღრიცხვით) 530

მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საერთოდ მთელი იმპორტის 70% იყო. ასეთ ვითარებაში ქვეყნიდან ექსპორტირებული იყო 139,5 მლნ ლარის პროდუქცია, ანუ საერთო ექსპორტის 37,5%. ვითარება არსებითად არ შეცვლილა დღესაც, რაც ქვეყნისათვის სერიოზული საფრთხის შემცველია, როგორც სასურსათო დამოუკიდებლობის, ასევე საერთოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბაზარზე პერმანენტულად იზრდება ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი (ამ ეტაპზე) სურსათის ფასები, ამ საფრთხეს ყოველწლიურად ზრდის, რაც სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს არამარტო მეცნიერული, არამედ პრაგმატული ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ქვეყნიდან სასურსათო პროდუქციის ექსპორტის ძირითად მუხლებს ტრადიციულად ალკოჰოლიანი სასმელები, ჩაი (შავი, მწვანე), ხილი და ციტრუსები წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი ძირითადად თანამეგობრობის ქვეყნებში ხორციელდება და უმნიშვნელო რაოდენობით იზრდება (ცალკეული პოზიციები მცირდება კიდევ). ამ პროდუქციის ექსპორტის დაბალი მოცულობის ძირითადი მიზეზი ადგილზე მისი წარმოების პრაქტიკულად ერთ დონეზე დასტაბილურებაში მდგომარეობს. სხვაგვარად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ამჟამად შექმნილია საგარეო ვაჭრობის ისეთი რეჟიმი, რომელიც ასტიმულირებს პროდუქციის ექსპორტს. 1995 წლიდან გაუქმდა კვოტირების სისტემა, რაც გამოიხატებოდა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის გამოყენების მიმართულებების მკაცრ რეგლამენტირებაში. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ექსპორტის ლიცენზირების მოთხოვნები, გაუქმდა კონტრაქტების სავალდებულო რეგისტრაციის წესი და, რაც მთავარია,

მოიხსნა საექსპორტო პროდუქციაზე მანამდე არსებული 8%-იანი საბაჟო გადასახადი. გარდა ამისა, საექსპორტო პროდუქციისათვის განკუთვნილი და დამკვეთის ნედლეული განთავისუფლებულია საიმპორტო საბაჟო გადასახადებისაგან და ა.შ. ექსპორტ-იმპორტის ლიბერალიზაციის პროცესი კვლავაც გრძელდება (ანუ იხსნება იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადი, ან მცირდება მინიმუმამდე), რაც, ხელისუფლების აზრით, უნდა აისახოს ექსპორტის მოცულობაზე (ანუ ის უნდა იზრდებოდეს მაღალი ტემპით), მაგრამ პრაქტიკულად ეს არ ხდება. აღნიშნულ მდგომარეობას თავისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გააჩნია და გარკვევით კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ მჭიდრო კავშირშია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი საწარმოო პოტენციალთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ასპარეზზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს იგი თავის ფინანსურ, საწარმოო და შრომით რესურსებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს არა უშუალოდ ექსპორტის სტიმულირება, არამედ მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციის ტენდენციის შენარჩუნება, პრიორიტეტული დარგების სწორი სელექცია, საინვესტიციო აქტივობის ამაღლება, მართლზომიერი სავალუტო პოლიტიკის გატარება და, რა თქმა უნდა, წარმოების დონის ამაღლება, მისი ტექნოლოგიური გადაიარაღება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული მეურნეობის გამართული ფუნქციონირების პერიოდში (1980-1988 წლები) არსებული მიღწევები, რომლებიც ხშირად მოყავთ ქვეყნის შესაძლებლობების საილუსტრაციოდ, თანამედროვე ეტაპზე არ შეიძლება

იქნეს მიჩნეული თვითმიზნად. განვლილ პერიოდში იმდენად რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ეროვნული მეურნეობის განვითარების მიმართულებები, გასაღების ბაზარი და პროდუქციის მიმართ მოთხოვნები, რომ შესაბამისად უნდა შეიცვალოს მიდგომა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გამოყენებისადმი. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ რესურსული და ენერგეტიკული დეფიციტის პირობებში სტრუქტურული პოლიტიკის პრიორიტეტებს უნდა წარმოადგენდეს ნაკლებად რესურსტევადი და ენერგოტევადი დარგები. ამავე დროს გასათვალისწინებელია სხვა ბუნებრივი, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებიც.

საქართველოს ბუნების მრავალი კომპონენტი თავისებურია და ხშირ შემთხვევაში უნიკალურ რესურსს წარმოადგენს. მათი ეფექტიანი გამოყენება საწარმოო პოტენციალის ამაღლების და საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს ნაირგვაროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და კვების მრეწველობის დარგების პოტენციალი ფართო სპექტრის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და გადამუშავების საშუალებას იძლევა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით, აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის ექსპორტმა 2000 წელს 139,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, მათ შორის 40 მლნ აშშ დოლარზე მეტი მოდის ალკოჰოლიან სასმელებზე, სხვა დანარჩენი კი ძირითადად ჩაის პროდუქციაზე და ხილსა და ციტრუსებზე მოდიოდა.

შედარებით ნაკლები საექსპორტო შესაძლებლობები გააჩნია სამამულო მრეწველობას, რომელიც სანედლეულო ბაზის, ტექნოლოგიისა და გასაღების ბაზრის თვალსაზრისით, პრაქტიკულად მთლიანად იყო

მიზნული ყოფილ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულ სტრუქტურაზე. ამდენად, დღესაც სამრეწველო პროდუქციისათვის უახლოეს პერსპექტივაში ექსპორტის ძირითად მიმართულებად ისევ დსთ-ს სივრცე უნდა იქნას მიჩნეული.

მრეწველობის საექსპორტო პოტენციალის გაფართოება შეუძლებელია მისი ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გარეშე, რისთვისაც საჭიროა ისეთი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება მრეწველობაში ფუნქციონირებადი კაპიტალის ზრდაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. ამასთან დაკავშირებით გვინდა ეკონომიკური არგუმენტებით დავასაბუთოთ ქვეყნის სასურსათო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაფართოების პრობლემის ორი ძირითადი და ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტის სხვადასხვა ასპექტები, ეს ელემენტებია: უშუალოდ ექსპორტის სტიმულირება (ანუ უკვე წარმოებული სასაქონლო პროდუქციის ნაწილის ექსპორტი) და საექსპორტო პროდუქციის (მომსახურების) წარმოების განვითარების სტიმულირება. აქედან პირველი, მართალია, არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს (მით უფრო, რომ ამ მხრივ რაიმე არსებითი ხასიათის პრობლემა, რომელიც ექსპორტს აბრკოლებდეს, ჩვენი აზრით, არც არსებობს), მაგრამ მაინც მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ქვეყანას წარმოებული სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების (მხარდაჭერის) პრაქტიკა გააჩნია ჩაის მზა პროდუქციის ექსპორტის საქმეში. მხარდაჭერა მეჩაიეობის დარგისადმი (რომელიც ტარდებოდა 1997-2002 წლებში) მაშინ ხორციელდებოდა ფრაგმენტულად. კერძოდ, პირველ წელს ჩაის პლანტაციების საექსპლუატაციოდ მომზადებისათვის, შემდგომ წელს ის შეიცვალა და მიმართული იქნა ჩაის

ფოთლის კრეფის სტიმულირებისათვის, ხოლო მომდევნო წელს წარმოებული ჩაის ექსპორტის სტიმულირებისათვის. როგორც თავიდანვე იყო მოსალოდნელი, ამ მიზნით ბიუჯეტიდან ყოველწლიურად საშუალოდ გამოყოფილი 3-4 მლნ ლარს ეკონომიკური შედეგი არ მოყოლია (ეს უფრო სოციალურ-პოლიტიკურ ეფექტზე იყო გათვლილი), კერძოდ, არც ჩაის წარმოება გაზრდილა არსებითად და არც მისი ექსპორტი. ბოლო წელს, ანუ მზა ჩაის ექსპორტის სტიმულირებისათვის გამოყოფილმა სუბსიდიამ ჩაის არსებული ნაშთები პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა და ამით ამოწურა თავისი შესაძლებლობა. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან, თუ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამამუშავების სტიმულირება არ მოხდებოდა, ბუნებრივია, ქვეყანაში არც ჩაის მზა პროდუქციის მარაგები არ შეიქმნებოდა. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა მხარდაჭერის ძალისხმევა მიმართული იყოს პირველ ყოვლისა წარმოების სტიმულირებაზე (იქნება ეს ჩაი, ყურძენი, თუ სხვა საექსპორტო პროდუქცია) და მხოლოდ ამის შემდეგ ექსპორტის სტიმულირებაზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის (მომსახურების) ექსპორტი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სავალუტო-ეკონომიკურ პრობლემებთან, რომელთაც ასევე დარეგულირება ესაჭიროება.

კერძოდ, როგორც ცნობილია, საქართველოს ექსპორტი საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 7-8%-ს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი (თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანილ მთელ პროდუქციას ექსპორტად ჩავთვლით) 1990 წელს 40,0% იყო. ეს მეტყველებს თანამედროვე ეტაპზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს მეტად მოკრძალებულ როლზე. ამასთან ერთად, მკვეთრად

უარყოფითია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი (346,6 მლნ აშშ დოლარი 2004 წელს), რაც თავისთავად ნეგატიურ მოვლენას წარმოადგენს.

საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის შემცირება შესაძლებელია როგორც ექსპორტის ზრდის, ასევე იმპორტის შემცირების ხარჯზე. მაგრამ, რაოდენ პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, ამ ორ მიმართულებას შორის ისეთი კორელაციური კავშირი არსებობს, რომელიც გარკვეულ ეტაპზე ექსპორტის მოცულობის სტაბილური დონის შენარჩუნების ან შემცირების პირობებში იწვევს იმპორტის მოცულობის შემცირებასაც, ვინაიდან იმპორტის გარკვეული ნაწილი ფინანსდება საექსპორტო ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ექსპორტის გაფართოებას ორი დიდი მისია ეკისრება: ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე დადებითი გავლენის მოხდენა და ეროვნული მეურნეობის იმპორტული რესურსებით სტაბილური უზრუნველყოფის შენარჩუნება.

ამ თვალსაზრისით საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ევროკავშირთან ურთიერთობა წარმოადგენს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უკვე გაფორმებულია შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. ევროკავშირის რიგი სახელმწიფოების მიერ საქართველოს მიენიჭა ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმი. მისი სრულად და ეფექტიანად გამოყენება ბევრად წაახალისებს საქართველოს ნაწარმის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქართველოსათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, რომელშიც 130 ქვეყანაზე მეტია გაერთიანებული. ეს ქვეყნები ერთმანეთის მიმართ იყენებენ “ვაჭრობაში

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს”, მრავალმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით თანმიმდევრულად ამცირებენ საიმპორტო საბაჟო ტარიფების საერთო დონეს, ატარებენ სხვა ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია ერთიანი მსოფლიო ბაზრის ფორმირებისაკენ.

ამ ქვეთავის შემადგენელი მეორე ნაწილი სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული დარგების განვითარების მხარდაჭერას ეძღვნება, რომლის ძირითადი და საბოლოო მიზანი იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ჩანაცვლება, სასურსათო დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, ვალუტის დაზოგვა და მისი სხვა მიმართულებით უფრო რაციონალური გამოყენებაა.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური მოდელი და მისი შემადგენელი ელემენტები დროში ინტენსიურ ცვლილებას განიცდის. ასეთი მეტამორფოზა განიცადა იმპორტის სუბსტიტუციამ (ანუ იმპორტული წარმოების პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლება), ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკამ და სხვა. აზრი აღნიშნულის თაობაზე ყოველთვის თითქმის ორად გაყოფილია. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისა, ანუ რაციონალური არჩევანის გაკეთებისა ყოველთვის კონკრეტული დრო და კონკრეტული გარემო პირობებია (სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური გარემო).

იმპორტის ჩანაცვლების მოდელი ყოველთვის პოპულარული იყო და იქნება ისეთ ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ქვეყნისათვის, რომელსაც გააჩნია უნიკალური პირობები არა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, არამედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის (ანუ შეფარდებითი უპირატესობა აგროპროდუქციის

წარმოებაში). თუ ამას დავუმატებთ იმ დადებით მხარეებს, რომელიც თანახმად იმპორტის ჩანაცვლებას (საგადამხდელო ბალანსის გაკეთილშობილება, სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცება და ა.შ.), მაშინ ორი აზრი ასეთი მოდელის არჩევისას აღარ იარსებებს.

როცა იმპორტული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ძირითადად მარცვლეული, ზეთი და შაქარი (პირველის არსებობის შემთხვევაში მეცხოველეობის განვითარების პრობლემა, ანუ ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების პრობლემა გადაჭრილად მოიაზრება). ეს პროდუქტები წარმოადგენენ სასურსათო კალათის ენერგეტიკული რესურსების გადამწყვეტ ნაწილს და ამდენად სხვა პროდუქტებთან შედარებით (ხილი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა) მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

ამ პროდუქტების წარმოების გადიდების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პოლიტიკას ალტერნატივა არ უნდა გააჩნდეს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ შემთხვევებელ პროგნოზს (როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში), რომლებსაც ცნობილი მეცნიერები აკეთებენ მსოფლიო სასურსათო კრიზისის მოსალოდნელობის შესახებ.

დღეს მეცნიერები უკვე აღარ კამათობენ იმაზე, რომ მოსალოდნელი გლობალური სასურსათო კრიზისის პირობებში ნებისმიერი ქვეყანა უნდა აწარმოებდეს იმ რაოდენობის სურსათს, რამდენის წარმოების საშუალებაც მას გააჩნია. ამის კარგი მაგალითია თუნდაც იაპონია, რომელსაც ბრინჯის ადგილობრივი წარმოება საშუალოდ 8-ჯერ მეტი უჯდება, ვიდრე ბრინჯზე მსოფლიო ფასებია, მაგრამ პრაქტიკულად აკრძალული აქვს ბრინჯის იმპორტი ქვეყანაში. თავის დროზე ბალტიის ქვეყნებმა უარი თქვეს საერთაშორისო დახმარებაზე (ნატურალური სახით – მარცვლეულით,

შაქრით და ა.შ.) იმ მოტივით, რომ ის გარკვეული ზომით ადგილობრივ წარმოებას შეუშლიდა ხელს და შესაძლო ანტისტიმული გახდებოდა ადგილობრივი სურსათის წარმოებაში. მაგალითების მოტანა მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნების პრაქტიკიდან კიდევ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა მათგანი პირველყოვლისა ადგილობრივი წარმოების ყველა რეზერვის ამოწურვას ცდილობს. ასეთ ვითარებაში ჩვენ მოკლე ხანში გავხდებით მესამე ქვეყანა (სინგაპურის და ტაივანის შემდეგ), რომელსაც საგარეო ვაჭრობის აბსოლუტურად ლიბერალური რეჟიმი ექნება, ანუ არ იარსებებს არც საექსპორტო და არც საიმპორტო საბაჟო გადასახადები.

ჩვენი აზრით, ასეთი პოლიტიკა ქვეყანაში ვერ გადაწყვეტს სასურსათო უსაფრთხოებას, ვერ შეამცირებს იმპორტირებული სურსათის ფასებს (როგორც ხელისუფლება ვარაუდობს), სამაგიეროდ ეს მიდგომა კიდევ უფრო დააკნინებს ადგილობრივი პოტენციალის გამოყენებას და აბსოლუტურად დამოკიდებულს გახდის სხვა განვითარებულ ქვეყნებზე.

მიგვაჩნია, რომ სასურსათო დამოუკიდებლობის მოპოვების, ადამიანთა დასაქმებისა და სავალუტო რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის საიმპორტო გადასახადების დიდი ნაწილი უნდა მოხმარდეს ადგილობრივი სურსათის წარმოების მხარდაჭერას და ამ გზით იმპორტის თანდათან ჩანაცვლებას. სინერგიული ეფექტი, რომელიც ამ დროს მიიღება, ბევრად გადააჭარბებს იმპორტის ჩანაცვლებაზე გაწეულ საერთო ხარჯებს (სინერგიული ეფექტის ქვეშ მოიაზრება ეკონომიკური, სოციალური, ფისკალური, თვითმართველობის განვითარების და სხვა ეფექტების ჯამი).

და ბოლოს, დასკვნების სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ სასურსათო პროდუქციის ექსპორტზე და სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული დარგების განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები:

- ქვეყანაში მიღწეული მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციის შენარჩუნება;

- ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებულ დარგებში (განსაკუთრებით მეჩაიეობაში, მევენახეობაში და მარცვლეულ მეურნეობაში) პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათანადო ინვესტიციების განხორციელება აღნიშნული დარგების საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;

- საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებისა და კრედიტების და სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება;

- საერთაშორისო და შიდა ბაზრების კონიუნქტურის სისტემური შესწავლა და საინფორმაციო ბანკების ფორმირება. ექსპორტის ხელშემწყობი ცენტრის შექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (რომელიც ინფორმაციულ მომსახურებასთან ერთად საქმიან კონსულტაციებს გაუწევს და დაეხმარება ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს სავაჭრო კონტრაქტების გაფორმებაში).

ყოველივე ზემოაღნიშნული ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური (მათ შორის აგრარული) პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს, იგი ასახული უნდა იყოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში და წარმოადგენდეს გრძელვადიანი პერიოდის ერთ-ერთ ძირითად მიზანს. აქედან გამომდინარე, საექსპორტო პოტენციალის გამოყენების სტიმულირებისა და გაფართოებისათვის საჭიროა მიღებულ იქნეს

შესაბამისი ნორმატიული აქტი – საქართველოს კანონის ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების სახით.

3.3. სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურისა და აგროწარმოებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტიანობა

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ დარგები, რომლებიც, მართალია, პირდაპირ არ მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესში, მაგრამ არაპირდაპირი არხებით გავლენას ახდენენ წარმოების საბოლოო შედეგებზე, უფრო მეტიც, მსხვილმასშტაბიანი აგრარული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, წარმოების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან ისეთი სახის მომსახურებაზე, როგორცაა მანქანა-იარაღების რემონტი, საინჟინრო მელიორაციული, აგრო-ზოოვეტერინარული და სხვა მომსახურება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტურად აუცილებელი ხდება ისეთი დარგების და მომსახურების სფეროების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას, წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესების უფრო უკეთ მომსახურების ხარჯზე.

როგორც დასახელებიდან ჩანს, საწარმოო ინფრასტრუქტურა მატერიალური წარმოების სფეროს ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს

ძირითადი წარმოებისათვის კეთილსაიმედო გარემო პირობების შექმნის და ამით საბოლოო პროდუქტის წარმოების გადიდებას. ამდენად, საწარმოო ინფრასტრუქტურა გვევლინება როგორც ეკონომიკური კატეგორია, საწარმოო ძალების განუყრელი ნაწილი, რომლის გამართულ მუშაობაზე არსებითადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (მიუხედავად საწარმოო მიმართულებისა და საკუთრების ფორმისა) ნორმალური ფუნქციონირების საკითხი (ანუ წარმოების საბოლოო შედეგი).

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეს (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო), მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობას, სამელიორაციო, საგზაო, აგროქიმიურ, მცენარეთა დაავადებებისაგან დაცვის, ზოოვეტერინარულ და სხვა სამსახურებს, რომელთა როლი პროდუქციის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებასა და მომხმარებლამდე პროდუქციის დროულ მიტანაში გამოიხატება (როგორც ერთი, ისე მეორე ფაქტორი არსებითად ზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას).

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის გამოსაყოფია საგზაო ქსელის მდგომარეობა, წყლით უზრუნველყოფის დონე და ხარისხი, ადგილმდებარეობის კონფიგურაცია, სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგურ-კლიმატური პირობები, წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებანი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და სხვა, რომლებიც განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის ტიპს, სტრუქტურას, მომსახურე წარმოების სიდიდეს (საწარმოო სიმძლავრე) და სპეციფიკას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში არსებითად იცვლება ინფრასტრუქტურის დარგებისა და ცალკე აღებული მომსახურე საწარმოების ფუნქციები. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცენტრალიზებული მომარაგების წესის გაუქმების შემდეგ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სოფლად შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის (სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი და ა.შ.) საწარმო, რომელიც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოთხოვნა-მიწოდების ძირითადი კანონების საფუძველზე განახორციელებს მატერიალური რესურსებით მომარაგებას, სარემონტო სამუშაოებს, საგზაო, სამელიორაციო და სხვა სახის მომსახურებას.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის ძირითადი მიზანი და დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოათავისუფლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება მისთვის არადამახასიათებელი და არაძირითადი ფუნქციებისაგან.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის შემადგენელი დარგები სხვადასხვა ფუნქციის და დატვირთვის მატარებელია და ამდენად, ბუნებრივია, რომ ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებს მეურნეობის საბოლოო შედეგებზე. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის კლასიფიკაციას მისი ძირითადი ნიშნების მიხედვით. ასეთი დაყოფა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების და მთელი დარგის ადგილი ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესში. იგი არსებითად ხელს უწყობს დარგთაშორისი კავშირების შესწავლას და ოპტიმალური

პროპორციების დადგენას ძირითად წარმოებასა და მომსახურე დარგებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის დარგები, გარდა ზემოაღნიშნული დარგებისა, შეიძლება დაჯგუფდეს ტერიტორიული ნიშნით და ძირითადი წარმოების მომსახურების ნიშნითაც. ამ ნიშნების მიხედვით გამოყოფენ ეროვნული მეურნეობის მატერიალური წარმოების საერთო ინფრასტრუქტურას, ცალკეული რეგიონების და ცალკეული საწარმოების ინფრასტრუქტურას.

დასახელებული ინფრასტრუქტურის სახეები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მათში შემავალი ობიექტების სტრუქტურით, ისე მათი სიდიდით, რაოდენობით და ტექნიკური აღჭურვილობით. ასე, მაგალითად, ეროვნული მეურნეობის საერთო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ქვეყნის მთელი მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მომსახურე დარგებისა და სამსახურების სისტემას, როგორცაა ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, ერთიანი სატრანსპორტო სისტემა, კავშირგაბმულობა და სხვა, რომლებიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, უზრუნველყოს ის ნორმალური საფოსტო-სატელეგრაფო და სატრანსპორტო კავშირით.

ანალოგიურია რეგიონული ინფრასტრუქტურა, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული რეგიონებისა და მხარეების, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირებასა და განვითარებასთან.

რაც შეეხება ცალკეული საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფის ინფრასტრუქტურას, ის შედგება მომსახურე საწარმოთა ცალკეული ელემენტებისაგან, რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყოს ლოკალურად

გაადგილებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მომსახურება გარკვეული მიმართულებით. ასეთ მომსახურე საწარმოთა ჯგუფს მიეკუთვნება სარემონტო-ტექნიკური სერვისის და ენერგეტიკის საწარმოები, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობები, შიდასამეურნეო და სარაიონოთაშორისო გზების მშენებლობის ორგანიზაციები, სამეურნეო და სამეურნეობათაშორისო მელიორაციული მომსახურების ორგანიზაციები და ა.შ.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურას ასევე ყოფენ დარგობრივი ნიშნის მიხედვითაც. კერძოდ, გამოყოფენ შიდადარგობრივ და დარგთაშორის ინფრასტრუქტურის სახეებს.

შიდადარგობრივი ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს ზოოვეტერინარული მომსახურება მეცხოველეობაში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დარგის სპეციალიზაციის გაღრმავების და კონცენტრაციის დონის ამაღლების პირობებში. მისი ამოცანაა - ხელი შეუწყოს დარგის მომარაგებას ხელსაწყო-ინსტრუმენტებით, პრეპარატებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით. დარგთაშორისი ინფრასტრუქტურა მოწოდებულია მომსახურება გაუწიოს სხვადასხვა დარგებს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ელექტროენერგიით, სამელიორაციო და სხვა სახის მომსახურებით. ამის კარგი მაგალითია სარაიონოთაშორისო მეთესლეობის ან სანერგე მეურნეობები, რომლებიც ამარაგებს მაღალხარისხოვანი თესლით და სარგავი მასალით სხვადასხვა დარგებს (მეჩაიეობა, მევენახეობა და ა.შ.).

ფუნქციონალური დატვირთვის მიხედვით სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა იყოფა ორ მთავარ სფეროდ. პირველი სფერო

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურებაა, ხოლო მეორე კი – სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის საბოლოო სახის მიცემას და მომხმარებლამდე მიტანას ემსახურება. პირველი სფერო მოიცავს სარემონტო და ტექნიკური მომსახურების დარგებსა და საწარმოებს, აგრეთვე სატრანსპორტო, სამელიორაციო, აგრო, ზოოვეტერინარულ და სხვა სახის სამსახურებს, ხოლო მეორეში გაერთიანებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების, ტრანსპორტირების, შენახვის ორგანიზაციები და საწარმოები. მათვე მიეკუთვნება სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობები, მარცვლეულის ელევატორები, შემფუთავი, დამხარისხებელი და სხვა სახის საწარმოები და ორგანიზაციები.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სატრანსპორტო საშუალებებს განეკუთვნება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდ ტერიტორიებზე გაადგილება და პროდუქციის გასაღების ბაზრების დაშორება წარმოების ადგილებიდან განაპირობებს ტრანსპორტის განვითარების ობიექტურ აუცილებლობას და სატრანსპორტო დანახარჯების მნიშვნელოვან წილს წარმოების დანახარჯებში.

ამდენად, ტვირთების ტრანსპორტირება (სოფლიდან გასაღების ბაზრისაკენ და კვლავწარმოებისათვის საჭირო მასალების – ქალაქიდან სოფლისაკენ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერირებისა და სამრეწველო საწარმოებთან ინტეგრირების გაძლიერების კვალობაზე. ასეთ პირობებში მყარი ტვირთნაკადების მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო დონეზე ორგანიზებული საგზაო კომუნიკაციებისა და

სატრანსპორტო გადაზიდვების ხარჯზე. კარგი გზები და სატრანსპორტო საშუალებები არა მარტო ამცირებს ტვირთგადაზიდვების ხარჯებს, არამედ პრაქტიკულად ერთნაირ პირობებში აყენებს მსხვილ სამრეწველო ცენტრებიდან და ქალაქებიდან სხვადასხვა მანძილით დაშორებულ მეურნეობებს, ქმნის სოფლის მოსახლეობისთვის არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავების შესაძლებლობას ახლომდებარე ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში.

საწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა დარგებიდან გამოსაყოფია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების რგოლები. მათი მნიშვნელობა განპირობებულია პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების სტადიებზე არსებული მნიშვნელოვანი ოდენობის დანაკარგებით (რაც გამოწვეულია პროდუქციის შენახვისა და გადამუშავებისათვის საჭირო საწარმოო სიმძლავრეების უკმარისობით, არაპროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ.), რომელთა ლიკვიდაცია ან მინიმუმადე შემცირება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება დიდადაა დამოკიდებული არასაწარმოო, ანუ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც. ამ უკანასკნელის განვითარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების არა თუ გადიდება, არამედ მიღწეული დონის შენარჩუნებაც კი. სოფლის მეურნეობის სოციალურ ინფრასტრუქტურაში გაერთიანებული დარგები (განათლების და მეცნიერების ორგანიზაციები, კადრების მომზადებისა და გადამზადების, ჯანდაცვის დაწესებულებები, გარემოს დაცვის ორგანიზაციები,

სკოლამდელი დაწესებულებები, საბინაო-საყოფაცხოვრებო მეურნეობა, საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი ობიექტები და სხვა) არაპირდაპირი გზით ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და წარმოების ეფექტიანობის გადიდებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში ჩართული მუშაკებისათვის შრომის, დასვენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი პირობების შექმნის გზით. ეს სავსებით კანონზომიერი პროცესია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამუშაო ძალას ისევე ესაჭიროება ნორმალური კვლავწარმოება, როგორც ნებისმიერ სხვა საბაზრო პროდუქტს.

ამდენად, სოციალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საზოგადოების საწარმოო ძალების ორგანულ ნაწილს, რომლის მთავარი მიზანი სოფლის მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებაა. სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა ხასიათდება თავისებურებებით. კერძოდ, ის ემსახურება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართულ მუშაკებს და მათი ოჯახის წევრებს, არამედ სოფლის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მცხოვრებს.

სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები გაფანტულია ტერიტორიაზე, რაც გარკვეულად აძნელებს მათ ეფექტურ გამოყენებას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობის გათვალისწინებით.

სოფლად სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები იქმნება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის (სკოლები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, პოლიკლინიკები და ა.შ.), ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და მოსახლეობის ფულადი სახსრების ხარჯზე

(საყოფაცხოვრებო შენობები, მეცხოველეობის ფერმებში და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში კვების პუნქტების მოწყობა და ა.შ.).

სოციალური ინფრასტრუქტურიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ჯანდაცვის რგოლი. როგორც ინფრასტრუქტურული ქვედანაყოფი (ელემენტი), ის ქმნის სამუშაო ძალის აღდგენის და შენარჩუნების პირობებს, რაც ქმნის ერთ-ერთ ძირითად პირობას შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრებისა და მათი შრომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. პრაქტიკულად, ამავე რიგშია აყვანილი საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების, კავშირგაბმულობის და სხვა ობიექტების გამართული ფუნქციონირება.

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებები ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც წესი, მაღალი ეკონომიკური ეფექტურობით გამოირჩევა. ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა ვლინდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის ფიზიკური დანაკარგების შემცირებაში, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, რაც საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულზე.

საწარმოო ინფრასტრუქტურის ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, სამსახურებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე გაწეული დანახარჯების ამოგების (გამოსყიდვის) მაჩვენებელი. მას ანგარიშობენ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის (ან ცალკე აღებული რომელიმე

დარგის პროდუქტის) ღირებულების შეფარდებით საწარმოო ინფრასტრუქტურაზე (ან მის რომელიმე ცალკე აღებულ ელემენტზე) გაწეულ დანახარჯებთან.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურაზე გაწეული დანახარჯების გამოსყიდვის საშუალო ვადა 4-5 წელს არ აღემატება, რაც თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მთელ ეროვნულ მეურნეობაში.

სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებით სოფლის უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავლების გადიდება არსებითად მოქმედებს მეურნეობაში კვალიფიციური მუშახელის დამაგრებაზე, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გაზრდას უკავშირდება.

როგორც ცნობილია, საქართველო ტიპური სამთო მიწათმოქმედების ქვეყანაა (სადაც ასევე განვითარებულია ბარის მიწათმოქმედება), რაც ყოველთვის გარკვეულ სირთულეებს წარმოშობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში. აღნიშნულის გათვალისწინებით ყალიბდებოდა სამეურნეო სტრუქტურა, ურთიერთობები შიდა და გარე ბაზრებთან. მეოცე საუკუნეში, როცა ქვეყანა გახდა აგრარულ ინდუსტრიული საკმაოდ განვითარებული სოფლის მეურნეობით და კვების მრეწველობით, შეიქმნა საშუალება შესაბამისი პროფილის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (მხედველობაშია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის საჭიროებისათვის

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, პროდუქციის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზების, მანქანა-დანადგარების წარმოებისათვის, საგზაო, სატრანსპორტო ქსელის და ინფრასტრუქტურის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების განვითარებისათვის), მელიორაციული მომსახურების მაღალ დონეზე დანერგვისათვის (კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა რწყვა, დასავლეთში კი – დაშრობითი სამუშაოების წარმოება). საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგი იყო ის, რომ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში ახლო წარსულში იწარმოებოდა საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტი, აქ იყო დასაქმებული მთელი შრომითი რესურსების 40-42%. ქვეყნიდან გატანილი სასურსათო პროდუქტების ღირებულება (ალკოჰოლური სასმელების ჩათვლით) სამჯერ აღემატებოდა ამ პროდუქტების იმპორტს (პროდუქციის შემოტანა ე.წ. საკავშირო ფონდიდან ჩათვლილია იმპორტად).

ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და აგროსამრეწველო კომპლექსის რეფორმირების შემდეგ, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან და სფეროებთან ერთად პრაქტიკულად დაინგრა და მოიშალა ინფრასტრუქტურის (როგორც საწარმოო, ასევე სოციალური) ერთიანი სისტემა. განსაკუთრებით დაზარალდა მელიორაციული სისტემები (რომლის შედეგები უფრო კონკრეტულად ჩანს დასავლეთ საქართველოს მაგალითზე, სადაც დაშრობითი სამუშაოების შეწყვეტის შედეგად დღეს პრაქტიკულად მიმდინარეობს მეორადი დაჭაობების პროცესები, მალარიის კვლავ გავრცელების და სხვა ნეგატიური შედეგების თანხლებით). პრაქტიკულად შეწყდა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების, მცენარეთა დაცვის,

ვეტერინარიის, სასელექციო და სანაშენე სამუშაოები. შედეგად იკლო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობამ და პირუტყვის პროდუქტიულობამ, გაუარესდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი, შემცირდა კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოებაც, რამაც ბაზრების დიდი ნაწილის დაკარგვა გამოიწვია.

საწარმოო ინფრასტრუქტურის მოშლასთან ერთად, სოფლად პრაქტიკულად შეწყდა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და არსებული ობიექტების ფუნქციონირება. ფუნქციონირება შეწყვიტა ჯანდაცვისა და კულტურის, კომუნალური და სხვა არსებითი ხასიათის მომსახურების სფეროებმა. შენელდა მეცნიერული კვლევების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა-ათვისების ეკონომიკური და სოციალური მოტივაცია, დაირღვა (მოიშალა) ელიტური და სამრეწველო მეთესლეობის, მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის შექმნასაც მრავალი ათეული წელი დასჭირდა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში განვითარებული ჰიპერინფლაციის, საფინანსო და საკრედიტო რესურსების მწვავე დეფიციტის ფონზე, ძირეული რეფორმების არასწორი კურსით წარმართვა იყო. თუმცა, არანაკლები უარყოფითი როლი, ჩვენი აზრით, ითამაშა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის, მიწების პრივატიზების, მეზობელ ქვეყნებთან კავშირების მოშლის და სხვა საკვანძო საკითხებზე მიღებულმა ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის გაჩანაგებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე გადადგმული სასიკეთო ნაბიჯების წყალობით, ერთგვარი

პროგრესი შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის აღორძინების მიმართულებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი განვითარების დონე აბსოლუტურად არ შეესაბამება დარგის წინაშე მდგარ ამოცანებს (რაც პირველ ყოვლისა, სასურსათო უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრაში გამოიხატება).

დღეს უკვე აღარ კამათობენ იმაზე, რომ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის. დადგენილია მათ შორის მათემატიკური (კორელაციური) დამოკიდებულებაც, რაც სრულიად რეალური და ობიექტურია, თუ გავითვალისწინებთ იმ უდავო ფაქტს რომ, რაც უფრო მაღალია სოფლად განვითარებული სერვისული სამსახურები მანქანა-ტრაქტორთა დროული და ხარისხიანი რემონტისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელი სიმძლავრეები, სატრანსპორტო და მომსახურების სხვა სახეები, მით მაღალია შრომის ნაყოფიერება, და პირიქით. იგივე ითქმის სოციალური ინფრასტრუქტურის ელემენტებზე, კერძოდ, იმ სამსახურების განვითარების დონეზე რომლებიც სოფლად დასაქმებული ადამიანებისათვის საყოფაცხოვრებო პირობებს ქმნიან (საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ვაჭრობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა). იქ, სადაც ეს სამსახურები მეტნაკლები ზომით ფუნქციონირებენ და არსებობს სამედიცინო მომსახურების დაწესებულებათა ქსელი (ამბულატორიის, პოლიკლინიკის, აფთიაქის და სხვათა სახით) და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები (კლუბი, ბაგა-ბაღი, სკოლა),

ბუნებრივია, დასაქმებული ადამიანების შრომის ნაყოფიერებაც მაღალი იქნება და შესაბამისად მათი კეთილდღეობის დონე. ამასთან, როცა ინფრასტრუქტურას ვიხილავთ მთლიანობაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მის თითოეულ რგოლს გააჩნია თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა სოფლად ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში, თუმცა თითოეულ მათგანს არ შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი სოფლად ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნაში, ანუ არაა საკმარისი მარტო კარგი გზები და ტრანსპორტი, თუ არ იქნება წყალი და საკვები, ვერ აღორძინდება სოფელი, თუ არ იქნება ტექნიკა და შესაბამისად ამ ტექნიკის მომსახურების სფერო. მარტო კარგი სკოლა და საავადმყოფოც ვერ იქნება ადგილზე მუშახელის დასაქმების გარანტი. საჭიროა როგორც საწარმოო, ასევე სოციალური ინფრასტრუქტურის ელემენტების სრული კომპლექსი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კეთილსაიმედო გარემო არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმდინარე პერიოდში წარმოებისათვის, არამედ სამომავლოდ, შედარებით გრძელვადიან პერიოდში საჭირო მუშახელის კვლავწარმოებისათვის, ანუ მიწაზე მეურნეობების გასაგრძელებლად თაობიდან თაობამდე და არა წლიდან წლამდე. სხვა ვითარებაში ყოველთვის სახეზე იქნება მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქისაკენ. არც თუ შორეულ წარსულში მოსახლეობის ამ ფორმის მიგრაცია დადებით შედეგად თუ ფასდებოდა (სოფლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლების პირობებში ხდებოდა მუშახელის გამოთავისუფლება), დღეს მას ამგვარი შეფასება ვერ მიეცემა, რადგან მიგრაციას დღეს აქვს მკაფიოდ გამოხატული სოციალური ნიშანი (ისევე როგორც ეკოლოგიურ პრობლემებს გამორიდებულ მოსახლეობას ეძახიან ეკომიგრანტებს, ასევე

სოციალურ პრობლემებს გამოქცეულ ლტოლვილებს სოცმიგრანტები შეიძლება ეწოდოს).

რას კარგავს ქვეყანა სოფლად სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით და რა სავარაუდო ეფექტის მოტანა შეუძლია ამ პრობლემის მოხსნას - ჩვენი საკვლევით თემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა და ამდენად მათ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

1. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტები, რაც ზედაპირზე დევს და რომლის დანახვა ყველას შეუძლია. ესაა რაიონებიდან (სოფლებიდან) შრომისუნარიანი ადამიანების გადაადგილება დიდ ქალაქში “არსობის” პურის საშოვნელად. ადგილზე რჩება ძირითადად შრომისუნარდაკარგული ან შრომისუნარდაქვეითებული ადამიანები, ანუ მკვეთრად უარესდება სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (სხვათაშორის, ეს კარგად ჩანს სოფლებში ათეულობით გაუქმებული სკოლების მაგალითზე, რომელთაც ბავშვთა კონტინგენტი აღარ შემორჩათ). თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემა საერთოდ აღარ იარსებებს, რადგან თვით სოფელი აღარ იარსებებს, როგორც ტერიტორიული ერთეული და ამდენად აღარ იქნება არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნა.

2. საწარმოო და არასაწარმოო (სოციალური) ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა პირდაპირ აისახება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერებაზე. ეს პირველყოვლისა გამოხატულებას ნახულობს დროისა და ფულად-მატერიალურ დანახარჯებში, რაც დაკავშირებულია მანქანა-იარაღების სარემონტოდ შორ

მანძილზე ტრანსპორტირებასთან, საჭირო სურსათ-სანოვაგის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესაძენად ქალაქებში მგზავრობასთან, სამედიცინო მომსახურების ელემენტარული პირობების მოპოვებასთან და სხვა საარსებო აუცილებელი მომსახურების მიღებასთან. საქონელმწარმოებელს სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება თავისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის, რის გამოც მისი პოტენციური შესაძლებლობა (პროდუქციის წარმოების მაქსიმალური შესაძლო ოდენობა) სრულად ვერ რეალიზდება უფრო მეტიც, მის მიერ წარმოებული პროდუქცია სულ უფრო არაკონკურენტუნარიანი ხდება. არამწარმოებლური ხარჯების გადიდების გამო ასეთ ვითარებაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ამცირებს კვალიფიციური კადრების, სპეციალისტების, მექანიზატორების და ა.შ. მაღალი დენადობა, რაც პირდაპირ კავშირშია სოფლად შესაბამისი პირობების არარსებობასთან. თუ ამ კონკრეტული მსჯელობიდან გამოვალთ და დღევანდელ საწარმოო ინფრასტრუქტურას იმავე დონეზე ჩავთვლით, რაც ქვეყანას 15 წლის წინათ ქონდა სოფლის მეურნეობაში, მაშინ ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით გამოწვეული საერთო ზარალი ექსპერტული გაანგარიშებით ქვეყანაში 80 - 100 მილიონი ლარის სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის დანაკარგით შეიძლება გამოიხატოს. თუ ამას დავუმატებთ მიგრაციის უარყოფით შედეგებს, რაც ასევე ინფრასტრუქტურის განუვითარებლობას უკავშირდება ძირითადად, მაშინ მისი უარყოფითი შედეგი შესაძლოა რამდენიმე მილიარდ ლარითაც განისაზღვროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო

კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის ფიზიკური დანაკარგების შემცირებაში, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში ვლინდება, რაც საბოლოო ანგარიშით, ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას განაპირობებს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ მატერიალური წარმოების ყველა დარგში ნებისმიერი კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა ამ ღონისძიების რეალიზაციიდან მიღებული შედეგის და მისი მიღებისათვის გაღებული ხარჯების თანაფარდობით იზომება. ამასთან, როცა საქმე ეხება არა რომელიმე ერთ კონკრეტულ დარგს, საქმიანობის სფეროს და მიმართულებას განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება დანახარჯებს (უნვესტიციებს), რომელთა ეფექტი არ განისაზღვრება ერთი კონკრეტული წლით, ანუ ის გრძელდება დროში), ეკონომიკური ეფექტიანობის ფულად ღირებულებაში გამოხატვა ფრიად გაძნელებულია. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. “სინერგიულ ეფექტთან”, ანუ ეფექტთან, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და რომელთა გახლეჩვა-დანაწევრება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, როცა ვიხილავთ საკითხს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ, ვგულისხმობთ, რომ აქ გარდა ეკონომიკური ეფექტისა, მონაწილეობს სოციალური და ფისკალური ეფექტებიც, თვითმართველობის განვითარების ეფექტიც, (კოოპერირების შემთხვევაში) და ა.შ., ამდენად სოფლად კოოპერირების პროცესისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტის გაანგარიშება უფრო აღწერილობით და ლოგიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე რიცხობრივ-მათემატიკურს.

ინვესტიციათა გამოყენების ასეთ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ნაშრომში განხილული სახელმწიფო მხარდაჭერის სამივე პრიორიტეტი, რადგან სამივე მიმართულებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის ეფექტიანობას სინერგიული ხასიათი აქვს. სამივე პრიორიტეტული მიმართულება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და პრაქტიკულად ერთმანეთს განაპირობებს. ერთმანეთის გარეშე თითოეულს არსებითი ეფექტის მოტანა, როგორც წესი, არ შეუძლია.

გარდა აღნიშნულისა, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შექმნილი რეალური მდგომარეობა და შესაბამისი სააღრიცხვო-სტატისტიკური მასალების პრაქტიკულად არარსებობა, სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენას, ეკონომიკაში გამოყენებული მრავალი მეთოდის მიუხედავად, შეუძლებელს ხდის. აღნიშნულის გამო, ჩვენ ძირითადად შემოვიფარგლეთ ექსპერტული შეფასების და აღწერილობით-ლოგიკური მეთოდის გამოყენებით და მიგვაჩნია, რომ ამ გზით გაკეთებული დასკვნები ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო ინფრასტრუქტურაზე გაწეული დანახარჯების გამოსყიდვის ვადა (რომელიც იანგარიშება პროდუქციის ნამატის ღირებულების შეფარდებით ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, სამსახურებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე დამატებით გაწეულ ფულად-მატერიალურ დანახარჯებთან) საშუალოდ 4-5 წელს არ აღემატება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოსყიდვის ვადის შებრუნებული სიდიდე კაპდაბანდებების (ინვესტიციების) ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელიცაა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მართო საწარმოო

ინფრასტრუქტურაში ჩადებულ ყოველ 1 მლნ ლარს 0,25 მლნ ლარის მოგება მოაქვს ქვეყნისათვის.

3. საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებლობის პირდაპირი შედეგია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის მნიშვნელოვანი დანაკარგები მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავების და რეალიზაციის სტადიებზე. საბჭოთა წლებში, შედარებით განვითარებული ინფრასტრუქტურის პირობებში, ითვლებოდა, რომ პროდუქციის მოძრაობის მთელ გზაზე დანაკარგი 20-25%-ის ფარგლებში იყო. თუ დავუშვებთ, რომ ამჟამადც დანაკარგის ეს დონეა ჩვენთან შენარჩუნებული (მაშინ, როცა განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში ის 3-5%-ის ფარგლებში მერყეობს), უნდა ვივარაუდოთ, რომ დანაკარგის თუნდაც 10%-ით შემცირებით (რაც სრულიად დასაშვებია განვითარებული საწარმოო ინფრასტრუქტურის პირობებში), სახეზე გვექნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 5%-იანი ზრდა (საერთო პროდუქციაში ახლადშექმნილი ღირებულების პროპორციულად).

როგორც საწარმოო, ასევე სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი ობიექტები (სკოლები, საავადმყოფოები, ამბულატორიები, საგზაო და სატრანსპორტო ქსელი და ა.შ.) ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფინანსებელია, რადგან ის სცილდება სოფლად საქონელმწარმოებლების მოვალეობებს და შესაძლებლობებს. თუმცა, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ შრომითი თანამონაწილეობა მიიღონ ამ მიმართულებით განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობაში და შეიტანონ თავისი შესაბამისი წილი. რაც დროზე გამოხატავს ხელისუფლება პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნებას სოფლად საწარმოო და სოციალური

ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მით ნაკლებ ეკონომიკურ (პირდაპირი ფორმით) და სოციალურ (ირიბი ფორმით) ზარალს ნახავს ქვეყანა, და პირიქით.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ომგადახდილი, აწიოკებული და არაერთგზის გაჩანაგებული საქართველო ფეხზე დადგომას სოფლის მეურნეობის აღორძინებით იწყებდა, რადგან სოფელი იყო ყოველთვის ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და სამომავლო განვითარების გარანტი. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, მაგრამ არ შეცვლილა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ქართველი გლეხის ბუნება და დამოკიდებულება მიწისადმი, რაც, ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის აღმავლობის და განვითარების სერიოზული გარანტიებია დღესაც, მხოლოდ დარგისადმი სახელმწიფო მხარდაჭერისა და თანადგომის პირობებში.

დასკვნები და წინადადებები

-ხელისუფლების მიერ დეკლარირებული აგრარული პოლიტიკის არცერთი ძირითადი მიმართულება ქვეყანაში ბოლომდე არაა რეალიზებული. კერძოდ, არაა დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება და გადამამუშავებელ საწარმოთა რესტრუქტურირება. პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირების და სამრეწველო საწარმოებთან მათი ინტეგრირების თვალსაზრისით. არ შესრულებულა ასევე აგრარული

რეფორმის მეორე ეტაპით გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებებიც (აგრარული რეფორმის გაღრმავება, მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირება, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა – სურსათზე ხელმისაწვდომობის, საკმარისობის და ადგილობრივი წარმოების სურსათით თვითუზრუნველყოფის ამაღლების თვალსაზრისით, სამომხმარებლო ბაზრის დაცვის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება და სხვა).

- აგროწარმოების ამჟამინდელი საწარმოო-ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც სტაგნაციური. რეფორმირების დაწყებიდან განვილილ 14 წელიწადში ვერ მოხერხდა რეფორმამდელი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი სასურსათო პროდუქციის წარმოებაში. აღნიშნული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ აგრარული რეფორმა შემოიფარგლა მხოლოდ ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების რეორგანიზაციით (რომელიც უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ სახელის შეცვლით გამოიხატებოდა) და გლეხებზე მიწების დარიგებით. რაც შეეხება მიწაზე მეურნეობრიობის ნორმალური და ცივილიზებული პირობების შექმნას, ხელისუფლება დღემდე ვერ ახერხებს ამას.

- ქვეყნის აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირება (რომელიც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ხორციელდება) ობიექტური მაკროეკონომიკური პროცესია, რომლის ძირითადი პრინციპი თანამედროვე პირობებში უნდა დაეფუძნოს შემდეგ პირობებს:

- სოფლად საქონელმწარმოებელი (მეწარმე) უნდა საქმიანობდეს თვითდაფინანსების პირობებში და მხარდაჭერის ესა თუ ის ფორმა უნდა

წარმოადგენდეს დამატებით წყაროს მეურნეობრიობის ნორმალური ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

- სახელმწიფოს ხელთ არსებული რეგულირების ბერკეტები საქონელმწარმოებლებს ორიენტირებულს უნდა ხდიდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობაზე.

- სახელმწიფო მხარდაჭერა განხორციელებული უნდა იქნას მკაცრად დიფერენცირებულად, ანუ მეწარმე სუბიექტების ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით.

- სახელმწიფო რეგულირების და მხარდაჭერის მთელი სისტემა უნდა ეფუძნებოდეს მიზნობრივ-პროგრამულ დაფინანსებას.

- საბოლოო ჯამში, სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოფდეს აგროწარმოების ჩართვას დარგთაშორის კონკურენციაში თანაბარ სასტარტო პირობებში. აგროსასურსათო კომპლექსში ამჟამად მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი არაეფექტურია მიწაზე მეურნეობრიობის სტიმულირების, დარგთაშორისი რაციონალური კავშირების უზრუნველყოფისა და პროდუქციაზე ფასწარმოქმნის დარეგულირების თვალსაზრისით. ეკონომიკური მექანიზმის არცერთი ბერკეტი (ფასი, კრედიტი, გადასახადი, დაზღვევის სისტემა) არაა მიმართული სოფლად საქონელმწარმოებელთა (მეწარმეთა) ხელის შეწყობისათვის და მათი შრომის ნაყოფიერების და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. პირიქით, ზოგი მათგანი (ფასწარმოქმნა, გადასახადები) გარკვეული ანტისტიმულაციაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და პროდუქციის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. აღნიშნული ადასტურებს, რომ აგროსასურსათო სექტორში არსებული ეკონომიკური მექანიზმი არაადეკვატურია ამ

სექტორში შექმნილი რეალური მდგომარეობისა. ის ვერ უზრუნველყოფს ექვივალენტურ გაცვლებს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, სოფლად საქონელმწარმოებელთა სტიმულირებას სამომხმარებლო ბაზრის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით გაჯერებისათვის.

- საჭიროა სოფლად საგადასახადო პოლიტიკის – როგორც ეკონომიკური მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის, სრულყოფა, სოფლად სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით. ამ მიზნით შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ განხილული უნდა იქნეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დამატებული ღირებულების გადასახადის (როგორც წარმოების განვითარების ანტისტიმულის) გაუქმების თაობაზე. რაც შეეხება ქონების (მიწის) გადასახადს, ის უნდა შენარჩუნებული იქნას არსებული განაკვეთების დონეზე, მაგრამ ამ მუხლით ბიუჯეტში კონსოლიდირებული თანხები უნდა ხმარდებოდეს ნიადაგების დაცვისა და შენარჩუნების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას, ანუ იმ მიმართულებებს, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტითაა დადგენილი – სოფლად სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობას ხელს უშლის გლეხურ (ფერმერთა) მეურნეობათა უკიდურესად დაბალი შემოსავლები. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა სახელმწიფოს როლის გააქტიურება ამ მიმართულებით, კერძოდ, სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს, როგორც გარანტი სადაზღვევო კომპანიების მასშტაბური ზარალის დაფიქსირების შემთხვევაში საქონელმწარმოებლებისათვის სადაზღვევო თანხის დროული და სრული მოცულობით ანაზღაურებისათვის (რისკის დაზღვევის ასეთი ფორმა შეიძლება გავრცელდეს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც თავიანთ

სახსრებს აბანდებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში). გარდა ამისა, სხვა ქვეყნების მსგავსად, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს, როგორც თანამონაწილე სოფლად საქონელმწარმოებელთა დასაზღვევი ქონების გადასახადის დაფარვაში.

- ქვეყანაში ბოლო პერიოდში აღარ გამოიყენება სახელმწიფო რეგულირებისათვის გამიზნული ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორც “ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონითაა დადგენილი, აღარ მუშავდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი ინდიკატური გეგმები, აღარ მუშავდება აგრეთვე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ინდიკატური გეგმების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. (ეს პროგრამები წარმოადგენდა აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტრუმენტს, რადგან ხსენებული გეგმები მიზნობრივ-პროგრამული პრინციპით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა). აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო გააუარესა მიწაზე მეურნეობრიობის საწარმო-ეკონომიკური პირობები.

- სათანადო მასალების შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ აგროწარმოების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გონივრული შერწყმა და შეთავსება, რაც სამომხმარებლო ბაზრის დაცვის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში უნდა აისახოს.

- სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება ძირითად პრიორიტეტებზე (სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირება,

სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის, აგრეთვე ექსპორტზე და სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაზე ორიენტირებული დარგების განვითარება) უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს, რადგან ამ დროს მიიღწევა გამოყოფილი ინვესტიციების მაქსიმალური სინერგიული ეფექტი (ეკონომიკური, სოციალური, ფისკალური და სხვა ეფექტების ერთობლიობა).

- სოფლად მეწარმეობის განვითარებისათვის საჭიროა მიწის ცივილიზებული ბაზრის ფორმირება, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განსახელმწიფოებრიობას უკავშირდება აღნიშნული მიწების დროული ჩართვა მიწის თავისუფალი ბაზრის ორბიტაში, ხელს შეუწყობს მიწების კონსოლიდაციის პროცესს, წარმოების კონცენტრაციას მიწაზე მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლებას.

- აგროწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსების წყაროდ შესაძლებელია განხილული იქნას ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის საიმპორტო გადასახადების ნაწილი. სინერგიული ეფექტი, რომელიც ადგილობრივი წარმოების სტიმულირების გზით მიიღება, მნიშვნელოვნად აჭარბებს იმპორტის ჩანაცვლებაზე გაწეულ საერთო ხარჯებს.

- საექსპორტო პროდუქციის სტიმულირებაზე მიმართულმა (სახელმწიფოს მხარდაჭერის) პრაქტიკამ მეჩაიეობის მაგალითზე აჩვენა, რომ ქვეყნისათვის უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს არა უშუალოდ მზა პროდუქციის ექსპორტის, არამედ მართლზომიერი სავალუტო პოლიტიკის გატარება, კონკურენტუნარიანი სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების და მისი ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა კოოპერირების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეს მიმართულება ხელისუფლების მიერ აღიარებული უნდა იქნეს პრიორიტეტად. ამასთან მიღებული უნდა იქნეს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, რომელშიც, განსხვავებით “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმებისა, აისახება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სპეციფიკური თავისებურებანი, პრობლემები და მათი დარეგულირების საშუალებანი, კერძოდ, სოფლად ამ ფორმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების ორგანიზაციის, ფუნქციონირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობების და სხვა საკითხები. ამავე მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ადგილებზე კოოპერატივების (განსაკუთრებით მარკეტინგული კოოპერატივის) შექმნაში, სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებაში და სხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში.

ჩვენს მიერ განხილული ძირითადი პრიორიტეტების რეალური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოფს აგროსექტორში საექსპორტო და იმპორტ ჩანაცვლებადი დარგების განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ქვეყნის საგადამხდელი ბალანსის გაჯანსაღებას და სასურსათო უსაფრთხოების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდლულაძე რ. სოფლად ზოგიერთი ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები. ჟ. “კვალი”, 2002, 14-5; გვ. 10-12
2. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბ., ”მეცნიერება”, 2003; გვ. 25-26
3. ასათიანი რ. რეგიონალური სასურსათო ქვეკომპლექსების ფორმირება და მართვის ორგანიზაცია. თბ., 1991
4. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა, XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001
5. ბურკაძე ვ., ვაშაკიძე ო., ძაგანია ე. აგრარული პოლიტიკის კონცეფცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟ. მაკრო-ეკონომიკა №1, 1999; გვ. 30-31
6. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ძირითადი ღონისძიებების შესახებ. “სიახლე”, თბ., 2000
7. გიორგაძე ჰ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები. აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტ. XV, 2001 გვ. 152-156

8. გოგოხია რ., კილასონია გ. ფერმერული მეურნეობის ჰორიზონტი. თბ., 1999; გვ. 11-16
9. გოგოხია რ. შერეული ეკონომიკის სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. თბ., 2000
10. ვაშაკიძე ო. აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი მეურნეობრიობის ახალ პირობებში. თბ., 1998
11. ვაშაკიძე ო. საქართველოს აგრარული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში. “სიახლე”, თბ., 2000
12. ზიბზიბაძე გ. აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო რეგულირება. ჟ. “კვალი”, № 1-2, 1999; გვ. 11-13
13. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა – თეორია და პოლიტიკა. თბ., 1997
14. კოლუაშვილი პ. აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბ., 1998; გვ. 25-28, 42-45;
15. კოლუაშვილი პ. დაკრედიტების პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები აგრარულ სექტორში. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. V, თბ., 1999 გვ. 53-59
16. კოლუაშვილი პ. საქართველოს აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XI
17. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., მჭედლიშვილი დ. სოფლის მეურნეობაში საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIV, 2001 გვ.210-215
18. კოლუაშვილი პ. საქართველოს აგრობაზარი მარეგულირებელი სამსახურის ფუნქციონირებას საჭიროებს. ჟ. “სოციალური ეკონომიკა” №2, 2002, თბილისი-ბაქო, 2000

19. კოლუაშვილი პ., ბენია შ. აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში. ჟ. "ეკონომიკა" №5, 2002
20. კოლუაშვილი პ., ბენია შ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. XIX, 2002 გვ.171-176
21. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ, 2006; გვ. 441-444
22. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები (დისერტაცია, ავტორეფერატი) თბ. 2003 წ.
23. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები. თბ., 1997; გვ. 8-10
24. კუნჭულია თ. აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ. თბ., "რეფორმა", 1999; გვ. 8
25. კუნჭულია თ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შუქრდილები. ჟ. "კვალი", №7-8, 2000
26. კუცია გ. მეურნეობრიობის ფორმების ჩამოყალიბების და ფუნქციონირების თავისებურებები და პერსპექტივები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში (ავტორეფერატი); გვ. 7
27. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პრიორიტეტების მიმართულებების განსაზღვრის საკითხისათვის. თბ., 1997
28. მესხია ი. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1996, თავი 6

29. მაკკონელი კ.რ., ბრიუ ს.ლ. ეკონომიკსი, ნაწ. 1-IV, თბ., 1993-1996; გვ.105; 120.
30. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ., 1998
31. მალაშხია გ. მეტაეკონომიკა. თბ., 1998
32. მაკკალა ა. სოფლის მეურნეობის ამოცანები. 21 ტ. საუკუნეში. ჟ. “კვალი” №7-8, 1999
33. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. “დიოგენე”, თბ., 2000
34. მალლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ., “სიახლე”, 2002
35. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. სსდ, თბ., 2001
36. მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. სსდ. თბ., 2001
37. ნიჟარაძე ა., კომახიძე შ. სასურსათო პროგრამა და მისი განხორციელების გზები. თბ., 1983
38. პაპავა ვ. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და წარმოების განვითარება: წინააღმდეგობები და პერსპექტივები. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბ., 1999 გვ. 29
39. პაპავა ვ. საბაზრო თანამშრომლობის დოქტრინა. თბ.,1999;გვ.29
40. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., საქართველოს მეცნ. აკადემიის გამომც., 2002
41. პაპავა ვ. საბაზრო ეკონომიკის გაჯანსაღების და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. თბ., 2000; გვ. 30

42. რეფორმები კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში. საქართველო, მსოფლიო ბანკის ანალიზი, 1995
43. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკა, XV გამოცემა. თბ., 2000, ტ. I-IV; გვ. 62-65
44. სანთელაძე ნ. ეკონომიკური რეფორმა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება საქართველოში. თბ., 2000
45. სააკაშვილი მ. გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის “საქართველოს კანონთა წიგნისა და საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია”, თბ., 2001
46. სანაძე გ. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თბ., 2001
47. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ტენდენციები, ციფრები. სტატისტიკური ბიულეტენი, სსდ №1-10, 2000-2003
48. საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის მიმდინარე პროცესები და შედეგები. თბ., 1998
49. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1993-1995 და 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1993, 1996; გვ.18-20.
50. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, სსდ. თბ., 1998-2002
51. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია. თბ., 1997; გვ.3
52. საქართველოს საგადამხდელო ბალანსი. სტატისტიკური ანგარიში, 2000
53. საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული. სსდ, თბ., 2001

54. საქართველოს შიდა მეურნეობები. 1996-2001, ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. სსდ, თბ., 2002; გვ. 47
55. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. თბ., 2003
56. საქართველოს კანონი ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ. 1995; გვ. 14
57. “მეწარმეთა შესახებ” საქ. კანონის კომენტარი, თბ. 1998;
58. საქ. კანონი “მიწების მელიორაციის შესახებ”, 1997; გვ. 372-375
59. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გაცემის წესის შესახებ, 1998
60. საქართველოს საგადასახადო ბალანსი. სტატისტიკური კრებული, 2004
61. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, 2004; გვ. 18-24-28
62. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა
63. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2005
64. სილაგაძე ა. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თსუ-ს გამომც., თბ., 2001; გვ. 14
65. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობა. თბ., 1995
66. ქარქაშაძე ნ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა. თბ., “განათლება”, 1998 გვ. 30-77

67. ქარქაშაძე ნ., გიორგაძე ჰ. საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია: აშშ-ის სასურსათო კომპლექსი, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა და განვითარების ტენდენციები: მეთოდური დამუშავება. თბ., 1992

68. ქეშელაშვილი ო. სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. თბ., 1996

69. ყამარაული ს. და სხვ. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. “მეცნიერება”, 2000

70. ჩიკვაძე თ. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ., I, თბ., 1996

71. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. თბ., 2000

72. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., “მერიდიანი”, 1995

73. ქვაჩახია ი. თეორიული ეკონომიკა. თბ., 1996, თავი 12, გვ. 145

74. ცნობილაძე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო. როგორ იქნება კანონი “აზრი”. თბ., 2000

75. წერეთელი გ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები. კრ. “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები”, ტ. II, “მეცნიერება”, თბ., 2002

76. ჭავჭავაძე ი. თხზ. სრ. კრებული, ტ. 5-6-7, თბ. 1959

77. ჭანტურია ლ., ნინიძე თ. “მეწარმეთა შესახებ” კანონის კომენტარი. “სამართალი”, თბ., 1998

78. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები). თბ., 1995
79. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (I-II-III ნაწილი), თბ, 1997, 1999, 2001
80. ხარაიშვილი ე. ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა საქართველოს ასკ-ში. თბ., 1999
81. ხარიტონაშვილი ჯ. მსოფლიოს გლობალური პრობლემები, თბ., 2001
82. ხოზრევანიძე ნ. მთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში. თბ., 2000
83. ხომერიკი ნ. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920
84. ჯავახიშვილი ივ. თხზ. 12 ტომად. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. 4-5. თსუ-ს გამომც., 1986
85. ჯიბუტი მ. მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები. “ეკონომიკის აქტუალური საკითხები”, ტ. XVI, თსუ, 2001
86. ჰეჯესი ტ. ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია. თბ., 2001
87. ჰუმანური განვითარების ანგარიში. საქართველო, გაერო. თბ., 1995-2000 წწ.
88. Аграрный сектор США в конце XX века. Под редакцией Чернякова А.И. Институт США и Канады, 1997; ст. 72
89. Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность России: проблемы и перспективы, ОАО «Экономика», М., 1997; ст. 34

90. Босс Г., Редберн С. Государственные субсидии и интересы частного предпринимательства. Ж. США ЭПИ, 1995, №2
91. Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность России (Раздел первый и второй), «Знание», М., 2000 и 2001; ст. 27
92. Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность важная составляющая системы экономической безопасности России, проблемы окружающей среды и природных ресурсов. М., 1997, №2; ст. 25
93. Браун Л., Ксин Х., Айрес Э. Тенденции, определяющие будущее человечества (исследование института «Уорлдуотч»), Ж. США ЭПИ, 1994, №5-6
94. Зволинский В. Обеспечение продовольственной безопасности России АПК, Экономика, управление, 1996 №2; ст. 33
95. Качество роста. Всемирный банк, 2001. Изд. «Весь мир», М., 2001; ст. 5
96. Клучи Д. Государство, бизнес и экономика. Ж. США ЭПИ, 1995 №4; ст. 12
97. Коваленко Н.Я., Сорокин В.С. Сельскохозяйственные рынки. МСХА, М., 1998
98. Маршания Л. Пути эффективного использования продовольственного потенциала сельского хозяйства Груз. ССр. Тб., 1987; ст. 37
99. Минаков Н.А. Экономика сельскохозяйственных предприятий. М., «Колос», 2004
100. Минаков Н.А. Экономика сельского хозяйства. М., «Колос», 2005; ст. 39
101. Монисов А.А., Тутельян В.А., Хомяченко С.А., Терешкова А.П. Проблемы безопасности пищевых продуктов в России. Вопросы питания. 1994, №3; ст. 15
102. Писарев В.Д. Стратегия устойчивого выживания человечества, экологический императив и международное сотрудничество. Ж. США ЭПИ, 1995, №10; ст. 18
103. Письмо американского фермера. Ж. США ЭПИ, 1993, №12
104. Серова Е. Аграрная экономика, Государственный университет. Высшая школа, Экономика. М., 1999; ст. 134

105. Чаянов А.В. Основные идеи и форма Крестьянской кооперации. М., 1991ст.
305-307

106. Черняков Б.А., Янбых Р.Г. Кредит в аграрном секторе США. США ЭПИ, 1997,
№5.

დანართები

ცხრილი 1

ქვეყნის რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომითი
რესურსების დასაქმების ხვედრითი წილი, %-ში
(1995-2005 წწ. საშუალო წლიური მონაცემებით)

რეგიონების დასახელება	მთელ ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი	მათ შორის სოფლის მეურნეობაში	ეკონომიკის სხვა დარგებში
სამეგრელო	100	92,5	7,5
იმარეთი	100	84,4	15,6
გურია	100	89,9	10,1
აჭარის ა.რ.	100	87,5	12,5
რაჭა-ლეჩხუმი	100	94,5	5,5
შიდა ქართლი	100	95,6	4,4
კახეთი	100	89,8	10,2
მესხეთ-ჯავახეთი	100	94,5	5,5
მცხეთა-მთიანეთი	100	90,5	9,5

მიწის გადასახადის ამოღების მდგომარეობა საქართველოს
რეგიონების მიხედვით (%-ში)

№	საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	1997 წ.	1998 წ.	1999წ.	2004წ.
1.	აფხაზეთის ა.რ.	96,2	135,5	94,4	95,7
2.	აჭარის ა.რ.	96,2	135,5	98,4	99,5
3.	თბილისი	110,5	111,0	131,3	101,0
4.	კახეთის რეგიონი	89,1	75,4	74,0	79,7
5.	იმერეთის მხარე	76,3	94,1	49,5	95,7
6.	სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე				
	შიდა ქართლის მხარე	105,8	120,5	86,4	89,8
7.	ქვემო ქართლის მხარე	88,1	86,7	82,1	88,5
8.	გურიის მხარე	89,3	87,2	60,5	80,1
9.	სამცხე-ჯავახეთის მხარე	93,5	80,3	53,7	85,8
10.	მცხეთა-მთიანეთის მხარე	63,4	64,2	71,6	75,9
11.	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	62,4	78,2	51,4	75,8
12					
	სულ ჯამი	104,4	70,9	59,8	88,7
		85,6	90,1	76,6	85,4

ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 3

სოფლის მეურნეობაში საქონლიანობის დონე რეგიონების მიხედვით, %-ში

	1980წ.	1985წ.	1990წ.	1995წ.	2004წ.
იმერეთის მხარე	78,5	82,4	75,5	53,4	34,5
სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე	92,5	97,5	52,7	34,4	22,5
გურიის მხარე	94,7	97,8	50,1	24,5	20,0
შიდა ქართლის მხარე	68,5	88,9	60,4	29,5	25,4
ქვემო ქართლის მხარე	82,4	84,7	88,4	78,9	60,5
სამცხე-ჯავახეთის მხარე	67,5	84,1	64,8	48,8	47,4
მცხეთა-მთიანეთის მხარე	82,2	89,5	85,4	68,7	60,9
კახეთის მხარე	77,7	85,4	68,7	70,5	69,0
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	87,5	86,4	84,5	37,7	35,4
აჭარის ა.რ.	92,3	95,5	90,4	80,1	75,7
აფხაზეთის ა.რ.	94,5	96,1	90,4	-	-
სამაჩაბლო	7,4	79,5	70,8	-	-

ცხრილი შედგენილია: 1988 წლამდე წლიური ანგარიშების ჯუმლების საფუძველზე, ხოლო 1990 წლის შემდეგ ანკეტური გამოკითხვისა და შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე.

კერძო სექტორის წილი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო
პროდუქციის წარმოებაში, %

დასახელება	1991-1995 წწ. საშუალო	1996-2000 წწ.	2001 წ.	2004 წ.
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები სულ	55	79	86	88
მათ შორის:				
ხორბალი	7	26	64	80
სიმინდი	88	95	98	98
ბოსტნეული	87	97	96	97
კარტოფილი	84	97	98	98
ხილი	65	99	99	99
ყურძენი	77	94	97	98
ციტრუსი	78	97	94	96
ხორცი	84	97	99	99
რძე	85	96	98	99
კვერცხი	70	97	99	99,5
მატყლი	76	92	94	97

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო
დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

პროდუქციის წარმოებისა და მოსავლიანობის ზრდა

დასახელება	1990 წ.		2004 წ.	
	წარმოებული ათასი ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	წარმოებული ათასი ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები სულ	666,3	24,7	590,7	22,4
მათ შორის				
ხორბალი	257,7	28,1	24,6	20,4
სიმინდი	270,2	25,2	25,0	23,9
ბოსტნეული და ბაღჩეული	482	122	496,0	130
კარტოფილი	293,8	106	360	123
ხილი და კენკრა	591,2	58	280	35,6
ყურძენი	691,0	67,6	410	39,8
ციტრუსი	283,1	169,8	85,0	52,6
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	516,0	95,7	46,5	1,8
მეცხოველეობის პროდუქცია:				
ხორცი	170,3	-	126	-
რძე	659,6	-	610	-
კვერცხი	769,2	-	390	-
მატყლი	6,2	-	1,8	-

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი

დასახელება	ექსპორტი			იმპორტი		
	1995წ.	2000წ.	2004წ.	1995წ.	2000წ.	2004 წ.
სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნატურით, ტონა	44530	55289	32547	315818	364575	366840
სოფლის მეურნეობის პროდუქცია ღირებულებით, ათასი ლარი	95364	149773	123588,0	11652,1	72917,9	78032,4

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ ჰექტარ
სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და მოსახლეობის ერთ სულზე
გაანგარიშებით, აშშ დოლარებში

წლები	მთლიანად საქართველო		მათ შორის					
	სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 1 ჰა-ზე	ერთ მოსახლეობის სულზე	გურიის მხარე		სამეგრელოს მხარე		იმერეთის მხარე	
			სას.-სამეურნეო სავარგულის 1 ჰა-ზე	ერთ მოსახლეობის სულზე	სას.-სამეურნეო სავარგულის 1 ჰა-ზე	ერთ მოსახლეობის სულზე	სას.-სამეურნეო სავარგულის 1 ჰა-ზე	ერთ მოსახლეობის სულზე
1990	1195	725	2841	1516	2575	1625	1202	810
1995	481	272	495	300	555	410	578	740
1996	539	302	510	310	595	415	588	647
1997	583	328	560	315	610	425	591	658
1998	531	301	577	322	621	430	595	671
1999	435	285	495	319	577	401	599	692
2000	510	300	480	307	588	355	610	690
2004	495	299	507	355	575	395	655	685

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმთან შეფარდებით, %

	1996 წ.	2005 წ.	2005 წ. 1996 წელთან შედარებით (ზრდა +), (შემცირება -)
კახეთი	46,5	65,9	+19,4
თბილისი	53,4	147,3	-6,1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	47	58,9	+11,9
ქვემო ქართლი	51,3	62,2	+10,9
სამცხე-ჯავახეთი	45,3	56,8	+15,8
აჭარა	41,0	59,1	+18,1
გურია	63,1	52,6	-10,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39,4	50,7	+11,3
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	66,1	36,1	-28
ქვეყანაში	52,1	52,1	-0

ცხრილი შედგენილია “საქართველოს შინამეურნეობები 1996-2005”-ის მასალების საფუძველზე.

კვების პროდუქტების მოხმარება შინა მეურნეობებში
(კვ ერთ სულზე წელიწადში)

	1995წ.	1996წ.	1997წ.	1998წ.	1999წ.	2000წ.	2003წ.	2004წ.
პურპროდუქტები (პური და მაკარონის ნაწარმი გაანგარიშებული ფქვილზე)	163,5	161,3	154,2	151,4	141,1	130,3	153	150
კარტოფილი	26,8	42,0	44,7	47,3	47,6	48,5	44	52,5
ბოსტნეული და ბაღჩეული	60,8	97,7	93,4	58,2	55,2	51,9	121	75,5
ხილი და ყურძენი (ჩირის ჩათვლით) გადაყვანილი ხილზე	36,7	66,3	60,2	57,8	43,5	51,3	64,8	68,1
შაქარი, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე დახარჯულის ჩათვლით	6,7	23,6	25,9	25,0	24,8	21,2	27	29
ხორცი და ხორცის პროდუქტები (გადაანგარიშებული ხორცზე)	12,5	14,6	15,6	20,8	19,8	19,8	34,5	30,4
თევზი და თევზის კონსერვები (გადაანგარიშებული თევზზე)	0,6	1,3	1,4	1,8	1,3	1,2	2,1	2,3
რძე და რძის პროდუქტები (გადაანგარიშებული რძეზე)	97,9	178,4	217,6	202,5	209,0	213,5	169	179,4
კვერცხი, ცალი	66,1	105,0	107,7	122,5	124,6	129,2	148	125,4
მცენარეული ცხიმები	3,3	10,6	11,2	8,3	8,2	8,0	10,1	9,9

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

მიწის ფართობის პრივატიზების მაჩვენებლები 2004 წლის 1.04 თვის რეგიონების მიხედვით
(ათასი ჰა)

	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი
სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული	211,3	275,8	74,5	152,6	224,5	289,4	619,9
მათ შორის							
პრივატიზებულია	108,5	110,0	41,0	49,7	77,3	64,6	155,7
პრივატ. ფართობის ხვედრითი წილი, %	51,3	39,9	55,0	32,6	34,3	22,3	25,1
აქედან სახნავი სულ							
პრივატიზებულია	82,6	70,3	21,7	8,9	76,1	38,2	213,6
პრივატ. ფართობის ხვედრითი წილი, %	72,3	59,2	17,7	8,5	38,7	25,0	103,4
მრავალწლიანი ნარგავები	87,5	84,2	81,6	95,5	50,7	65,4	48,4
მათ შორის							
პრივატიზებულია	31,8	37,2	24,6	3,5	40,9	7,8	52,4
პრივატ. ფართობის ხვედრითი წილი, %							
სათიბი სულ	26,0	18,4	18,6	3,3	37,7	6,5	41,3
მათ შორის	81,8	49,5	75,6	94,3	92,2	83,3	78,8
პრივატიზებულია							
პრივატ. ფართობის ხვედრითი წილი, %	1,7	3,2	1,1	25,7	7,2	14,6	1,9
სამოვრები სულ	1,5	2,1	0,4	15,3	-	10,9	1,9
მათ შორის	88,2	65,6	36,4	59,5	-	74,6	52,6
პრივატიზებულია							
პრივატ. ფართობის ხვედრითი წილი, %	95,2	165,1	27,1	114,5	100,3	228,8	352,0
	8,7	30,3	4,3	22,6	0,9	22,2	10,0
	9,1	18,4	15,9	19,7	0,9	9,7	2,8

ცხრილი შედგენილია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოსა და მასში შემავალი რეგიონების მიხედვით მიწაზე გადასახადის გეგმის შესრულების მდგომარეობა (ათასი ლარი)

მხარეების დასახელება	1997 წ.			1998 წ.			2003 წ.		
	გეგმით	ფაქტი	%	გეგმით	ფაქტი	%	გეგმით	ფაქტი	%
აჭარა	857,0	824,2	96,2	950,0	1287,1	135,5	1400,0	1321,4	94,4
აფხაზეთი	5,0	-	-	6,0	-	-	6,0	-	-
იმერეთი	2144,6	1636,4	76,3	2698,0	2539,2	94,1	5072,2	2510,6	49,5
სამეგრელო-ზემო	1525,7	1614,9	105,8	1844,5	2222,1	120,5	2718,9	2348,3	86,4

სვანეთი	117,0	122,1	104,4	160,0	113,5	70,9	186,0	111,1	59,7
რაჭა-ლეჩხუმი და	3113,0	2780,8	89,3	4490,0	3906,6	87,2	6008,7	3634,8	60,5
ქვემო სვანეთი	1819,8	1603,7	88,1	2021,6	1752,4	86,7	2446,9	2008,6	82,1
ქვემო ქართლი	4812,9	4287,2	89,1	4555,8	3434,1	75,4	5814,5	4302,0	74,0
კახეთი	577,2	539,7	93,5	737,0	592,1	80,3	927,0	498,2	53,7
გურია	2090,0	1324,1	63,4	2272,5	1458,2	64,2	2057,2	1473,3	71,6
სამცხე-ჯავახეთი	562,0	350,5	62,4	613,0	479,2	78,2	118,0	574,9	51,4
მცხეთა-მთიანეთი	17624,2	15083,6	85,6	22928,4	20658,4	90,1	32300,4	24748,8	76,6
სულ საქართველო									

ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალების საფუძველზე.